მის უწმიდესობას და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს A3

საით მიდის ქართული ენერგოსექტორი? A8

დისკუსია B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 11 ოქტომბერი, 2004 წელი. №241 (790)

ფასი 50 თეთრი

ამერიკული სამხედრო დახმარების "სერიალი" გრძელდება

A2

*გუშინ პრეზიდენტმა, ვაჟიშვილთან ერთად, **"GALAXY C-5"**-ის სალონიც მოინახულა.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

აფხაზეთში სამოქალაქო ომის საშიშროებაა

ნინო გომართელი

მას შემდეგ, რაც კრემლისა და აფხაზეთის მოსახლეობის აზრი ერთმანეთს არ დაემთხვა და აფხაზეთის პრეზიდენტის არალეგიტიმურ არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა ოპოზიციის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა დააგროვა, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა, მოსახლეობაში კი სამოქალაქო ომის შიშიც გაჩნდა.

აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გალის რაიონის სამ საარჩევნო უბანში არჩევნების შედეგები გააუქმა და განმეორებითი კენჭისყრა 17 ოქტომბერს დანიშნა. როგორც ცესკო-ს თავმჯდომარემ სერგეი სმირმა აღნიშნული ფაქტის კომენტირებისას განაცხადა, აღნიშნული გადაწყვეტილება პოლიტიკურია, რაც შექმნილი დაძაბული ვითარების განმუხტვის მიზნით გაკეთდა.

რუსეთის ფავორიტი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა ამ გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს და სასამართლოში სარჩელიც კი შეიტანა. იგი მოითხოვს, რომ განმეორებითი არჩევნები არა მარტო გალის რაიონში, არამედ აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე ხელახლა გაიმართოს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ამ სარჩელს დღეს განიხილავს.

აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოში სარჩელი მისმა ოპონენტმაც, სერგეი ბაღაფშმაც შეიტანა. "ჩერნომორენერგოს" გენერალური დირექტორი 3 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებას და მისი გამარჯვების აღიარებას მოითხოვს.

გაგრძელება A2 გვერდზე

მეწყერი და ელჩები მესტიაში

იროდი ილდანი საკუთარი სახლის წინ დამეწყრილ ქუჩაზე.

ზაზა ფაჩუაშვილი

ზაზა ფაჩუაშვილი

ახლოს თუ არ მიხვალ, მესტიის მთებს სტიქიის ნაკაწრს ვერც კი შეამჩნევ, მაგრამ სტალინის ქუჩაზე და რაიონის ხუთ სოფელში მეწყერმა საშინელი კვალი დატოვა. ეს კი არა, როგორც ამბობენ, ხალხში პანიკაც კი დაუთესია, ვაითუ უარესიც მოხდესო.

შუა ზაფხული იყო, მესტიაში ორსაათიანი წვიმა რომ მოვიდა. 9 კი არა, 99 სახელი რომ ჰქონდეს, იმ "ორსაათიანის" შესატყვისს, თურმე, მაინც ვერ გამონახავდა კაცი. სვანები ამბობენ, ერთი საათი რომ კიდევ ეწვიმა, წაგვლეკავდაო.

ორ საათში კი მეწყერმა ხუთი სოფელი დაანგრია, ერთი ახალგაზრდა კაცი შეიწირა და იროდი ილდანის სახლის პირველი სართული დაამინა.

გაგრძელება A6 გვერდზე

პოლიტიკა

„ელიტური საზოგადოების" ბატალიონი

სამხედრო განაწესს ეროვნული გვარდიის სამხედრო ინსტრუქტორებთან ერთად, რეზერვისტთა ბატალიონის მეთაური, პარლამენტარი დავით კირკიტაძე ადგენს.

A2

ეკონომიკა

"თბილგაზს" გაზის ტარიფში თავისი მარჟა ეცოტავება

"თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე უარყოფს კომპანიის მიერ 320-ლარიანი ტარიფის თუნდაც სამუშაო ვარიანტის დონეზე დამუშავებას.

A4

უცხოეთი

მეორე რაუნდი - პოზიციები გათანაბრდა

აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მიძღვნილ დებატების მეორე რაუნდში საგარეო პოლიტიკური კურსის საკამათო თემებს საშინაო პოლიტიკური საკითხებიც დაემატა.

A5

სამართალი

ახლად შეღებილი კედლები კოლონიის ძველი პრობლემების ფონზე

იუსტიციის მინისტრის უკვე ტრადიციად ქცეულმა შაბათობამ თბილისის N1 საპყრობილედან რუსთავის N1 დაწესებულებაში გადაინაცვლა.

A7

ამინდი

	10/10	11/10
თბილისი	21	23
ქუთაისი	20	22
ბათუმი	21	23
სოხუმი	18	20
ფოთი	21	23
თელავი	19	21
ზუგდიდი	20	22
გორი	17	19
ახმეტა	20	22
ჭიათურა	18	20
გაგრა	18	20

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8349
ევრო	2.2645
გირვანქა სტერლ.	3.2819
რუბლი	0.0628

1

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება). უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე, ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, აგზავნს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავედროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაჟნლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის ხლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

A2 ამბები A3 საზოგადოება A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ენერგეტიკა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 დისკუსია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

აფხაზეთში სამოქალაქო ომის საშიშროებაა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"აფხაზეთში ვითარება დაძაბულია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სისხლი არ დაიღვაროს," – ასე აფასებს დღეს შექმნილ ვითარებას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა და იქვე აღნიშნავს, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ყველა პოლიტიკურმა სუბიექტმა კანონის დაცვით უნდა იმოქმედოს.

"მხოლოდ კანონის უზენაესობის აღიარებით იქნება წესრიგი, წესრიგი მოგვცემს თავისუფლებას, არეულობა კი – მონობას. ჩვენ არ გვსურს, ვიყოთ მონები ჩვენს სახელმწიფოში," – თქვა მან.

ამასობაში კი რუსეთმა "ცეცხლის" ჩასაქრობად აფხაზეთში სოხუმის ყოფილი მერი, რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს წარმომადგენელი ნოდარ ხაშბა გამოგზავნა.

ვლადისლავ არძინბამ, რომელიც პოსტს სულ მოკლე ხანში დაუთმობს ახალ პრეზიდენტს, იგი პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნა, თანაც ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე.

ხაშბამ ჩასვლისთანავე პირობა დადო, რომ არ დაუშვებს სამოქალაქო ომს. **"აფხაზები მშვიდობისმოყვარული ერია, სამოქალაქო ომი არ იქნება, ჩვენ ამას არ დავუშვებთ,"** – განაცხადა მან.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახალმა პრემიერ-მინისტრმა თავის ჩამოსვლის წინაისტორიაზეც ისაუბრა: **"რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გამომიძახა და მითხრა, რომ აფხაზეთში რთული ვითარებაა. ეს შენი ერია და შენ იქ უნდა წახვიდე, რომ ვითარება დაარეგულირო აფხაზეთის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე – მითხრა მან,"** – ჰყვება ხაშბა.

თუ როგორ მოაგვარებს ხაშბა აფხაზეთში არსებულ დაძაბულ ვითარებას, დრო გამოაჩენს, ერთი კი მაინც ფაქტად რჩება – ახალი პრემიერ-მინისტრი იმ მოძრაობა "ერთიანი აფხაზეთის" ერთ-ერთი დამფუძნებელია, რომელმაც პრეზიდენტის პოსტზე სერგეი ბაღაფში წარადგინა.

კიდევ 10 მილიონი აშშ-სგან

კონგრესის წარმომადგენლობითმა პალატამ და აშშ-ს სენატმა შაბათს გამართულ სხდომებზე მოიწონა კანონპროექტი 2005 წლის აშშ-ს თავდაცვითი ბიუჯეტის 477 მილიარდით განსაზღვრის შესახებ. 359 კონგრესმენი ბიუჯეტის მომხრე, 14 კი წინააღმდეგი იყო. კანონპროექტს მხარი სენატშიც უმრავლესობამ დაუჭირა. ახლა კანონპროექტი ხელმოსაწერად ამერიკის პრეზიდენტს გადაეგზავნა. ბიუჯეტში გათვალისწინებულია 10 მილიონის საქართველოსთვის "საპილოტო პროგრამაზე" გამოყოფა, რომელიც აშშ-ს ახალი ინიციატივის, "აბრეშუმის გზის" ფარგლებში უნდა განხორციელდეს და რაც კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობას გულისხმობს. აშშ-ს სენატმა ამ ქვეყნების სიაში საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შეიტანა. ამ ქვეყნებში პროგრამის რეალიზებამდე საპილოტო პროგრამა ერთ-ერთ მათგანში უნდა განხორციელდეს. ამისათვის საქართველო შეირჩა.

24 საათი

„ზემო ლარსის" მუშაობა დროებით განახლდა

საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ ოსეთის მონაკვეთზე კვირას განახლდა საკონტროლო-გამშვები პუნქტის - "ზემო ლარსის"მუშაობა, რომელიც საღამოს 8 საათამდე გაგრძელდა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს აცნობა საზღვრის ამ მონაკვეთზე მდებარე საგუშაგოს "ყაზბეგის" უფროსმა მინდია არაბულმა.

მისი თქმით, რუსეთის მხარემ გააფრთხილა ქართველი მესაზღვრეები, რომ საკონტროლო-გამშვები პუნქტი "ზემო ლარსი" კვირას 20:00 საათამდე იმუშავებს, შემდგომი მუშაობის რეჟიმის შესახებ კი ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ არის.

საკონტროლო-გამშვები პუნქტი "ზემო ლარსი" რუსეთის მხრიდან ცალმხრივად ჩაიკეტა ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში მომხდარი ტერაქტის შემდეგ. განვლილი 40 დღის განმავლობაში პუნქტი სამჯერ, 3-4 საათის განმავლობაში, გაიხსნა.

საქართველოს მხარემ არაერთხელ დააყენა საკითხი საკონტროლო-გამშვები პუნქტის მუშაობის აღდგენის შესახებ.

პრაიმ-ნიუსი

bp

ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ჩვენ გვჯერა, რომ შევძლებთ მოვახდინოთ რეალური, ზომიერი და დადებითი ზემოქმედება მსოფლიოს ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ანალოგიურად მოაზროვნე არასამთავრობო ან სამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენთ, გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ საქართველოში "BP"-ს მესამე

ბიომრავალფეროვნების კონკურსში

კონკურსი, რომელიც საქართველოში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული `BP"-ს სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რათა განვახორციელოთ რიგი კონკრეტული ინიციატივები იმ ქვეყნებში და ტერიტორიებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს თანხას 5,000-20,000 აშშ დოლარის ფარგლებში. საპროექტო წინადადებები უნდა:

- მოიტანონ გრძელ-ვადიანი სარგებლობა
- შეეძლოთ ორმაგი სარგებლობა მოიტანონ კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნებისათვის
- მოიცავდნენ მდგრად ინიციატივებს
- განსაზღვრონ მუშაობისა და წარმატების შეფასების საშუალებები
- ეფუძნებოდნენ ჯანსაღ მეცნიერებას
- იყვნენ რენტაბელური

შესაძლებელია კვლევითი ელემენტის შემცველი პროექტების განხილვაც, თუკი ეს ელემენტი დამატებით გრძელვადიან სარგებელს ითვალისწინებს

პროექტების წარდგენა შეუძლია როგორც ერთ ორგანიზაციას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ორგანიზაციებს.

კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პროექტის დეტალურ აღწერას (მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს, განხორციელების ვადებს, დეტალურ სამუშაო გეგმას, (ღონისძიებებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებს და მათ CV-ს) და ბიუჯეტს.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ოქტომბერი. გამარჯვებული პროექტი გამოცხადდება 2004 წლის დეკემბრის ბოლოს.

საპროექტო წინადადებები უნდა გაუგზავნოთ მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს, მისამართზე:საბურთალოს ქ. 38, თბილისი; 0177 ტელ:(995 32) 59 34 00

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მობრძანდეთ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება ა.წ. 4 ოქტომბერს სასტუმრო ქორთიარდ მარიოტის წვეულებათა დარბაზში 11 სთ-ზე.

„ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ" ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ

სამხედრო განაწესს ეროვნული გვარდიის სამხედრო ინსტრუქტორებთან ერთად, რეზერვისტთა ბატალიონის მეთაური, პარლამენტარი დავით კირკიტაძე ადგენს.

ᲒᲝᲒᲘᲢᲐ ᲑᲣᲮᲐᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲙᲝᲑᲐ ᲚᲘᲙᲚᲘᲙᲐᲫᲔ
„ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ"
Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ „24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ"

დღეს დაიხურება ქართველ რეზერვისტთა პირველი ბატალიონის სარეზერვო შეკრება, რომელიც თითქმის ერთი თვეა, გრძელდება სოფელ ოსიაურის განაპირას საველე ბანაკის ტერიტორიაზე. ქვედანაყოფი, ძირითადად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხვადასხვა დონის მოხელეებისგანაა დაკომპლექტებული. თუმცა, ამავე ბატალიონში რეზერვის სამსახურს გადის პარლამენტის რამდენიმე წევრი და საქართველოს პრეზიდენტის ძმა. ელიტური საზოგადოების წარმომადგენელთა სამხედრო შეკრება სრული პროგრამით და ყოველგვარი შეღავათების გარეშე მიმდინარეობდა.

ოცეულებად დაყოფილი 350 ქართველი რეზერვისტი ვალდებულია, ადგეს დილის ექვს საათზე, ირბინოს 2-3 კილომეტრი და ჩაატაროს სხვადასხვა სახის ფიზიკური ვარჯიში. ამას მოსდევს საუზმე, სხვადასხვა სახის თეორიული და სპეციალური მეცადინეობა, სამწყობრო მომზადება და საბრძოლო იარაღის ტიპების შესწავლა. ოსიაურში განლაგებულ საველე ბანაკში ყველაფერი სამხედრო განანესს ექვემდებარება, რომელსაც, ეროვნული გვარდიის სამხედრო ინსტრუქტორებთან ერთად, რეზერვისტთა ბატალიონის მეთაური, პარლამენტარი დავით კირკიტაძე ადგენს. პარლამენტარი მეთაური არ მალავს, რომ მისი ბატალიონი რეალური ბრძოლისთვის ემზადება: **"ჩვენ ვემზადებით ყველა იმ ამოცანის გადასაჭრელად, რომელსაც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი დაგვისახავს. ყველას კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ ჩვენ ვართ ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა, რომელიც მუდმივად უნდა იყოს მზად, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი პრობლემა გადაჭრას ძალისმიერად."**

დავით კირკიტაძის გარდა, სარეზერვო შეკრებას ოსიაურის ბანაკში პარლამენტის ექვსი წევრი გადის. ისინი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები არიან. გაპრეზიდენტებამდე სააკაშვილი ხალხს ჰპირდებოდა, რომ სამხედრო სამსახურს პრესტიჟულს გახდიდა და ბოლოს მოუღებდა იმ მანკიერ ტრადიციას, როდესაც არმიაში მხოლოდ დაბალი ფენების წარმომადგენლები მსახურობდნენ. **"ეს სტერეოტიპი დაიმსხვრა,"** - ამბობს პრეზიდენტ სააკაშვილის ძმა დავით სააკაშვილი, რომელიც რეზერვისტთა სამხედრო ბანაკში მეტყვიამფრქვევის სპეციალობას ეუფლება.

"რაღაც სტერეოტიპი იყო იმისა, რომ ვიღაც ცნობილი ადამიანის ნათესავი და ახლობელი ასეთ პირობებში არ უნდა ყოფილიყო. ეს დამოკიდებულება მე ვიგრძენი პირველ დღეს, როდესაც მწყობრში დავდექი, როდესაც ვფორთხავდი მიწაზე, ყველანი გაკვირვებული თვალებით მიყურებდნენ. მერე კი ისე გავშინაურდით და ისე დავმეგობრდით, თითქოს დიდი ხნის ახლობლები ვყოფილიყავით."

ეროვნული გვარდიიდან მოწვეული ინსტრუქტორები რეზერვისტი მეთაურების თანაშემწეები არიან და ქვედანაყოფის სამხედრო ორგანიზებაში ეხმარებიან. ერთ-ერთი მათგანია კაპიტანი პაატა ხაბურძანია, რომელსაც ასეულში ერთი პარლამენტის წევრი და რამდენიმე ჩინოსანი მოხელე ჰყავს. **"ასეული თავიდან ამორფული და ჭრელი იყო, მაგრამ ყოველდღიური წვრთნის შემდეგ, ქვედანაყოფი ბრძოლისუნარიანი, ერთიან გუნდად იქცა და შეუძლია ნებისმიერი დავალების შესრულება,"** - ამბობს კაპიტანი ხაბურძანია.

პარლამენტარი ალექსანდრე შალამბერიძე ბატალიონის შტაბში პასუხისმგებელი ოფიცრის მოვალეობას ასრულებს და კმაყოფილია შეძენილი გამოცდილებით: **"მე მევალება დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის კონტროლი და მთლიანად ვარ ჩახედული ბატალიონის საორგანიზაციო ნიუანსებში. მეორე მხრივ კი, მიუხედავად ასაკისა, დავრბივარ, ვემზადები ფიზიკურად."**

რეზერვისტებმა გორის სერჟანტთა სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე სასროლეთზე ნორმატივები ჩააბარეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და ყუმბარსატორცნებიდან სროლაში.

სროლაში ნორმატივი იმ დღეს რეზერვისტთა ბატალიონის მსროლელმა, გარდაბნელმა ხატიბ ბაბაევმაც ჩააბარა. იგი, ხუთ თავის თანამემამულესთან ერთად, საკუთარი ნებით ჩაეწერა ამ ბატალიონში, რათა, როგორც თავად ამბობს, საკუთარი სამშობლო დაიცვას.

"სამშობლოს დაცვა სჭირდება, ჩემი სამშობლო კი საქართველოა. გვინდა დავიცვათ საქართველო და ჩვენი შვილები. ამისთვის კი საბრძოლო საქმის შესწავლაა საჭირო. მომავალში ყველას ვეტყვი, რომ ჩვენ აქ კარგად გვეპყრობოდნენ, რომ ყველანი ერთმანეთთან მეგობრულად ვცხოვრობდით," – ამბობს ბაბაევი.

დღეს რეზერვისტთა პირველი საველე შეკრება ოსიაურში ოფიციალურად დასრულდება. რის შემდეგაც, 350 ადამიანი, რომელიც ერთი თვე ეუფლებოდა საბრძოლო ხელოვნებას, თავის ძირითად სამოქალაქო სპეციალობას დაუბრუნდება. პარალელურად კომპლექტდება რეზერვისტთა კიდევ ერთი ბატალიონი, რომელიც ერთთვიან შეკრებას ამჯერად საჩხერეში გაივლის. სულ კი, წლის ბოლომდე საქართველოს რეზერვისტთა ბატალიონებს ექვსი ასეული ექნებათ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ "ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ" ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, რაც სათანადოდ აისახა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში. ამასთან, ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში ძალიან დიდ როლს ასრულებს ის დახმარება, რომელსაც დონორი ქვეყნები, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებული შტატები უწევენ საქართველოს. ოფიციალურმა ვაშინგტონმა გუშინ კიდევ ერთხელ "დაუმტკიცა" მეგობრობა თბილისს, როდესაც "უსაფრთხოების პროგრამით" გათვალისწინებული 1,1 მილიონი დოლარის ღირებულების ტვირთი გადასცა. ამერიკის მთავრობის საჩუქარი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად ჩაიბარა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

"ამერიკელების ეს დახმარება ძალიან სასიამოვნოა და ძალიან გაგვიხარდება, თუ რუსეთიც იგივეს გააკეთებს,"- განაცხადა საქართველოს ლიდერმა ამერიკული სატვირთო თვითმფრინავის "GALAXY C-5"-ის ბორტთან. მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში არც ერთი უცხო ქვეყნის ბაზა არ განლაგდება და ხელისუფლების ზრუნვის საგანი საკუთარი ჯარის გაძლიერება იქნება.

ამერიკელების მიერ ჩამოტანილი დახმარება საკმაოდ მრავალფეროვანია. ტვირთის შემადგენლობაში შედის 50 ათასი კვადრატული მეტრი კომუფლიაჟის დაუმუშავებელი მასალა, 300 კომპლექტი "უდაბნოს" სტანდარტის სამხედრო ფორმა, ჯავშანჟილეტები, სამხედრო კარვები, კომპიუტერები თავისივე პროგრამით (საშტაბო სწავლებისთვის)... პრეზიდენტის თქმით, ეს საჩუქარი განკუთვნილია "კომანდოს ბატალიონისთვის", შინაგანი ჯარისა და რეზერვისტებისთვის. ცხადია, ამერიკულ დახმარებას ის ორი ასეულიც მიიღებს, რომელიც მალე ერაყში მყოფ ქართველ სამშვიდობოებს ჩაენაცვლება.

"ბოლო ხანს ჩვენი არმიის მომარაგება თითქმის გაოთხმაგდა. ეს იმდენად შეიარაღებას არ ეხება, რამდენადაც ჯარის ქმედითუნარიანობის ზრდას," - სიამაყით აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

გუშინ მან, ვაჟიშვილთან ერთად, "GALAXY C-5"-ის სალონიც მოინახულა. კითხვაზე, თუ როდის ექნება საქართველოს ამ ტიპის თვითმფრინავები, პრეზიდენტი პასუხობს: **"ამხელა თვითმფრინავები ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენთვის უკეთესია, გვყავდეს ბევრი პატარა ვერტმფრენი. სხვათა შორის, როდესაც პრეზიდენტი გავხდი, საქართველოს სულ ორი მოქმედი ვერტმფრენი ჰქონდა, ახლა კი მათი რაოდენობა 37-ს აღწევს. მალე ამაზე გაცილებით მეტიც გვეყოლება."**

მიხეილ სააკაშვილი სამოქალაქო ავიაციის პერსპექტივებზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ წელს თბილისის აეროპორტში, შარშანდელთან შედარებით, ორჯერ მეტი მგზავრი ჩამოვიდა.

"საქართველოში უკვე დაფრინავენ ჰოლანდიისა და ისრაელის ავიაკომპანიები. მალე მათ ბრიტანელები და შვეიცარიელებიც შეუერთდებიან. გარდა ამისა, "აირზენას" ამერიკიდან სამი ახალი "ბოინგი" ჩამოყავს. ასეთი მოძრაობა საქართველოში არასდროს ყოფილა," - დასძენს მიხეილ სააკაშვილი.

საჩუქრის გადმოცემის ცერემონიალს, საქართველოს პრეზიდენტის გარდა, ესწრებოდა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი.

ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

თბილისი. "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" წევრის მამუკა კაციტაძის განცხადებით, "მემარჯვენეები" არ იღებენ პრეზიდენტ სააკაშვილის შენიშვნას იმის თაობაზე, თუ რატომ არ მსახურობენ სარეზერვო სამსახურში.

სარეზერვო სამსახურის გავლა ნებაყოფლობითია, ამიტომ ოპოზიციას კანონდამრღვევად ვერავინ ცნობს. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები რეზერვისტებად იმიტომ მიდიან, რომ ძალიან ახალგაზრდები არიან და მანამდე არ ჰქონიათ ჯარში შეძენილი გამოცდილება. პრეზიდენტმა და უმრავლესობამ ჯერ ისეთი დონის გამოცდილება შეიძინონ, რაც მე შევიძინე 1992 წელს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და ოპოზიციას მერე გველაპარაკონ," - აცხადებს კაციტაძე.

მისივე თქმით, თუ საჯარო სამსახურში მაღალი თანამდებობის დასაკავებლად ერთ-ერთი პირობა სავალდებულო სამხედრო ან სარეზერვო სამსახურის გავლა იქნება, კანონს ყველა დაემორჩილება.

"ჯერჯერობით კი, ეს საკითხი ერთი ადამიანის ხუშტურებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მსგავსი არათანამიმდევრულობა დღევანდელ ხელისუფალთ ახასიათებთ. ოსიაურში მჭიდის დაცლა და ხინკლის ჭამა საკმარისი არ არის სამხედრო გამოცდილების შესაძენად. შეიძლება ხელისუფლებას სჭირდება საზოგადოებისთვის თვალის ასახვევი პოპულისტური ნაბიჯები, მაგრამ სამშობლოს დაცვაში პოპულიზმი უზნეობაა," - მიაჩნია კაციტაძეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ბაჩუკი ქარდავას განცხადებით, მათ თავის დროზე გამოთქვეს სურვილი, ემსახურათ რეზერვისტთა რიგებში, მაგრამ ხელისუფლებიდან ამაზე გამოხმაურება არ ყოფილა. სწორედ ამიტომ ედპ-სთვის მიუღებელია პრეზიდენტ სააკაშვილის შენიშვნა, რომ ოპოზიცია სარეზერვო სამსახურში არ ეწერება.

"სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები ქაოსურია. არ მესმის, რა პრობლემა აქვს, ასეთ პანიკურ განცხადებებს რომ აკეთებს. გასარკვევია, რა მიზანს ემსახურება სარეზერვო სამსახური; თუ ხელისუფლებას ისეთი გათვლა აქვს, როგორც ჰქონდა ცხინვალის რეგიონში, როცა მისი აქცია კრახით დასრულდა, ასეთ შემთხვევაში ჯანსაღ ოპოზიციას ამ ქმედებებთან კავშირი არ ექნება, ხოლო თუ რეალური საქმე კეთდება, მზად ვიქნებით ხელისუფლების გვერდით დავდგეთ," - აცხადებს ბაჩუკი ქარდავა.

ეროვნულ-დემოკრატების აზრით, პრეზიდენტი სააკაშვილი გვარდიის მსგავს შეიარაღებულ ფორმირებას ამზადებს და შეეცდება, რომ ამ ფორმირებაში თავისთვის სანდო ადამიანებს მოუყაროს თავი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ რეზერვისტთა მომზადების სისტემა თანამედროვე სტანდარტების დონეზე ააწყოს, - აცხადებს წინა მოწვევის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი.

მისი თქმით, ის ფაქტი, რომ პარლამენტარები რეზერვისტთა ბატალიონში ირიცხებიან, პოპულისტური და ხალხის დასანახად გადადგმული ნაბიჯია. ამ ნაბიჯით სურთ იმის დაფარვა, რომ თანამდებობის პირების შვილები სამხედრო სამსახურს თავს არიდებენ.

ირაკლი ბათიაშვილი პრეზიდენტს მოუწოდებს, ამ საკითხით დაინტერესდეს. "კარგი იქნება, თუ მიხეილ სააკაშვილი მისი თანაგუნდელების სიას დაიკავებს და გაარკვევს, რომლის შვილი მსახურობს ჯარში. დარწმუნებული ვარ, ასეთი ცოტა აღმოჩნდება," - აღნიშნა ბათიაშვილმა.

ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის დაკავებისა და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმების უფლება არ უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ მათ, რომლებიც რეზერვისტთა ბატალიონში ჩარიცხვაზე უარს იტყვიან, არამედ მათაც, რომლებიც სამხედრო სავალდებულო სამსახურს თავს აარიდებენ. **მედია-ნიუსი**

IREX

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡᲡᲐᲑᲭᲝ (IREX)

DEPARTMENT OF STATE UNITED STATES OF AMERICA

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲨᲨ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲡ:

ევრაზიის სტუდენტურ გაცვლით პროგრამა (UGRAD) - პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების პირველი, მეორე და მესამე* (* მხოლოდ ხუთწლიანი პროგრამის) კურსის სტუდენტებს. კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები ისწავლიან აშშ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. პროგრამაში მონაწილეობის შედეგად არ მოხდება აკადემიური ხარისხის მინიჭება. პროგრამა სრულად ფინანსდება აშშ მთავრობის მიერ. Iგი მოიცავს შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: ფინანსები, სოფლის მეურნეობა, ამერიკანისტიკა, ბიზნესი, კომპიუტერული მეცნიერება, სისხლის სამართალი, ეკონომიკა, განათლება, გარემოს დაცვის მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, სამართალი, პოლიტიკური მეცნიერება, ფსიქოლოგია და სოციოლოგია.

ევრაზიის სტუდენტურ გაცვლით პროგრამის ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 12 ნოემბერი, 5:00.

ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამა (Mუსკიე) - პროგრამა საშუალებას აძლევს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს, მაგისტრატურის სტუდენტებსა და სხვა პროფესიონალებს ისწავლონ აშშ უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებში ერთი ან ორი წლის მანძილზე (მაგისტრის ხარისხის მიჭებით ან მინიჭების გარეშე). პროგრამა აგრეთვე საშუალებას აძლევს მსურველებს მონაწილეობა მიიღონ სადოქტორო პროგრამაში. (მხოლოდ საქართველოს, ყაზახეთის, რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეებისათვის). Pროგრამა სრულად ფინანსდება აშშ მთავრობის მიერ და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: ბიზნესის მართვა, ეკონომიკა, განათლება, გარემოს დაცვის მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, სამართალი, საბიბლიოთეკო საქმე და საინფორმაციო მეცნიერება, სახელმწიფო მართვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და საზოგადოებრივი პოლიტიკა.

ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამა ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 12 ნოემბერი, 5:00.

აღნიშნული პროგრამების ანკეტების მიღება და ჩაბარება შესაძლებელია საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) ოფისში. ანკეტების ჩამოტვირთვა აგრეთვე შესაძლებელია IREX-ის ვებ-გვერდებიდან www.irex.org ან www.irex.ge. დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით IREX-ის ოფისს: ნუგზარ საჯაიას ქ. N 8. ტელ/ფაქსი: 29 19 05; ელ-ფოსტა: programs@irexonline.ge

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ᲤᲝᲢᲝ: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. ᲡᲢᲘᲚᲘ: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ - ზურაბ ჯაოშვილი.

მის უწმიდესობას და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის თავმჯდომარეს

(მიმართვა გაეგზავნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრ ყველა მღვდელმთავარს)

გიგიტა ბუხაიძის ფოტო

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ცხოვრებაში და დღითი დღე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისი მონაწილეობის დონე და ხარისხი სახელმწიფოს აღმშენებლობისა და საზოგადოების ფორმირების საქმეში, რამეთუ მართალია საბჭოურმა სისტემამ რღვევა განიცადა, მაგრამ მისი სრული დემონტაჟი შედარებით ხანგრძლივი პროცესია და მასთან ორგანულ კავშირშია მასზედ უფრო რთული პროცესი, რაც დაკავშირებულია საბჭოური სისტემისათვის დამახასიათებელი აზროვნების გარდაქმნასთან. ასეთ ვითარებაში საზოგადოებაში იბადება მრავალი შეკითხვა ეკლესიის მისამართით, რომლისკენაც მიპყრობილია მათი იმედიანი მზერა, თუმცა კი ბევრი რამ მისთვის გაუგებარია. ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს იმ ანომალური მოვლენისაგან განთავისუფლებას, როდესაც ეკლესიის წევრები ეკლესიაზე მესამე პირში საუბრობენ, რაც ათეისტური იდეოლოგიის მიერ საზოგადოებაში დატოვებულ ბალასტს წარმოადგენს. ამისკენ იყო მიმართული ჩვენი პუბლიკაციები და ინტერვიუები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ჩვენეული ხედვა სხვადასხვა პრობლემებისა და არსებითად მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ.

თქვენო უწმიდესობავ, ასევე მოგახსენებთ, რომ ცხინვალში და მის ირგვლივ უკანასკნელ ხანს განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა აღაშფოთა სრულიად საქართველო და მათ შორის ჩვენც. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა წმიდა სინოდს გამოეხატა თავისი აზრი და გაკეთებულიყო შესაბამისი განცხადება, მაგრამ რამდენადაც წმიდა სინოდის საგანგებო სხდომა არ იქნა მოწვეული, აუცილებლად მივიჩნიეთ გამოგვეთქვა ჩვენი დამოკიდებულება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან მიმდინარე აგრესიასა და ასევე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე რუსეთის ეკლესიის მიერ განხორციელებული ანტიკანონიკური ქმედებების მიმართ.

ჩვენ მიერ გამოთქმულმა შეხედულებებმა, რომლებიც სრულ თანხმობაშია ეკლესიის მოძღვრებასთან და საეკლესიო ტრადიციასთან, დაიმსახურა საზოგადოების უმრავლესობის მოწონება და მხარდაჭერა. ქვეყნის ხელისუფლება, სხვადასხვა ეროვნების და რელიგიური მრწამსის ადამიანები სრულად აცნობიერებენ საქართველოს წინაშე არსებული ამოცანების სიმწვავეს და მათი გადაჭრის საქმეში ჩვენი ერთიანობის აუცილებლობას. საქართველოს ხელისუფლებამ მკაფიოდ განაცხადა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის პრიორიტეტების შესახებ; იდგმება ნაბიჯები საზოგადოების კონსოლიდაციის მიზნით.

ამ პირობებში გარკვეულმა ძალებმა მიზნად დაისახეს ყურადღების გადატანა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემებიდან მათ მიერვე შეთხზულ ჭორზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ უკანასკნელი თვეების მანძილზე ეკლესიის მრევლში ვრცელდება აზრი, თითქოს მზადდება საქართველოს ეკლესიის მეთაურის გადაყენება და იწყება მართლმადიდებლობის დევნა. ამ მითის გავრცელებაში აქტიურად მონაწილეობენ ეკლესიის მრევლის რადიკალურად განწყობილი ნაწილი და მათი სულიერი წინამძღვრები, ცალკეული პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც ამოძრავებთ საკუთარი პოლიტიკური მიზნები და არა ღრმადგააზრებული რელიგიური მოტივები, ასევე საშუალო და მაღალი რანგის სასულიერო პირთა წარმომადგენლებიც კი. ამაში აქტიურად ჩართული აღმოჩნდა მათ მიერ შექმნილი და კონტროლირებადი ორგანიზაციები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც მოხერხებულად მანიპულირებენ საპატრიარქოს და თვით კათოლიკოს-პატრიარქის სახელით, რაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ამაზე დუმილი დანაშაულად მიგვაჩნია.

ყოველივე ამის გამო გადავწყვიტეთ მოგახსენოთ შემდეგი: აღნიშნული პროცესი მიმართულია ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაუარესებისა და შიდა საეკლესიო ცხოვრებაში არეულობის შექმნისაკენ, რასაც მოჰყვება გამოუსწორებელი შედეგები ჩვენი სამშობლოსათვის. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობას ჩაესახა იმედი მომავლისა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ქვეყნის წინაშე დაგროვილი ურთულესი პრობლემების წარმატებული გადაწყვეტისა და ევროპულ ოჯახში ღირსეული ადგილის დამკვიდრებასთან. ამის განხორციელება კი დიდად არის დამოკიდებული საქართველოს ხელისუფლების გაწონასწორებულ და გონივრულ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ საქმიანობაზე. ასევე მნიშვნელოვანია ამ პროცესში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქმედითი მონაწილეობა, რის გარეშეც წარმოუდგენლად გვესახება აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის წინაშე არსებული ამოცანების შესრულება. ამას გრძნობს ყოველი ადამიანი, ვინც სწორად აცნობიერებს საქართველოს ეკლესიის როლს ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში არა მხოლოდ წარსულში, არამედ აწმყოსა და მომავალშიც. ზემოთ აღნიშნული ძალების სურვილია სწორედ რომ არ დაუშვან საქართველოს ეკლესიის გაძლიერება და მისი მართვის ტრადიციული სისტემის ამოქმედება, რაც საფუძველს გამოაცლის მათ ანტიეკლესიურ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს. ასევე მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოსთან კონსტრუქციული დიალოგი და თანამშრომლობა ერთობლივი ინტერესების სფეროში შესაძლებელს გახდის ჭეშმარიტად ქვეყნისა და ერის სასიკეთო, დიდი და მნიშვნელოვანი საქმეების აღსრულებას.

ასეთ ვითარებაში ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ის აღვირახსნილი კამპანია ქართულ პრესაში, რასაც ნამდვილად ვერ ვუწოდებთ პოლემიკას, ვინაიდან აბსოლუტურად იგნორირებულია, როგორც სამოქალაქო, ასევე რელიგიური ეთიკის ელემენტარული ნორმები. ადგილი აქვს ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდასა და აშკარა პოლიტიკურ განცხადებებს, რომლებიც თითქოსდა საქართველოს საპატრიარქოსთან და უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქთან არის შეთანხმებული, რაც სწორედ რომ ეკლესიის და მისი მეთაურის წინააღმდეგ არის მიმართული და რაზედაც, სამწუხაროდ და ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, დუმილს ამჯობინებენ საპატრიარქოს ის სტრუქტურები, რომლებიც აქტიურად უნდა რეაგირებდნენ ამ მოვლენებზე. მათი დუმილი და ის ფაქტი, რომ ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდაში აქტიურად არიან ჩაბმული საქართველოს ეკლესიის წიაღში გამომავალი ჟურნალ-გაზეთებიც კი, საფუძვლიანი ეჭვების მიზეზი ხდება და ფაქტობრივად შეცდომაში შეჰყავს ფართო საზოგადოება.

ამის გარდა აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მესამე პუნქტში ნათქვამია: ''ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.'' ეს კი გულისხმობს ეკლესიის სერიოზულ პასუხისმგებლობას იმ უკანონო ქმედებების შემთხვევაში, რომლებიც არღვევენ ქვეყნის კანონმდებლობას.

ყოველივე ამას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა, არამედ თვით მართლმადიდებელი ეკლესიაც, რომლის როლი, როგორც წარსულში, ისე დღესაც განუზომელია ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა და ქართველი ხალხის კეთილდღეობის საქმეში. ცხოვრება ეკლესიისაგან ითხოვს დროულ და ადეკვატურ რეაგირებას მთელ რიგ საკითხებზე, რომელთაც ჩვენ წინაშე სვამს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღმშენებლობის პროცესში მყოფი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის სინამდვილე. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ორი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამოიარა ურთულესი და უმძიმესი ისტორია, რაც აისახა კიდეც მის ცხოვრებასა და საეკლესიო ყოფის სხვადასხვა მხარეზე.

მათ შორის უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად მოიშალა სისტემა, რომელიც ეხმარებოდა წმიდა სინოდს, ეკლესიის მეთაურსა და ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრებს ეკლესიის მართვა-გამგეობის საქმეში და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. ნამდვილად აღნიშვნას იმსახურებს ის, რომ უდიდესია პასუხისმგებლობა ეკლესიის მეთაურისა ღვთისა და ერის წინაშე და ასევე განუზომელია წმიდა სინოდის წევრთა პასუხისმგებლობა იმ ვალდებულებებიდან გამომდინარე, რომლითაც ისინი აღჭურვილნი არიან, როგორც მოციქულთა მემკვიდრენი და წმიდა სამების მადლით ხელდასხმული მღვდელმთავრები (მოციქულთა კანონი N 34, 37).

იმ ურთულესი მისიის ღირსეულად განხორციელების მიზნით, რომელიც აკისრია წმიდა სინოდს, კათოლიკოს-პატრიარქს და მთელ ეკლესიას, ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის სისტემური მოწესრიგება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოგმართოთ თქვენ, როგორც საქართველოს ეკლესიის მეთაურსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის თავმჯდომარეს, რათა წმიდა სინოდის სხდომაზე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად გამოტანილ იქნეს შემდეგი საკითხები:

წმიდა სინოდის სამდივნოს შექმნა. ამის განხორციელება მკვეთრად გაზრდის და გააუმჯობესებს სხდომების მომზადებისა და ჩატარების ხარისხს; ასევე გაუწევს კონტროლს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. მიგვაჩნია, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ობიექტურ მიზეზთა გამო მართმადიდებელი ეკლესიისათვის ორგანულად დამახასიათებელმა კრებითობამ, რაც ასახულია საქართველოს ეკლესიის ცხოვრების ტრადიციაში, განიცადა დაკნინება და დღეს ვდგავართ შიდა საეკლესიო ცხოვრების სისტემური მოწესრიგების აუცილებლობის წინაშე, რაც შესაძლებელს გახდის დროულ და ადეკვატურ რეაგირებას თანამედროვე ცხოვრების გამოწვევებზე. წმიდა სინოდის როლის დაკნინება საეკლესიო ცხოვრების მოწყობისა და მართვის საქმეში დამატებით სირთულეებს უქმნის ეკლესიას და ეწინააღმდეგება ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მეორე თავის პირველ პარაგრაფს, სადაც აღნიშნულია, რომ "საქართველოს ეკლესიაში უმაღლესი ხელისუფლება მოძღვრების, საეკლესიო მმართველობისა და საეკლესიო სასამართლოს სფეროებში, ანუ - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის საქართველოს ეკლესიის საეკლესიო კრებას - საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს. "**ამ მოთხოვნის იგნორირების შედეგად ეკლესია მოკლებულია შესაძლებლობას, წარდგეს საზოგადოების წინაშე შეჯერებული და დასაბუთებული პოზიციით ყველა მწვავე და მნიშვნელოვან საკითხზე.**

სინოდალური კომისიების შექმნა, რომლებიც კოორდინაციას და ხელმძღვანელობას გაუწევენ სხვადასხვა მიმართულებით საეკლესიო სტრუქტურების საქმიანობას და პერიოდულად ანგარიშს წარუდგენენ წმიდა სინოდს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მართვა-გამგეობის დებულებაში სათანადო ცვლილებების, შესწორებების და დამატებების შეტანა; აუცილებელი პროცედურების დადგენა. ასევე საჭიროდ მიგვაჩნია სხვადასხვა დებულების და წესდებების შემუშავება, მათ შორის **საეკლესიო სასამართლოს**, მონასტრებისა და ბერ-მონოზვნობის, სამრევლო საბჭოების, სასულიერო სასწავლებლებისა და სხვათა შესახებ. გადაწყვეტილება ამ ნორმატიული აქტების შემუშავების შესახებ მიღებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე 1995 წელს, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

კონსტიტუციურ შეთანხმებაში სათანადო ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა და მღვდელმთავრების მიმართ არსებული უკანონო შეზღუდვების მოხსნა.

ეპარქიების ისტორიული სახელწოდებების აღდგენა.

XIX-XX საუკუნეებში მეფის რუსეთისა და საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს რეპრესირებულ და უსამართლოდ დასჯილ-გასამართლებულ სასულიერო პირთა რეაბილიტაციის მიზნით სათანადო კომისიის შექმნა.

ეკლესიის სოციალური კონცეფციის შემუშავება.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებისა და მათში მოსკოვის საპატრიარქოს მონაწილეობის შეფასება.

საქართველოს ეკლესიის საკუთრების აღწერა და მართვა.

სასულიერო პრესის მდგომარეობა.

დსთ-ს რელიგიათშორის საბჭოში საქართველოს ეკლესიის გაწევრიანების კანონიერების და მიზანშეწონილობის შესახებ.

ღრმად გვწამს, რომ აღნიშნულ საკითხთა განხილვა, მათზე გადაწყვეტილებების მიღება და მათი ცხოვრებაში გატარება იქნება საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში ფერისცვალების ტოლფასი მოვლენა. ასევე გვჯერა თქვენი უწმიდესობის მხარდაჭერისა აღნიშნულ საკითხთა გადაწყვეტაში, რამეთუ თქვენი ღრმად სულიერი აზროვნება ყოველთვის თანაარსებობდა თქვენს პროგრესულ შეხედულებებთან. სწორედ ამის იმედი გვაქვს დღესაც, ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის ცხოვრების ამ ურთულეს და უმიშვნელოვანეს პერიოდში.

† აბრაამი, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი
† გრიგოლი, ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი
† ზენონი, დმანელი ეპისკოპოსი

20. 9. 2004

bp btc SCP South Caucasus Pipeline

პრეს-რელიზი

კომპანია BP აფორმებს კონტრაქტებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტის გასწვრივ გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის განსახორციელებლად

BP, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების ოპერატორი კომპანია, სიამოვნებით გაუწყებთ, რომ 2004 წლის სექტემბერში მან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას Save the Children გაუფორმა კონტრაქტი *"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მარშრუტის გასწვრივ არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გასაფართოებლად მცირე გრანტების პროგრამის მართვაზე"*. ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტების გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) ფარგლებში ეს საქართველოში გაფორმებული მესამე კონტრაქტია.

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის ძირითადი ამოცანაა განახორციელოს ბიომრავალფეროვნების აღდგენისა და კონსერვაციისკენ მიმართული ღონისძიებები. $3 მლნ ღირებულების გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა მთელ რიგ თემებად იყოფა, რომლებიც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ადგილობრივ და საერთაშორისო მონაწილე მხარეებთან გამჭვირვალე კონსულტაციების პროცესში გამოვლინდა.

პროექტის ზოგადი ამოცანაა განავითაროს არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები, რათა მათ მოქალაქეები გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ გათვითცნობიერების, განათლების და სოციალური განვითარების სფეროში ჩართონ. აღნიშნულის მისაღწევად, ნავთობსადენისა და გაზსადენის მარშრუტის გასწვრივ მდებარე რაიონებში არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორი გაძლიერდება. შეირჩევა ექვსი არასამთავრობო ორგანიზაცია და "სპეციალიზებული დახმარების პაკეტების" მეშვეობით ისინი გრძელვადიანი საშუამავლო დამხმარე ორგანიზაციების ფუნქციას შეიძენენ. ეს მათ შესაძლებლობას მისცემს ჩაატარონ ტრეინინგები, გადასცენ ინფორმაცია, მოწყობილობები, საკომუნიკაციო საშუალებები და საოფისე აპარატურა და გასწიონ სხვადასხვა ტიპის მომსახურება, რათა საბაზისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეასრულონ თავიანთი მანდატი და ხალხისა და გარემოს სამსახურში ჩადგნენ.

ადგილობრივი და ღია გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მეშვეობით, დამატებით 26 არასამათავრობო ორგანიზაცია მიიღებს გრანტს, რათა მათ გარემოსდაცვითი ან/და სოციალური განვითარებისკენ მიმართული პროექტები განახორციელონ. აღნიშნული პროექტები საზოგადოებრივი განათლების/გათვითცნობიერების და მონაწილეობის კომპონენტებს უნდა აერთიანებდეს. ამ 26 საბაზისო ორგანიზაციას მთელი პერიოდის მანძილზე ექვსი საშუამავლო დამხმარე ორგანიზაცია აღმოუჩენს დახმარებას. Save the Children და მისი პარტიორები ყველა ორგანიზაციას მრავალმხრივ ტრეინინგებს ჩაუტარებს.

პროექტის საქმიანობა 2004 წლის სექტემბერში დაიწყო და 2006 წლის დეკემბერში დასრულდება.

ჩვენ გვწამს, რომ *არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაფართოებისკენ მიმართული მცირე გრანტების პროგრამა* BP-ის და მიმღებ არასამთავრობო ორგანიზაციებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას შექმნან უნარ-ჩვევების ის საფუძველი, რომელიც დადებითად იმოქმედებს საქართველოს ცოცხალი ბუნების გრძელვადიან დაცვაზე.

მოკლედ

ტრაქტორები უფასოდ

"24 საათი" უკვე წერდა, რომ წლის ბოლოდან ქუთაისის ავტოქარხანა, ხარკოვის ავტოქარხანასთან ერთად, ტრაქტორების გამოშვებას იწყებს. საწარმო მომავალი წლიდან 35 ცხენის ძალის მქონე 30-მდე ტრაქტორის გამოშვებას ვარაუდობს. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გეგმავს, ქუთაისში გამოშვებული ტრაქტორების პირველი პარტია გლეხებს უფასოდ დაურიგოს.

ამასთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფერმერების ტრაქტორებით მომსახურების სერვისცენტრების შექმნასთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსი უკვე დამთავრდა. კონკურსის შემდეგ, მთელი ქვეყნის მასშტაბით 10 სერვისცენტრი უნდა შეიქმნას. ამ სერვისცენტრებმა გლეხებს იაფი და კვალიფიციური ფერმერული კონსულტაციები უნდა გაუწიოს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ სერვისცენტრების შექმნა გლეხებისა და ფერმერებისთვის დიდი შეღავათი იქნება.

ამ ეტაპზე საკონკურსო კომისია სერვისცენტრების შექმნასთან დაკავშირებით შემოსულ განცხადებებს განიხილავს. კონკურსის პირობის თანახმად, სერვისცენტრების შექმნას ის 10 გამარჯვებული შეუდგება, რომლებიც სამინისტროსგან 70-70 ათას ლარს მიიღებენ.

24 საათი

ენერგოსაბოტაჟი გრძელდება

გუშინ ღამით, 01.00 საათზე, საჩხერის რაიონში, სოფელ ჭერათხევში აფეთქების ხმა 8-ჯერ გაისმა. დაუდგენელმა პირებმა 500-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის ორი ანძა ააფეთქეს. ასაფეთქებელი მოწყობილობა ანძების ყველა საყრდენზე იყო დამონტაჟებული.

აღნიშნულ ფაქტამდე ცოტა ხნით ადრე განხორციელდა მეორე დივერსია. ქართლში, სოფელ შავშვებთან, ოსური სოფლის წითელუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ორ ანძაზე განხორციელებული დივერსიის გამო დაზიანებულია ორი ხაზი, 220-იანი და 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "ქართლი-2", რომლის შეკეთებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. მომხდარი დივერსიის გამო, საბოტაჟის მუხლით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. აფეთქების ადგილი გუშინ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მოინახულა. როგორც გაირკვა, ხაზის სისტემაში ჩართვას რამდენიმე დღე დასჭირდება. ამჟამად თბილისს დენი შემოვლითი გზით მიეწოდება, რის გამოც პიკის საათებში მოსალოდნელია დეფიციტის შექმნა.

მომხდარის მიუხედავად, გამორთვას გადაურჩა მე-9 ენერგობლოკი, რომელიც ამჟამად 190 მეგავატი სიმძლავრით მუშაობს.

აფეთქებული ხაზების ოპერატორი "საქრუსენერგო" აღდგენით სამუშაოებს დაუყოვნებლივ დაიწყებს. სავარაუდოდ, დაზიანებათა აღდგენა ნახევარი მილიონი ლარი დაჯდება, აღდგენითი სამუშაოები კი დაახლოებით ორ-სამ კვირას გასტანს. მანამდე, სანამ ხაზები მწყობრში ჩადგება, აღმოსავლეთ საქართველო (მათ შორის, დედაქალაქიც) დენს მნიშვნელოვანი შეზღუდვით მიიღებს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟაზე ამერიკული ჰუმანიტარული ხორბლის რეალიზაცია 8 ოქტომბერს გაგრძელდა. ამჯერად 2 ათასი ტონა ხორბალი გაიყიდა. ვაჭრობაში 40-მდე ორგანიზაცია მონაწილეობდა. წისქვილკომბინატებმა ამერიკული ჰუმანიტარული ხორბლიდან 3500 ტონა ამერიკული ხორბალი შეისყიდეს. საქართველომ ამერიკიდან დახმარების სახით 50 ათასი ტონა ჰუმანიტარული ხორბალი 14 სექტემბერს მიიღო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ნინოწმინდის, წყაროსთავისა და საგარეჯოს მოსახლეობას ნავთობის ამოხეთქვით მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებენ," - დაასკვნა საგანგებოდ შექმნილმა სამთავრობო კომისიამ. დაზიანებულმა ფართობმა ნინოწმინდაში შეადგინა 220 ჰა, წყაროსთავში - 62 ჰა, საგარეჯოში -120 ჰა. დაზიანებულია ვაზის, ბოსტნეული კულტურების და ხეხილის ნაყოფი და ფოთლები. სადაზღვევო კომპანია მზად არის, რაოდენობის დაზუსტების შემდეგ ზარალი აანაზღაუროს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარასკევს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ამერიკის ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა და საქართველოს სალიზინგო კომპანია GLC-ის ხელმძღვანელმა გიორგი ფუტკარაძემ ხელი მოაწერეს სასესხო ხელშეკრულებას საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციის (OPIC) მიერ ქართული სალიზინგო კომპანია GLC-თვის მილიონ დოლარიანი სესხის გამოყოფის შესახებ. როგორც საქართველოს სალიზინგო კომპანია GLC-ის წარმომადგენელმა გიორგი ფუტკარაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ამ სესხით კომპანია მცირე და საშუალო საწარმოების სალიზინგო პორტფელის გაფართოებას შეუწყობს ხელს და მათ, ძირითადად, სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სექტორებში მანქანა-დანადგარების განახლება-მოდერნიზაციაში დაეხმარება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მალე ტრაქტორების წარმოება დაიწყება. ქუთაისის საავტომობილო ქარხანას წარმოების გამართვაში ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა დაეხმარება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ქუთაისის საავტომობილო ქარხანასა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხანას შორის ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით შერვაშიძის უკრაინაში ვიზიტის შემდეგ გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, ქართულ-უკრაინული ერთობლივი საწარმო წლის ბოლომდე 30 ერთეულ ტრაქტორს გამოუშვებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის 2005 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 57 მილიონი ლარი დარგის განვითარებისთვის არასაკმარისად მიაჩნია მინისტრ დავით შერვაშიძეს. მისი ინფორმაციით, მიმდინარე წელთან შედარებით 6 მილიონი ლარით გაიზარდა დაფინანსება, მაგრამ 5 მილიონი ლარით (19 მილიონი 700 ათასი ლარიდან - 14 მილიონ 700 ათას ლარამდე) მცირდება მიზნობრივი პროგრამებისთვის გათვალისწინებული თანხები. 2005 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად დონორი ორგანიზაციებიდან გრანტებისა და კრედიტების სახით 28 მილიონი ლარის მიღებაა დაგეგმილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ეკონომისტთა ასოციაციის ინიციატივით, მსოფლიო ეკონომისტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ეკონომისტები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და ხელისუფლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. შეხვედრას სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად დანიშნული პრორექტორი რუსუდან ლორთქიფანიძეც დაესწრო. ამ დღესთან დაკავშირებთან საპატიო სიგელით და ფულადი პრემიით უხუცესი ქართველი ეკონომისტი რაფიელ მელაძე დაჯილდოვეს. **მედია-ნიუსი**

ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

12 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), ვარდისუბნის, ქვიშხეთის, ქსნის, არბოს, ერწოს ქუჩების მაცხოვრებლებს.

12 ოქტომბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
ჩიქოვანის, ახალშენის ქუჩების მაცხოვრებლებს.

13 ოქტომბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), გამსახურდიას აღმართის, ენგურის ქუჩის მაცხოვრებლებს.

13 ოქტომბერს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:
თავისუფლების მოედნის, პურის მოედნის, გორგასლის(ნაწილობრივ), თუმანიანის, ორპირის, სამღებროს, იერუსალიმის, ხანძთელის, ღესელიძის, შარდენის, ერეკლე მეორის, სიონის, აბანოს, ირგვლივის, ბოტანიკურის, ჯვარედინის, უკრაინკას, ჭონქაძის, ნიაღვარის, მთაწმინდის, რკინის რიგის, ბამბის რიგის, კოტეტიშვილის, ინგოროყვას, ჩიტაძის, ოძელაშვილის, ყიფიანის, ძმ. ზუბალაშვილების ქუჩების მაცხოვრებლებს.

13 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
თემქის IV კვარტლის, გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), ცოდნისკარის, შატილის, საჩხერის, ტყიბულის, ირემაშვილის, ხვანჭკარის, ურეკის ქუჩების მაცხოვრებლებს.

13 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
ხევძმარის, იპოლიტოვ-ივანოვის, ილორის ქუჩების მაცხოვრებლებს.

"თბილგაზს" გაზის ტარიფში თავისი მარჟა ეცოტავება

არ არის გამორიცხული, "თბილგაზმა" გაზის განაწილების საფასურის გაზრდა მოითხოვოს

მაია ურუშაძე

ამ ცოტა ხნის წინ სემეკ-ის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გაზის ტარიფის 2,6 თეთრით შემცირების თაობაზე, ნაადრევი სიხარული გამოიწვია. საქმე ისაა, რომ მაშინ სემეკ-მა "თბილგაზს" საკუთარი გაანგარიშებების წარმოდგენა მოსთხოვა, რომლის თანახმადაც კომისიას გაზის ახალი, შემცირებული ტარიფი უნდა დაედგინა. თუმცა, "თბილგაზმა" იმდენი და ისე იანგარიშა, რომ ახლა, შესაძლოა, კომისიას გაზის ტარიფის შემცირების ნაცვლად, მისი გაზრდა მოუხდეს. ეს რომ ასე არ მოხდეს, კომისიას "თბილგაზთან" გარკვეულ დათმობაზე მოუწევს წასვლა. არ არის გამორიცხული, არსებული ტარიფის შენარჩუნების სანაცვლოდ, "თბილგაზმა" თბილისელებს გაზზე ტარიფის გათვლის ახალი ვარიანტი შესთავაზოს და ფიქსირებული გადასახადი დაუწესოს. ოფიციალური სატარიფო გათვლა თბილისის გაზგამანაწილებელმა კომპანიამ მარეგულირებელ კომისიას სამშაბათს უნდა წარუდგინოს.

"თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე უარყოფს კომპანიის მიერ 320-ლარიანი ტარიფის თუნდაც სამუშაო ვარიანტის დონეზე დამუშავებას.

იური ლოგოდინის ფოტო

შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, რომელიც ქვეყანაში გაზის საკითხებსაც არეგულირებს, გაზის ტარიფის კორექტირება ქვეყანაში ეროვნული ვალუტის დოლართან მიმართებაში კურსის ცვლილების გამო გადაწყვიტა და, სხვათა შორის, ამავე ფაქტორის გამო, კარგა ხანს – თითქმის ორ თვეს ვერ მოახერხა.

თუ მანამდე ტარიფი 1000 კუბურ მეტრზე 199 ლარი იყო, კომისიის გადაწყვეტილებით ის 26 ლარით შემცირდა, რასაც სამომხმარებლო ტარიფის 1 კუბურ მეტრზე 2,6 მეათედი ლარით შემცირება უნდა გამოეწვია.

კომისიაში ელოდნენ, რომ სემეკ-ის გადაწყვეტილებას შესაბამისი გამოძახილი ექნებოდა "თბილგაზშიც" და კომპანია თავის შესაბამის გათვლებს ჯერ კიდევ გასული თვის ბოლომდე წარმოადენდა, მაგრამ ამაოდ. "უნდა ვნახოთ კომპანიის ხარჯები, ჩავატაროთ დეტალური ანალიზი," – აცხადებდა მაშინ სემეკ-ის წევრი ირმა ქავთარაძე "24 საათთან" ინტერვიუში.

მაგრამ, "თბილგაზის" გაანგარიშებით, მიუხედავად სემეკ-ის მიერ გაზის მარჟის შემცირებისა, გაზის საცალო მოხმარების ტარიფი 320 ლარი უნდა იყოს, რადგან 1000 კუბური მეტრი გაზის განაწილება 152 ლარი უნდა დაჯდეს. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, გაზის ტარიფში "თბილგაზი" თავის წილად 152 ლარს მიიჩნევს.

"თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე უარყოფს კომპანიის მიერ 320-ლარიანი ტარიფის თუნდაც სამუშაო ვარიანტის დონეზე დამუშავებას. **"ასეთი ტარიფი ჩვენ სამუშაო ვერსიებშიც კი არ განგვიხილავს,"** – განუცხადა მან "24 საათს". თუმცა, სემეკ-ში ახლაც ახსოვთ "თბილგაზის" მიერ ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინ გაკეთებული სატარიფო გათვლები, რომელთა თანახმადაც გაზის დისტრიბუციის ხარჯები სოლიდურად უნდა გაზრდილიყო. სემეკ-ის სტრუქტურაში დასაქმებული ის პირები, ვის ხელშიც "თბილგაზის" მიერ ამჟამად შესრულებული წინასწარი სატარიფო გათვლები აღმოჩნდა, მიიჩნევენ, რომ ეს გათვლები ძველისგან თითქმის არაფრით განსხვავდება.

ახალ გათვლებში კი, რომელიც "24 საათს" ხელთ სანდო წყაროდან ჩაუვარდა, შედის "თბილგაზის" როგორც საექსპლუატაციო, ისე 12-პროცენტიანი დანაკარგების ხარჯებიც, გადასახადები და კომპანიის წმინდა მოგება 2,5 ლარის ოდენობით (რომელიც, სხვათა შორის, მოგების გადასახადით – 50 თეთრით იბეგრება).

გაანგარიშებაში ყველაზე სოლიდური წილი ხელფასებსა (25,57 ლარი) და აღრიცხვიანობის სისტემის მოწესრიგებაზეა (35,51 ლარი) გათვალისწინებული. ეს მაშინ, როცა "თბილგაზში" მართვის უფლებით "ახალი მენეჯმენტის" შეშვების უმთავრესი პირობა საკადრო ოპტიმიზაცია და გამრიცხველიანება იყო. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მასალების ხარჯები (10,99 ლარი).

ჩანს, "თბილგაზმა" თავისი ე.წ. "უხეში სამუშაო გათვლები" კომისიას წინასწარ იმის გამო მიაწოდა, რომ ნათლად დაენახვებინა ტარიფში თავისი წილის შემცირებაზე საუბრის უსაფუძვლობა. კითხვაზე, მიიჩნევს თუ არა, რომ გაზის ტარიფში დისტრიბუციის მარჟა საკმარისი არ არის, "თბილგაზის" გენერალური დირექტორი პირდაპირ პასუხს თავს არიდებს და განმარტავს, რომ თუ ტარიფის დაანგარიშების მეთოდოლოგია შეიცვლება, მაშინ საბოლოო ჯამში გამოვა, რომ სამომხმარებლო ტარიფი შემცირდება.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიქსირებული ტარიფის შემთხვევაში "თბილგაზი" მოახერხებს, მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები მთლიანად ფიქსირებულ განაკვეთში გაუშვას. გარდა ამისა, მოახერხებს, მუდმივად იღებდეს გარანტირებულ თანხას გაზის იმპორტის დასაფინანსებლად.

მეორე საკითხია, რამდენად სამართლიანია თავად ფიქსირებული გადასახადის არსებობა. როგორც "24 საათთან" საუბრისას "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა დააზუსტა, კომპანიის ანალიტიკოსთა წინადადება ასეთია: მომხმარებლები "თბილგაზის" მომსახურებისთვის ერთგვარ სააბონენტო, ფიქსირებულ გადასახადს გადაიხდიან, რომელსაც მათ მიერ მოხმარებული გაზის ოდენობის მიხედვით გამოწერილი თანხა დაემატება. მორჩილაძე მიიჩნევს, რომ მის მიერ კომისიისთვის შეთავაზებული ვარიანტი ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალია.

დაეთანხმება თუ არა მორჩილაძეს სემეკ-ი და შეეცდება თუ არა, რომ გაზზე სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა ამ ვარიანტის დაკანონებით აიცილოს თავიდან, ჯერჯერობით, უცნობია. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ გაზის ტარიფის მომატების თავიდან აცილებას კომისია, სავარაუდოდ, მაქსიმალურად შეეცდება.

ქართული ეკონომიკის 70 პროცენტი კვლავ ჩრდილოვანია

გურამ ტულუში
ანტიკორუფციული კავშირის "ენერგია"-ს საბჭოს თავმჯდომარე

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ არ კმარა. დღეს ყველა პოლიტოლოგობს, იდეოლოგობს, ექსპერტობს, პროფესიონალობს და ყველა, განურჩევლად ეროვნების, ასაკის თუ ცეწნისა – გვმოძღვრავს და ჭკუას გვასწავლის, მაგრამ არავინ მიგვანიშნებს, როდის და როგორ გადავიდეთ დაუმთავრებელი მოძღვრებებიდან რეალურ საქმეზე, როგორ ავაღორძინოთ სამამულო მრეწველობა, რომ დროულად ეშველოს ქვეყნის ეკონომიკას.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები

არავინ ამბობს, რომ ქვეყნის საბიუჯეტო რესურსი ოთხი მილიარდი ლარის ფარგლებშია, რომ 30%-საც ვერ ან არ ვითვისებთ, რომ 70% კვლავ ჩრდილოვანი ეკონომიკაა, რომ გასულ ნელს ბრუნვაში იყო ყველა ეტაპზე გათვლით აღურიცხავ-დაუბეგრავი 12 მილიარდი ლარის ღირებულების პროდუქცია, რომ ამ მაჩვენებელმა წლის პირველ ნახევარში 7 მილიარდს, ანუ დღეში საშუალოდ 38 მილიონ ლარს გადააჭარბა.

მაგალითისთვის წლევანდელი ბიუჯეტის 6 თვის მონაცემებს განვიხილავთ - ამ მონაცემების საფუძველზე გაკეთებული გაანგარიშებით, არ აღირიცხა და არ დაიბეგრა 3-4 ეტაპზე: პურფუნთუშეული – 316 ათასი ტონა, ფქვილი – 262 ათასი ტონა, სულ საწვავი – 440 ათასი ტონა, მათ შორის ბენზინი – 336 ათასი ტონა, დიზელი – 104 ათასი ტონა. ასევე დიდი ოდენობით სიგარეტი, სარეცხი საშუალებები, რადიო, ელექტრო, სანტექნიკა და სხვა სამრეწველო საქონელი.

ჩრდილოვან ეკონომიკის მასშტაბებს მიანიშნებს აღრიცხული მოხმარების კურიოზული მაჩვენებელი. საშუალოდ დღეში ერთ სულ მოსახლეზე აღრიცხეს პურფუნთუშეული – 58,7 გრამი, ფქვილი – 48 გრამი, მაკარონი – 3,9 გრამი, ძეხვი და კარაქი – 2,3 გრამი, ნაყინი 19 და მინერალური წყალი 11,3 გრამი. რესპუბლიკის 351-ათასიან ავტოპარკს წელიწადში 1,5 მილიონი საბურავი სჭირდება, შემოვიტანეთ 233 ათასი და გვყოფნის, 1,3 მილიონ ოჯახს ესაჭიროება 18 მილიონი ნათურა, შემოგვაქვს 158 ათასი ცალი და საკმარისია. საპნის, სარეცხი საშუალებების, კბილის პასტის, ჯაგრისის და პარფიუმერიის ხარჯვა ისეთია, რომ პირად ჰიგიენაზე ლაპარაკის უფლებაც არ გვაქვს.

ექსპრეზიდენტის მუშაობის პერიოდში 2002 წელს, თვეში საშუალოდ არ აღირიცხა პურფუნთუშეული 52,5 ათასი ტონა. მიმდინარე წლის მარტში 53,5 ათასი ტონა, აპრილში 51,6 ათასი ტონა, ივნისში კი 55,5 ათასი ტონა. საწვავი ერთ მანქანაზე იხარჯებოდა 2 ლ და 505 გრამი. დღეს კი ეს მაჩვენებელი გაიზარდა მხოლოდ 22 გრამით.

გახმაურებული ადმინისტრირების შედეგი მიზერულია. პირველი ივლისის მდგომარეობით ლეგალიზებულია: პურფუნთუშეული და ფქვილი – 12-12 %-ით, საწვავი – 29,6%-ით, მ.შ. ბენზინი 26,6%-ით, დიზელი 35%-ით, საბურავი 18%-ით, ნათურა 0,8%-ით, მაშინ როცა შაქარი ლეგალიზებულია 98 %-ით.

ეს ხდება ჩვენს თვალწინ, ჩვენივე ხელშეწყობით, ჩვენი შვილების, ნათესავებისა თუ მეგობრების ხელით. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ჩრდილოვანი ეკონომიკის ზუსტად ამ დონემ გადაარჩინა ჩვენი მეწარმე და მისი ბიზნესი საგადასახადო კოდექსის გამაკოტრებელ ძალისაგან, ბიზნესი, რომელიც ხვალ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საფუძველი იქნება.

ამ გათვლებისათვის საჭირო პირველადი მონაცემები ყველა მაღალჩინოსანს მოეპოვება, მაგრამ ანალიზის შედეგების გამჟღავნება და მოსმენა არავის სიამოვნებს. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა თავის დროზე არ ისურვეს, ათობით დეპარტამენტის გვერდით შეექმნათ თუნდაც 5 ნამდვილი პროფესიონალისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომლებიც იმუშავებდნენ მხოლოდ ანალიზებზე, არსებული რესურსების გამოვლენა-ათვისებისა და კორუფციული ოპერაციების აღკვეთის ღონისძიებებზე. უფრო მაღალ ეკონომიკურ ეფექტს მივიღებდით, ვიდრე დღეს ვღებულობთ 4-6 დეპარტამენტისაგან ერთად.

მაგრამ ვის რას ვერჩით? რესურსები ხელუხლებელია, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე კვლავ მაღალია, კორუფციული პროცესები ისევ მიმდინარეობს და ბიუჯეტი მაინც გადაჭარბებით სრულდება, მაგრამ როგორ? – "პროფესიონალიზმი, ლეგალიზაცია, ადმინისტრირება, ორგანიზაციული ნიჭი" – ანალიზის შედეგების საპირისპიროდ – გვარწმუნებენ ამ საქმის მამამთავარნი.

ნავთობის ფასი მსოფლიოში და საქართველოში

ერაყის პრობლემებმა ბარელ ნავთობის ფასი 28-დან 50 დოლარამდე გაზარდა. ფასების ზრდა გავრცელდა ყველა სახის პროდუქციაზე, რასაც კი შეხება ჰქონდა ნავთობთან. ეკონომიკის ნიჭიერად მართვის დროს გარე სამყაროში მიმდინარე უარყოფითი ეკონომიკური პროცესებით ქვეყანა შედარებით ნაკლებად ზარალდება. არსებობს შიდა ბაზრის დაცვის მექანიზმი, თუ მისი გამოყენება ფინანსისტების ინტერესში შედის. იმპორტზე დაბეგვრის აქციზური განაკვეთი სხვა არაფერია, თუ არა ფასების რეგულირების საშუალება შიდა ბაზარზე.

დაინტერესებულმა პირებმა უშეცდომოდ გამოთვალეს ამ პროცესების "სიკეთე", არ ისურვეს კონტროლისძიებების გატარება, არ მიმართეს ძველი, დაბალი ფასების შენარჩუნების მიზნით იმპორტზე დაბეგვრის აქციზური განაკვეთების შემცირებას, რასაც ფასების ზრდა მოჰყვა.

რევოლუციის წინა თვეებში, ჩვენი კავშირის მიერ მომზადებული საწვავის 90%-მდე ლეგალიზაციის კანონპროექტი არ გადავეცით სარეალიზაციოდ სახელმწიფო კანცელარიის მეორე პირს, მხოლოდ იმიტომ, რომ საწვავის აქციზით დაბეგვრის 60%-იან განაკვეთის 30%-მდე შემცირების გარანტია ვერ მოგვცა, ვარჩიეთ ლეგალიზებულ და არა ლეგალიზირებულ საწვავის საშუალო დაბალი ფასების დატოვება, რამდენადაც მწამდა, რომ ჩვენი პროექტით ბიუჯეტში დამატებით მიღებული შემოსავლები სანახევროდ ვერ დაფარავდა ახლად წარმოშობილ სოციალური პრობლემების მოგვარების ხარჯებს.

მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესების შედეგად ფასების ზრდა იმპორტსა და სამამულო პროდუქციაზე, ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების უტყუარი გარანტი აღმოჩნდა. ნორმალურ პირობებში საგადასახადო შემოსავლები იზრდება იმპორტისა და სამამულო პროდუქციის ნატურაში ზრდის პირდაპირ პროპორციულად, ჩვენთან კი დისპროპორციამ იჩინა თავი.

წლის პირველ ნახევარში ბენზინის იმპორტი გაიზარდა 13%-ით, აქციზური გადასახადი ამავე მოცულობაზე კი 50%-ით, ნამეტ შემოსავლიდან 74% ფასების ზრდის, ხოლო 26% ლეგალიზაციის წილად მოდის, თუ არა ფასების ზრდის ფაქტორი, შემოსავლების გეგმას საბაჟო დეპარტამენტის ხაზით რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დააკლდებოდა.

ფასების ზრდა

საბაჟო დეკლარაციების მიხედვით ერთი ტონა იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასები გაიზარდა: ხორბლის – 198 ლარით, ფქვილის – 84 ლარით, შაქრის – 56 ლარით, ბენზინის – 184 ლარით და დიზელის – 65 ლარით. მარტო ამ პროდუქციიდან, რომელთა წილი იმპორტში 17%-ია, ფასების ზრდის ხარჯზე დასაბეგრი ბრუნვა პირელ ეტაპზე 67, ხოლო ყველა ეტაპზე გათვლით 370 მილიონი ლარით გაიზარდა, სულ იმპორტზე კი ეს მაჩვენებელი მინიმუმ 1 მილიარდ ლარს სჭარბობს.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ნატურაში 15%-მდე, ხოლო ღირებულებაში გამოხატული – 26,6%-ით გაიზარდა. მატებიდან 337 მილიონი ლარი ფასების ზრდის ხარჯზე მოდის და დასაბეგრი ბრუნვა ორ ეტაპზე გათვლით 700 მილიონ ლარზე მეტია. ორივე სფეროში დასაბეგრი ბრუნვის ჯამი 1,7 მილიარდ ლარს სჭარბობს, საიდანაც ბიუჯეტმა დამატებით მინიმუმ 170 მილიონი ლარი მიიღო. გენერალური პროკურატურის მიერ მოძიებულ მილიონებისა და ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე მცირეოდენი წარმატებით, ბიუჯეტის "არაშრომითი" შემოსავალი 225 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

მცირეოდენ ცდოთილებას თუ უგულებელვყოფთ, გათვლები სწორია და თუ არა ეს სამი ელემენტი, პარლამენტს პროფიციტის ნაცვლად სეკვესტრი ექნებოდა მისაღები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ არა ერაყის პრობლემები, პრეზიდენტის რისხვას ეკონომიკური ბლოკის ბევრი ლიდერის სკამი შეეწირებოდა. უფრო სხვაგვარად კი, მე ფინანსისტთა ადგილას ბუშისა და ოქრუაშვილის სურათებს, პრეზიდენტის სურათის ქვეშ დავკიდებდი.

ამ დასკვნების შედეგად გასაკვირია ამ სფეროს ლიდერთა გაამაყებული თვითკმაყოფილი სახეები და განმარტებები. ამ მიღწევების ლეგალიზაციასა და ადმინისტრირებაზე მიწერა ბლეფია, ხოლო შემთხვევით და ერთჯერად წყაროებზე დაყრდნობით შევსებული ბიუჯეტი, ალბათ პლებიციტური.

მსოფლიოში მიმდინარე უარყოფითი ეკონომიკური პროცესების გავლენით დაიწყო ფასების არნახული ზრდა – ინფლაცია, ლარის მსყიდველუნარიანობის დაქვეითება, ანუ ხელფასებისა და პენსიების არაპირდაპირი გზით შემცირება. პირველ რიგში დაზარალდნენ ოჯახები, რომელთა ბიუჯეტში მხოლოდ ლარებია ბრუნვაში ან არსებობენ უცხოური ვალუტის შემოსავლებით. მოგებულნი აღმოჩნდნენ: იმპორტიორები, საბანკო დაწესებულებები და ბიუჯეტი, რომელმაც ფასების ზრდით დამატებით მიღებულ ბრუნვის დაბეგვრის ხარჯზე თავი მოუყარა ინფლაცირებულ ლარის დიდ მასას და დაფარა შიდა და საგარეო მომსახურების ხარჯები.

ხორბლის ნათესის 1 ჰა-ის დამუშავებისათვის საჭირო 280 ლიტრი საწვავი, ფასების ზრდის შედეგად, დანახარჯებს 70, ხოლო 1 ტონა ხორბლის ფასს 46 ლარით ზრდის. სულ სოფლის მეურნეობაში საჭირო 11 ათასი ტონა ბენზინი და 59 ათასი ტონა დიზელი საწარმოო დანახარჯებს 17,5 მილიონი ლარით ადიდებს, რაც საბოლოოდ მტკივნეულად აისახება სოფლის მეურნეობის პროდუქტების საცალო ფასებში.

"მერე რა მოხდა", გვარწმუნებენ ეკონომისტები, - "ეს სტაგნაციაა, თუ ლარი ინფლაცირდება, მყარდება კიდეც". ავიწყდებათ, რომ ერთდროულად "მყარი" და "ინფლაცირებული" უარყოფითი პროცესია ეკონომიკაში და ისეთივე მიუღებელი, როგორც "ტროპიკული ყინვა" ან "ცხელი ნაყინი", ან ერთი ან მეორე, მაგრამ თუ ორივე პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს და არ რეაგირებს ლარის ან დოლარის მოზღვავება-დეფიციტზე, ნიშნავს, რომ იმართება მექანიკურად და უცნობი რგოლის შეფარულ მიზნებს ემსახურება. სხვაგვარად როგორ ავხსნათ 10 სექტემბრის მთავრობის სხდომა. ამ პროცესებით შეწუხებულმა პრემიერმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში საღამომდე 8, ხოლო დღის ბოლომდე 15 პუნქტით გაუმჯობესდა.

მოსალოდნელი პრობლემები

ყველაფერს აქვს დასასრული, დარეგულირდება ერაყის პრობლემა, საწყის ნიშნულს დაუბრუნდება ნავთობის ფასი, დაიწყება ფასების ვარდნა მსოფლიო ბაზარზე და ჩვენი ბიუჯეტი 2005 წელს დაჰკარგავს დასაბეგრ ბრუნვას, ამჯერად 4 მილიარდ ლარს, ხოლო შემოსავლით ნაწილში მინიმუმ 400 მილიონი ლარის მობილიზების გარანტიას.

ახალი საგადასახადო კოდექსის შემცირებულ გადასახადებით და დაბეგვრის განაკვეთებით გამოწვეული დანაკლისი ვერ კომპენსირდება ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების ხარჯზე, რამდენადაც კორუფციული ოპერაციების აღმკვეთი ღონისძიებები სისტემატურად იბლოკება და არც ეკონომიკის მართვის ტექნოლოგიებია საამისოდ დახვეწილი.

აღნიშნულის მიუხედავად, 2005 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით პრობლემები არ გვექნება, კიდევ გაგვაჩნია კომპესირების ბოლო და ერთჯერადი რეზერვი – ეკონომიკის მინისტრის განკარგულებაში არსებული მატერიალური აქტივები, რომლებიც ადრე თუ გვიან გამოგველევა.

პრობლემები ძირითადად თავს იჩენს 2006 წელს, როცა შემთხვევითი და ერთჯერადი წყაროები ამოიწურება, ხარჯვით ნაწილში კი დაგვემატება იმავე წლის და მიმდინარე წელს პარიზის კლუბის მიერ გადავადებული საგარეო ვალების მომსახურების ხარჯები.

მხოლოდ მაშინ იგრძნობენ, დღეს "არაშრომითი" შემოსავლებით გათამამებული, ნათხოვარ მანტიებში გამოწყობილი, გულგრილი და ინერტული ჩინოსნები, თუ რაოდენ აუცილებელია შიდა რესურსების ათვისება, რომლის ძირითადი მასაა ჩრდილოვანი ეკონომიკა. მიხვდებიან ის ჩინოსნებიც, რომლებიც დღეს არად აგდებენ არათუ ანტიკორუფციულ კანონპროექტებს, არამედ ისეთ მიზნობრივ პროგრამებს, რომლებიც ბიუჯეტს მილიარდობით ლარის მობილიზების გარანტიას აძლევს.

არ აღვნიშნავდი, რომ მაგიდაზე არ გვეწყოს – კორუფციული ოპერაციების უნებლიე თანამონაწილე, ჩვენი კავშირის პრაქტიკოს პროფესიონალების მიერ მომზადებული ანტიკორუფციული კანონპროექტები და მიზნობრივი პროგრამები, უსუსური არგუმენტებით დაბლოკვის ათობით წერილი, ცალკეული უწყებების პირველ-მეორე პირების ხელმოწერებით.

მეორე რაუნდი - პოზიციები გათანაბრდა

ხათუნა გაბიევი

საარჩევნო დებატების მეორე რაუნდი ფრედ დასრულდა.

აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მიძღვნილ დებატების მეორე რაუნდში საგარეო პოლიტიკური კურსის საკამათო თემებს საშინაო პოლიტიკური საკითხებიც დაემატა, კერძოდ, აშშ-ში ჯანდაცვის რეფორმები და ეკონომიკური მდგომარეობა. დებატების მეორე რაუნდი მისურის შტატში, სენტ-ლუისის ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის შენობაში გაიმართა. ექსპერტთა აზრით, ტელეკამერების წინ "თავის მართლებისა" თუ "თავდასხმისაგან" განსხვავებით, დარბაზში მყოფ აუდიტორიაზე, თუნდაც 140 კაცის შემადგენლობით, პირდაპირ "მუშაობის" საშუალება აშშ-ს ამჟამინდელ პრეზიდენტს მეტ სიმხნევეს ჰმატებდა. ყოველ შემთხვევაში, მეორე რაუნდში ბუშის წარმატებულ გამოსვლას ბევრი სწორედ ამ ფაქტორს უკავშირებს. თუმცა, ცხადია, შეცდომების გარკვეულწილად გამოსწორების საშუალება მეორე დებატებზე ორივე კანდიდატს თანაბრად ჰქონდა. მაგალითისთვის, თუ პირველ დებატებში კერიმ ყურადღება აშშ-ს საერთაშორისო რენომეზე გაამხვილა, რაზეც ბუშის შენიშვნა მიიღო კიდეც, რომ იგი საკუთარ მოქალაქეებზე მეტად ქვეყნის საგარეო იმიჯზე ზრუნავდა, მეორე დებატებში კერიმ ქვეყნის საერთაშორისო სახელს აშშ-ს მოქალაქეების უსაფრთხოება ხარისხობრივად გაუთანაბრა. თუმცა, ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ბუშის დაუდევრობისთვის და განაცხადა, რომ "გაერო-ს მექანიზმებზე დაყრდობით, "ნამდვილი კოალიციის" შექმნის ნაცვლად ბუშის მიერ ნაჩქარევად დაწყებულმა ერაყულმა კამპანიამ აშშ-ს მაინც შეულახა სახელი". კერის არც ბუში ჩამორჩა და მოსწრებულად მიუგო, რომ "აშშ-ს მთელ მსოფლიოში აფასებენ და პოპულარული ნაბიჯების გადადგმას ქვეყანას ნამდვილად ურჩევნია, სწორი და კარგად გათვლილი ნაბიჯი გადადგას". ერაყული კამპანიის თემა რესპუბლიკელმა პრეზიდენტმა მოხერხებულად გამოიყენა, როცა კერის მერყევ ხასიათზე გაამახვილა ყურადღება. "არ ვიცი, როგორ შეძლებთ ქვეყნის მართვას, თუკი თქვენ ასე ხშირად იცვლით შეხედულებებს. თავდაპირველად თქვენ მხარი დაუჭირეთ ერაყული კამპანიის დაწყებას, ხოლო შემდგომ იგი შეცდომად გამოაცხადეთ," - განაცხადა ბუშმა. დემოკრატი კანდიდატი კი არ დაიბნა და ყურადღება საგარეო პოლიტიკიდან შიდა პოლიტიკაზე გადაიტანა, "მთელი 72 წლის მანძილზე ჯორჯ ბუში უმცროსი პირველი პრეზიდენტია, როდესაც აშშ-ში სამუშაო ადგილები შემცირდა". სამუშაო ადგილების დეფიციტზე საუბარს კი სამედიცინო დაზღვევისა და ფარმაცევტული სფეროს გამოყენებით პრეზიდენტზე იერიში მოჰყვა. კერის თქმით, ბუში ფარმაცევტული კორპორაციების ინტერესებს უგულებელყოფს, პრეზიდენტის განცხადებით კი ჯანდაცვაზე სახელისუფლებო პროტექტორატი სამედიცინო მომსახურების ხარისხობრივ გაუარესებას გამოიწვევდა. სავარაუდოდ, ბუშის ავტორიტეტზე და გამომდინარე აქედან, მხარდამჭერთა პროცენტულ რაოდენობაზე იმოქმედებს ის ფაქტორიც, რომ მან ვერ შეძლო მისი მმართველობის დროს დაშვებული ერთი შეცდომის დასახელებაც კი მაშინ, როცა აუდიტორიამ მას სამი მოსთხოვა.

აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტისთვის მომგებიანი თემა არმია გამოდგა. კონკრეტულად კი, პრეზიდენტმა ისაუბრა 21-ე საუკუნის არმიის უპირატესობებზე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოხალისეობის პრინციპს ეფუძნება და განვევით არ ხდება ჯარის კონტინგენტის შევსება. გარდა ამისა, ბუშმა თავმომწონედ განაცხადა, რომ აშშ-ს გამოჰყავს ჯარები სამხრეთ კორეასა და ევროპიდან, მათი ჩანაცვლება კი "ახალი ტექნოლოგიებით" ხდება. "ჩვენ ვიყენებთ უპილოტო აპარატებს, რომელთაც შეუძლიათ აშშ-ში არსებული სადგურებისთვის რეალური ცნობების მიწოდება. ეს ზოგავს ძალას და უფრთხილდება ტექნიკას," - აღნიშნა ჯორჯ ბუშმა. თუმცა, ბუშის მიერ სამხედრო სფეროთი თავის მოწონებას კერიმ ხარვეზი მაინც გამოუნახა, კერძოდ, ბუნკერების გასანადგურებლად ახალი ტიპის ძლიერი ბირთვული ბომბის გამოგონება. დემოკრატი სენატორის გათვლებით, ბუშს ჯერ მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მათ შორის რუსეთში, არსებული ბირთვული მასალის გაუვნებელყოფისთვის დაახლოებით 13 წელი დასჭირდება, მაშინ როცა თვითონ მზადაა, ეს პრობლემა 4 წელიწადში გადაჭრას.

იმას კი, რომელი კანდიდატი მოახერხებს უკეთ აშშ-ს მოსახლეობის მაქსიმალური ნდობის მოპოვებას, მომავალი გვიჩვენებს. წინ კი კიდევ ერთი რაუნდია, რომელიც 13 ოქტომბერს არიზონას შტატში გაიმართება და მთლიანად საშინაო პოლიტიკას დაეთმობა.

პირველი დემოკრატიული არჩევნები

ნიკა თარაშვილი

ჰამიდ კარზაი: "მეც და ის 15 კანდიდატიც ჩვენ ხალხს პატივს უნდა ვცემდეთ - იმიტომ, რომ მტვერში, წვიმასა და თოვლში ისინი საათობით ელოდნენ, რათა თავიანთი არჩევანი დაეფიქსირებინათ."

9 ოქტომბერი აუცილებლად შევა ავღანეთის ისტორიაში. მიუხედავად სხვადასხვა წინააღმდეგობებისა, პირველი თავისუფალი არჩევნები მაინც შედგა – აცხადებდნენ გუშინ საინფორმაციო საშუალებები. მართალია, არჩევნების ჩატარება არაერთხელ იდგა კითხვის ქვეშ, თალიბების მხრიდან მასშტაბური ტერაქტების განხორციელების რეალური საფრთხეც არსებობდა, მაგრამ მცირეოდენი აფეთქებების ფონზე იგი მაინც გაიმართა. ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის მისი საბოლოო მონაცემები, მაგრამ, დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ავღანეთის დროებითმა მმართველმა ჰამიდ კარზაიმ გაიმარჯვა.

გასული შაბათი, მართლაც, ისტორიული გამოდგა ავღანეთისთვის. პირველად ისტორიაში ავღანელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პირდაპირი დემოკრატიული არჩევნების გზით აერჩიათ ქვეყნის მმართველი. შეგახსენებთ, გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ქვეყანას მონარქები მართავდნენ. 1973 წლიდან მოყოლებული, ავღანეთში ხელისუფლების ცვლა მხოლოდ სისხლიანი გადატრიალებებითა და ომით ხდებოდა. ბოლოს, 2001 წელს ნატო-ს ძალებმა ასევე ბრძოლით შეცვალეს თალიბების ხელისუფლება და დროებით მმართველად ამერიკაში მოღვაწე ავღანელი ბიზნესმენი ჰამიდ კარზაი დანიშნეს.

9 ოქტომბრამდეც ცხადი იყო, რომ არჩევნები ქვეყნის ხელისუფლებაში ცვლილებებს ვერ გამოიწვევდა. კარზაის მრჩევლები ირწმუნებოდნენ, რომ მათ ლიდერს მოსახლეობის 60 პროცენტიანი მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონდა. ამაში ეჭვის შეტანა ძალიან ძნელი იყო. ჰამიდ კარზაი ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვან პუშტუნთა ტომიდანაა, მისი ყველაზე რეალური კონკურენტები კი – ტაჯიკი იუნუს კანუნი და უზბეკი აბდულ რაშიდ დუსტუმი, მეტწილად თავის თანატომელთა მხარდაჭერით სარგებლობენ, ხოლო ტაჯიკები და უზბეკები რიცხობრივად აშკარად ჩამოუვარდებიან პუშტუნებს. თუმცა, არჩევნების დაწყებისთანავე 18 საპრეზიდენტო კანდიდატიდან 15-მა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და ნათელი გახდა, რომ ისინი არ დაეთანხმებოდნენ მის შედეგებს.

არავინ მოელოდა, რომ ავღანეთის პირველი დემოკრატიული არჩევნები უხმაუროდ ჩაივლიდა. გაერო-ს დამკვირვებლებიც ერთხმად საუბრობდნენ, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციის იურისდიქცია არ ვრცელდება, შეუძლებელი იქნებოდა, პირველ რიგში უსაფრთხო, შემდეგ კი სამართლიანი არჩევნების გამართვა. ეჭვებს აჩენდა ისიც, რომ ვერ ხერხდებოდა ამომრჩეველთა რეგისტრაციის სრულყოფილად ჩატარება.

მიუხედავად ამისა, არჩევნები მაინც შემდგარად გამოცხადდა. გავრცელებული ინფორმაციით მასში ათმა მილიონმა ამომრჩევლმა მიიღო მონაწილეობა (მოსახლეობის რაოდენობა 28 მილიონს აღემატება). თუმცა, ბოიკოტის მონაწილე კანდიდატები ერთხმად საუბრობენ მონაწილეთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის გზით არჩევნების შედეგების გაყალბებაზე. კერძოდ, საუბარია მარკირების წესის დარღვევაზე, - სპეციალური მელნის ნაცვლად ხშირ შემთხვევაში ჩვეულებრივი გამოიყენებოდა, რაც საშუალებას იძლეოდა, ერთი და იმავე ამომრჩეველს რამდენჯერმე მიეცა ხმა.

ამავდროულად, კვირას გაკეთებული განცხადებებით საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობა ჩატარებულ არჩევნებს მაინც პოზიტიურად აფასებდა. დამკვირვებელთა დიდმა ნაწილმა ჩატარებულ არჩევნებს "საკმაოდ დემოკრატიული" უწოდა. ხოლო ეუთო-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არჩევნების შედეგების გასაუქმებლად საკმარისი არგუმენტები არ არსებობს.

კიდევ ერთი, რაც შაბათის არჩევნებზე დაფიქსირდა, საარჩევნო უბნებთან ამომრჩეველთა რიგები იყო. რეგისტრირებული 10,5 მლნ ამომრჩევლიდან ურნებთან 10 მლნ-ზე მეტი მივიდა. ხშირ შემთხვევაში ამომრჩევლებს რიგში დგომაც უწევდათ. ჰამიდ კარზაი მოსახლეობის სწორედ ასეთი მაღალი აქტივობით აპელირებდა, როდესაც არჩევნების გაუქმებაზე გამოთქმულ აზრებს აბსურდულს უწოდებდა. "მეც და ის 15 კანდიდატიც ჩვენს ხალხს პატივს უნდა ვცემდეთ – იმიტომ, რომ მტვერში, წვიმასა და თოვლში ისინი საათობით ელოდნენ, რათა თავისი არჩევანი დაეფიქსირებინათ," - ამბობს ავღანეთის დროებით მმართველი.

და მაინც, მიუხედავად იმისა, ჰამიდ კარზაი პირველივე ტურში მიაღწევს წარმატებას თუ არა, იგი მაინც იძულებული გახდება, გარკვეულ კომპრომისებზე წავიდეს და უშუალო კონკურენტებს ქვეყნის მართვაში მონაწილეობა შესთავაზოს. თუ იგი ასე არ მოიქცევა, ყოველთვის იარსებებს შესაძლებლობა, რომ ავღანეთში ახლაც არცთუ იშვიათი დაპირისპირება გამწვავდეს და სრულმასშტაბიან სამოქალაქო ომში გადაიზარდოს.

AMERICAN COUNCILS FOR INTERNATIONAL EDUCATION ACTR • ACCELS

საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები აცხადებს აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს სკოლის მოსწავლეებისთვის (FLEX)

Bureau of Educational and Cultural Affairs

კონკურსის ფინალისტები გაემგზავრებიან ერთი წლით აშშ-ში, ისწავლიან სკოლაში და იცხოვრებენ ოჯახებში

2005-2006 სასწავლო წელს.

პროგრამა ფარავს მგზავრობის, სწავლისა და ცხოვრების ხარჯებს ყველა მონაწილისთვის.

პროგრამა ღიაა ყველა მე-9-ე, მე-10-ე, მე-11-ე კლასელისათვის, ვინც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- **საქართველოს მოქალაქე;**
- **დაბადებული 1988 დან 1990 წლის 15 ივლისის ჩათვლით;**
- **სწავლობს ინგლისურს;**
- **არ უცხოვრია აშშ-ში 3 თვეზე მეტ ხანს ბოლო 5 წლის მანძილზე;**

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მე-9-ე, მე-10-ე და მე-11-ე კლასის მოსწავლეებს დაბადებულებს 1987 დან 1990 წლის 15 ივლისის ჩათვლით ასევე შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობა

კონკურსი დაიწყება 1 ოქტომბერს და ჩატარდება საქართველოს 8 ქალაქში. რეგისტრაციისათვის საჭიროა

- ერთი ფოტოსურათი 3X4
- დაბადების მოწმობის დედანი

საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრატორებისათვის

ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების მასწავლებელთა პროგრამა:

აჯილდოებს ინგლისური ენისა და ამერიკული კულტურის სწავლების საშუალო სკოლის საუკეთესო მასწავლებლებსა და სკოლებს სახელმძღვანელოებითა და სასკოლო ინვენტარით. ბოლო ეტაპზე გამარჯვებული 4 მასწავლებელი გაემგზავრება აშშ-ში 7-კვირიანი პროგრამით.

- ანკეტები მიიღება 2004 წლის სექტემბერიდან, ანკეტების ჩაბარების ბოლო თარიღია 2004 წლის 3 დეკემბერი.

პროგრამა პარტნიორობა განათლების სფეროში:

საშუალებას აძლევს საშუალო სკოლის მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრატორებს დაესწრონ რვა დღიან ტრეინინგებს სამოქალაქო განათლების სფეროში. ტრეინინგები ჩატარდება ქართულ ენაზე 2005 წლის ივნისში ან ივლისში. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

- **სკოლის ადმინისტრატორებს;**
- **სოციალური საგნების მასწავლებლებს (სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციოლოგია, გეოგრაფია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა ან სამართალი);**
- **ტრეინერ-მასწავლებლებს და პროფესიონალ პირებს, რომლებიც ჩაბმულნი არიან სამოქალაქო განათლების სფეროში**

ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 დეკემბერი.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10-დან 18:00 საათამდე ტელეფონით: 29-21-06 ან მობრძანდით: არაყიშვილის ქ. 2 ელ-ფოსტა: flex@amcouncils.ge , teapie@amcouncils.ge

პროგრამის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია ინტერნეტში მისამართზე www.americancouncils.ge

ორი სიტყვით

ირანი. ირანში სხვა მრავალ აკრძალვასთან ერთად ქუჩაში უცხო ენაზე რეკლამის განთავსებაც აკრძალულია. კულტურისა და ისლამური ორიენტაციის სამინისტროს განკარგულებით, ყველა აფიშა, პლაკატი, განცხადება და სარეკლამო ფარი შესრულებული უნდა იყოს მხოლოდ სპარსულ ენაზე. აღნიშნული ზომები მიღებულ იქნა "უცხოური კულტურის გავლენისაგან ენის სიწმინდის დაცვის" მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ რეკლამაში აუცილებელი იქნება უცხო ენაზე სიტყვების განთავსება, იგი ზომებით ბევრად უნდა ჩამოუვარდებოდეს სპარსულ ენაზე შესრულებულ წარწერას. დასავლური ფირმის პროდუქციის უცხოურ ენაზე შესრულებული რეკლამები აქამდე ირანის ყველა მსხვილ ქალაქში იყო განთავსებული. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

ინდოეთი. ინდოეთი წამყვანი განვითარებული ქვეყნების ჯგუფში მოხვედრის "ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატია". "დიდი რვიანის" გაფართოებას არ გამორიცხავს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, რომელმაც ინდოეთი სავარაუდო კანდიდატ ქვეყნად დაასახელა "დიდი რვიანის" გაფართოების შემთხვევაში ნიუ დელიში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ. "დიდი რვიანის" გაფართოება ბუნებრივი პროცესია, რადგან ეს იგივე საერთაშორისო ურთიერთქმედების მექანიზმია," - აღნიშნა ლავროვმა. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, მოლაპარაკებებზე განიხილეს "საინვესტიციო, კოსმოსურ და მაღალი ტექნოლოგიების სფეროებში ახალი პროექტები". **იტარ-ტასი**

შპს "ევრას" განცხადება

სამშენებლო ფირმა შპს "ევრა" აცხადებს კონკურსს ინჟინერ-მშენებლის (1 ვაკანსია), ინჟინერ-კონსტრუქტორისა (1 ვაკანსია) და არქიტექტორის თანამდებობაზე (1 ვაკანსია).

ვალდებულებები:

** სრული სამშენებლო მენეჯმენტი.
** სამშენებლო დაკვეთის შესრულების კონტროლი.
** სამშენებლო ბაზრის ანალიზი.
** სრული არქიტექტურული მენეჯმენტი.
** პროექტირება და სამშენებლო დაგეგმარება.
** კლიენტებთან ურთიერთობა.

მოთხოვნები:

** უმაღლესი განათლება (ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, არქიტექტორი).
** სასურველია სამუშაო გამცდილება.
** გუნდის წევრად მუშაობის უნარის ფლობა.
** კომპიუტერის ცოდნა (MS office).
** ინგლისური და რუსული ენების ცოდნა.

შერჩეული კანდიდატები გაიგზავნებიან ლიტვის რესპუბლიკაში შემდგომი განათლებისა და სტაჟირებისათვის.

გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე: e ან ფაქსის ნომერზე: (+99532) 911-802. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 30 ოქტომბერი. დავუკავშირდებით აპლიკანტების მხოლოდ გარკვეულ რაოდენობას.

სახანძრო და უსაფრთხოების ტექნიკოსი *"ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) საქართველოს"* სურვილი აქვს დაიქირაოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი სუფსის ტერმინალის სახანძრო და უსაფრთხოების ტექნიკოსის თანამდებობის დასაკავებლად.

სამუშაოს აღწერა

სახანძრო და უსაფრთხოების ტექნიკოსი უზრუნველყოფს უსაფრთხოების მოწყობილობების სრულ გამართულობასა და მუდმივ მზადყოფნას, აგრეთვე, დროულ შემოწმებასა და შეკეთებას. გარდა ამისა, ამ თანამდებობის მქონე პირი სუფსის ტერმინალის პერსონალს ჩაუტარებს უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებულ ტრეინინგებს, მათ შორის, სამუშაოზე ნებართვის გაცემის, აირის ტესტირების, ხანძარსაწინააღმდეგო საქმიანობის მეთოდიკისა და აღჭურვილობის გამოყენების საკითხების შესახებ.

მოვალეობა და პასუხისმგებლობა:

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

- თავის საქმიანობაში ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესებისადმი ჟეროვანი დამოკიდებულების დემონსტრირება.
- ASA და STOP პროგრამებში აქტიური მონაწილეობა.
- ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სასუნთქი აპარატურისა და უსაფრთხოების სხვა მოწყობილობების გამართულობისა და მზადყოფნის უზრუნველყოფა, აუდიტის, შემოწმებისა და ტეენიკური მომსახურების მეშვეობით
- საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების სწავლების დაგეგმვა შესახებ სავარჯიშოების მომზადება.
- საგანგებო სიტუაციზე რეაგირების გეგმის მომზადებაში მონაწილეობა.
- უსაფრთხოების დაცვის ნორმების გასაცნობად, ტრეინინგისათვის მომზადება სუფსის ტერმინალის პერსონალისა და კონტრაქტორებისათვის
- ავარიის/ავარიული სიტუაციის მოკვლევის პროცესში მონაწილეობა.

გამოცდილება და განათლება

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- უმაღლესი განათლება, სასურველია უსაფრთხოებისა ან ნავთობსადენების ექსპლოატაციის დარგში
- ნავთობთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოწყობილობების შემოწმებისა და ტექნიკური მომსახურეობის გამოცდილება
- ინგლისური და ქართული და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა
- სამწლიანი მუშაობის გამოცდილება უსაფრთხოების ან ნავთობსადენების ექსპლუატაციის დარგში
- სასურველია პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება

განაცხადის წარდგენა / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ მოცემული თანამდებობისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი CV და შეავსოთ განაცხადის შესაბამისი ფორმა. ფორმის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილ მისამართზე.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა **სამშაბათი, 12 ოქტომბერი, 2004 წელი**

ყველა წარმოდგენილი განაცხადი დადასტურებული იქნება, მაგრამ ეს არ გულისხმობს ნებისმიერი კანდიდატისათვის ინტერვიუს ჩატარებას და/ან სამუშაოს შეთავაზებას.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. ადგილობრივ (სუფსის ტერმინალის მახლობლად მცხოვრებ) კანდიდატებს მიეცემათ უპირატესობა

კადრების განყოფილება
BP Exploration Caspian Sea
აღმაშენებლის პროსპექტი N123 ა
თბილისი, საქართველო

Education and Culture

Tempus

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საყურადღებოდ!

ევროგაერთიანების უმაღლესი განათლების პროგრამა "ტემპუსი" ა.წ 15 დეკემბრამდე აცხადებს ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროექტების მიღებას გრანტის მოსაპოვებლად!

პროგრამა აფინანსებს 3 ტიპის ერთობლივ - ქართულ-ევროპულ პროექტებს შემდეგი სფეროების უპირატესობის გათვალისწინებით:

1. ***სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავება:***

- ევროპული სწავლებანი: ევროპული სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ადამიანთა უფლებების დაცვის კანონმდებლობა და სოციალური მეცნიერებები;
- სოფლის მეურნეობა და სოფლად განვითარება, რაც გულისხმობს მდგრად განვითარებას, აგრარულ ეკონომიკას, აგრარულ ბიო-მრავალფეროვნებას, ბიო-ტექნოლოგიებს, აგრარულ ენერგეტიკას, აგრო-ტურიზმს;
- სოციალური სამსახურების განვითარება

2. უნივერსიტეტის მართვის სრულყოფა

- აკრედიტაციის პროცესების და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარება
- სტუდენტური ასოციაციებისა და სტუდენტური სამსახურების, სტუდენტთა უფლებების დაცვის გაძლიერება (კურსდამთავრებულთა ასოციაციების "alumni associations" შექმნის ჩათვლით)

3. სასწავლო კურსები ინსტიტუციონალური მშენებლობისათვის (უნივერსიტეტის ბაზაზე მოკლევადიანი სწავლება/--ტრეინინგი) სხვადასხვა მიზნობრივი არააკადემიური ჯგუფებისთვის)

- სასწავლო კურსები დამოუკიდებელი მას-მედიისა და სამოქალაქო და სისხლის სამართლის სისტემების როლის გასაძლიერებლად;
- საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების მასწავლებელთა მომზადება და გადამზადება

პროგრამა "ტემპუსი" გთავაზობთ აგრეთვე მონაწილეობის მიღებას ე.წ **"სტრუქტურულ და დამატებითი სახის ღონისძიებებში" (SCM)",** რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისი მოკლევადიანი ღონისძიებების დაფინანსება, სადაც უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებს:

- ბოლონიის პროცესის ეროვნული გუნდის შექმნის მხარდაჭერა;
- სააკრედიტაციო სისტემების შემუშავება;

"სტრუქტურულ და დამატებითი სახის ღონისძიებების" პროექტის განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 15 თებერვალი.

"ტემპუსის" გრანტის შესახებ საკონსულტაციოდ მიმართეთ
"ტემპუსის ეროვნულ ბიუროს"
ქ-ნ თამარ წულუკიძეს
ტელ: 95 57 63; 899 56 51 15
ელ.ფოსტა: TIP.georgia@caucasus.net

მეწყერი და ელჩები მესტიაში

პირველი გვერდიდან

იროდი ილდანი, მესტიის მკვიდრი: **"ეს არის ჩემი სახლი! იმ ღამეს შლამი ქვია, თუ რა ქვია – ნაშალი, შემოვარდა სახლში და პირველი სართული სულ ამოავსო. ერთი წამი კიდევ და სულ წაგვლეკავდა...(ფიზიკურად?)...კი, ბატონო, კი, გენაცვალე, - ფიზიკურად! ახლა თუ არ გაკეთდა ყველაფერი, მერე მოყინავს, გზა ჩაიკეტება და... რა ვიცი, კაცო."**

კომუნისტების დროს მეწყერსაშიშ ზონაში მდებარე ქუჩები, თურმე, ყოველწლიურად იწმინდებოდა, რომ ღვარცოფი სახლებში არ შევარდნილიყო. ახლაც სასწრაფოდ გაწმენდაა საჭირო, თორემ ქვა-ღორღით სავსე ქუჩები ეზოებზე მაღლაა აწეული. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა საფრანგეთის მთავრობამ და პირადად ელჩმა, ბატონმა ფილიპ ლოფორმა. სასწრაფოდ გამოიყო 30 ათასი ევრო, რომლითაც მესტიისთვის შეიძინეს 2 ტრაქტორი. საწვავისთვის გამოყოფილია 5 ათასი დოლარი.

ლამარა გულბანი, მესტიის მკვიდრი: **"შეიძინეს ტრაქტორები და აქაურობა, ალბათ, მალე გაიწმინდება. აუცილებლად უნდა ვიჩქაროთ, თორემ მოვა თოვლი და დამთავრდება ყველაფერი. მოსავალი განადგურებულია. ადრე კარტოფილი მოდიოდა. ზუგდიდში ვცვლიდით ფქვილზე და გაგვქონდა თავი. ახლა არაფერი არაა. გვაქვს ღმერთის იმედი. ღმერთმა თუ არ გაგვწირა, არა გვიშავს."**

დაზარალებული სოფლებისთვის 600 ცალი ლოგინის სრული კომპლექტი შეიძინა გერმანიის მთავრობამ. აქაც უნდა აღინიშნოს გერმანიის ელჩის, ბატონი უვე შრამის პირადი ღვაწლი. სხვათაშორის ჩვენმა მეგობარმა ელჩებმა ცუდი ამინდისა და რისკის მიუხედავად მესტიელები პირადად მოინახულეს. ასეთი ყურადღება კი მატერიალურ დახმარებაზე უფრო დიდი შეწევნა ყოფილა. ხალხს გამოზამთრების იმედიც გაუჩნდა და პანიკამაც გაუარა.

მესტიის გამგებელი ირაკლი ჯაფარიძე: **"დაზარალდა 5 სოფელი – 1500-მდე ოჯახი. განადგურდა ნათესები, მოიშალა კომუნიკაციები, პრობლემა გახდა გამოზამთრება. ზარალმა შეადგინა 4 მილიონ ლარზე მეტი, მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ხალხი პანიკაში ჩავარდა. გაჩნდა აქ ცხოვრების შიში და ეს იყო ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემა, მაგრამ მადლობა ღმერთს, მოგვარდა. საქმეში საქართველოს პრეზიდენტი და მთელი მთავრობა ჩაერთო. კომუნიკაციების აღსადგენად გამოიყო 600 ათასი ლარი. საზამთროდ მივიღებთ 500 ტონა ხორბალს. სახელმწიფო პროგრამით დაზარალებულთა გარკვეული ნაწილი წალკის რაიონში ჩასახლდება. რამდენიმე ათეულ ოჯახს სახლებს აქ, ადგილზე შევუძენთ. მაგრამ ეს ყველაფერი არაა. სტიქიის დაზარალებულთა დახმარებაში თავთავიანთი წვლილი შეიტანეს გერმანიამ, საფრანგეთმა, აშშ-მ, შვეიცარიამ. ამოქმედდა გაეროს სასურსათო პროგრამაც. გერმანიისგან მივიღეთ ლეიბები, საბნები, თეთრეული. საფრანგეთის დაფინანსებით შევიძინეთ ორი ტრაქტორი. კიდევ უნდა გვიყიდონ ერთი დიდი ექსკავატორი. შვეიცარია გვიშენებს სოფელ ზეგანის წყალსადენს და სოფელ იელის ხიდს. ინგლისმა დაიწყო ლენჯერის წყალსადენის აღდგენის პროექტი. გაეროს სასურსათო პროგრამით მივიღეთ ფქვილი და ზეთი."**

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სვანებს მაინც ღმერთის იმედი აქვთ. ერთ კაცს ვერ ნახავთ ისეთს, რომელიც საუბარს ღმერთის დიდებით არ დაამთავრებს. მესტიის მკვიდრმა ნუნუ გულედანმა გვითხრა, მეწყერი მამიდაჩემის სახლსაც დაეტაკა, მაგრამ ნაკურთხი იყო და ვერ დაანგრიაო. უცხოელი სტუმრებიც პირველად სოფელ ლაღამის წმინდა გიორგის ტაძარში მიიყვანეს. პირამდე სავსე მისი პირველი სართული, სადაც ადრე უფლის ფერიცვალების ტაძარი ყოფილა, 2 წლის წინათ გაუთავისუფლებიათ მიწისგან. აღარასოდეს ამოვსებულიყოს.

ელჩები მესტიაში.

ლაღამის წმინდა გიორგის ტაძარი.

ზაზა ფარეულიანის ფოტოები

წვიმის შემდეგ.

Education and Culture

Tempus

უმაღლესი განათლების სფეროს სამთავრობო და არასამთავრობო, საუნივერსიტეტო, აკადემიური თუ ადმინისტრაციული კადრების, სტუდენტთა ასოციაციების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

ევროგაერთიანების უმაღლესი განათლების პროგრამა "ტემპუსი" გთავაზობთ ინდივიდუალური მობილურობის გრანტებს (**IMG**) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გასამგზავრებლად შემდეგი მიზნებისთვის:

1. პარტნიორობის დამყარება ევროპულ უნივერსიტეტებთან "ტემპუსის" გრძელვადიანი პროექტის შესამუშავებლად
2. უმაღლეს განათლებასთან/საუნივერსიტეტო რეფორმასთან დაკავშირებულ კონფერენცია/სემინარში მონაწილეობის მისაღებად
3. კვალიფიკაციის ასამაღლებლად ან კონკრეტულ აკადემიურ, ადმინისტრაციულ თუ მმართველობით სფეროში თანამშრომლობისთვის

ინდივიდუალური მობილურობის გრანტი კონკურსის საფუძველზე გაიცემა ევროკავშირის წევრ ქვეყანაში მგზავრობის და 1-8 კვირამდე საცხოვრებელი ხარჯების დასაფარავად. **გრანტი არ ფარავს სტუდენტთა/ასპირანტთა სწავლების ან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარჯებს და აგრეთვე კონფერენციაში მონაწილეობის საწევრო შენატანს!**

IMG გრანტის მისაღებად დეტალური ინფორმაცია, საჭირო საანკეტო ფორმა და შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: http://w.w.w.etf.eu.int/tempus. მოთხოვნა "ტემპუსის" ინდივიდუალური გრანტის (**IMG**) მისაღებად ინტერნეტით უნდა გაიგზავნოს ყოველი წლის 15 ივნისამდე, 15 ოქტომბრამდე ან 15 თებერვლამდე.

IMG გრანტის შესახებ საკონსულტაციოდ მიმართეთ
"ტემპუსის" ეროვნულ ბიუროს
ქ-ნ თამარ წულუკიძეს
ტელ: 95 57 63; 899 56 51 15
ელ.ფოსტა: **TIP.georgia@caucasus.net**

სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

Education and Culture

Tempus

უმაღლესი განათლების სფეროს სამთავრობო და არასამთავრობო, საუნივერსიტეტო, აკადემიური თუ ადმინისტრაციული კადრების, სტუდენტთა ასოციაციების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

ევროგაერთიანების უმაღლესი განათლების პროგრამა "ტემპუსის" გრანტის მოსაპოვებლად "ტემპუსის" საქართველოს ეროვნული ბიურო ატარებს საინფორმაციო სემინარს, სადაც პროგრამაში მონაწილეობის მსურველები დეტალურად გაეცნობიან და მიიღებენ კონსულტაციას პროგრამაში მონაწილეობის პირობებისა და პროექტების მომზადების შესახებ.

სემინარი ჩატარდება ა წ. 19 ოქტომბერს, 10:00 სთ-ზე, "მსოფლიო ლაბორატორიის" შენობაში (დ. უზნაძის 2).
სემინარში მონაწილეობის მსურველებს ვთხოვთ დაუკავშირდნენ "ტემპუსის" ეროვნულ ბიუროს ტელ: 95 61 66; 95 57 63; 899 56 51 15.
ელ.ფოსტა: **TIP.georgia@caucasus.net**

თსსუ - კიდევ ერთი წარმატება

შვეიცარიის ბერნის სახელგანთქმული კარდიოვასკულური ცენტრი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტით დაინტერესდა. მეხუთეკურსელი ვახტანგ ჭანჭალეიშვილი ქ. ბერნში პრაქტიკებზე იმყოფებოდა. იქაურმა მეცნიერებმა მისი ლაბორატორიული სამუშაო იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, ცდების გასაგრძელებლად ბერნში მისი კიდევ ცოტა ხნით დატოვება უნივესიტეტის ხელმძღვანელობას ოფიციალური წერილით სთხოვეს.

"მის მიერ მიღებული შედეგები ძალზე იმედისმომცემია და გვიჩვენებს, რომ მიობლასტების ინექციას, ფაქტობრივად, შეუძლია მოახდინოს უჯრედის ფუნქციის ნორმალიზაცია. ბატონმა ჭანჭალეიშვილმა განავითარა ეს მეთოდი ჩვენს ლაბორატორიაში და ახლა შესაძლებელია მიიღოს ძალიან მნიშვნელოვანი მონაცემები, რომელიც, ალბათ, გამოქვეყნდება. ეს, რა თქმა უნდა, იქნება მნიშვნელოვანი მისი მომავალი კარიერისთვის. გარდა იმისა, რომ იგი შეიძენს დიდი გამოცდილებას ლაბორატორიაში ყოფნის პერიოდში", - ნათქვამია წერილში. საქმე ეხება მიოკარდიუმის ინფარქტის კვლევის ექსპერიმენტულ მოდელს. რაც უნდა შორს იდგე მედიცინისგან, ფაქტია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეხუთეკურსელი, ფაქტობრივად, რევოლუციურ აღმოჩენას აკეთებს.

მსგავსი შესაძლებლობა, ანუ შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ცოდნა და უნარები მსოფლიოს წამყვანი კლინიკების პროფესორ-მასწავლებლების წინაშე, ამ უმაღლესი სკოლის ასობით სტუდენტს ეძლევა. მარტო 2004 წლის ზაფხულში ასეთი სტაჟირება 200-მდე სტუდენტმა გაიარა. როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოეთის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ავალიანი აცხადებს, წლევანდელი წელი შესაძლებლობების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. უნივერსიტეტის ტრადიციულ პარტნიორ უმაღლეს სკოლებს - თურქეთის ჰაჯეტეპის უნივერსიტეტს, ბულგარეთის ვარნის სამედიცინო უნივერსიტეტს, გერმანიის იენის უნივერსიტეტს წელს ეგვიპტის ქაიროს უნივერსიტეტი და ბელგიის ლიუვენის უნივერსიტეტი დაემატა. დაიდო ასევე ხელშეკრულება დონეცკის სამედიცინო უნივერსიტეტთან, ლიტვის კლაიპედის უნივერსიტეტთან, რომელიც არა მარტო სტუდენტთა, ახალგაზრდა სპეციალისტების ერთლიან სტაჟირებას გულისხმობს.

პერსპექტივა იმდენად მომხიბვლელია, რამდენადაც სასარგებლო. სტაჟირების დროს, ქართველი სტუდენტები არა მარტო უშუალო პრაქტიკებით შემოიფარგლებიან, სარგებლობენ ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული მომსახურებით, მონაწილეობენ შიდა კონფერენციებში, აკეთებენ მოხსენებებს, მორიგეობენ კლინიკებში, მონაწილეობენ ოპერაციებში, უშუალოდ ასრულებენ სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციებს. შესაბამისად, ახალ ტექნოლოგიებს ითვისებენ და კარგ გამოცდილებას იძენენ. აღარაფერს ვამბობთ კულტურულ ღონისძიებებზე, რომელიც მათ მასპინძელი ქვეყნის გაცნობის კარგ საშუალებას აძლევს. თსსუ-ს სტუდენტები გულისხმიერებისთვის მადლობას უხდიან რექტორს, აკადემიკოს რ. ხეცურიანს, უცხოეთის განყოფილების თანამშრომლებსა და ჯგუფის ხელმძღვანელებს.

მიმდინარე წლის 19-24 ოქტომბერს ბერლინში, საქვეყნოდ ცნობილ შარიტეს კლინიკაში ევროკავშირის ეგიდით ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესში, ევროკავშირის ქვეყნების მოწინავე მეცნიერ-მედიკოსებთან ერთად, მოხსენებებით წარდგებიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებიც: ნიკა ჭანყოშვილი, გივი კობერიძე და მამუკა ხაჭაპურიძე. აღნიშნული კონგრესი მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ფორუმს წარმოადგენს.

ყველაფერი ეს ჯდება იმ მოთხოვნების ფარგლებში, რომელიც შეიძლება წაუყენო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს - ჯერჯერობით ერთადერთ უმაღლეს სკოლას დსთ-ს სივრცეში შემავალ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რომელმაც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ინსტიტუციონალური შეფასება მიიღო და ევროპის საგანმანათლებლო არეალში იქნა ინტეგრირებული. 1999 წელს ბოლონიაში მიღებული ცნობილი დეკლარაციით, 2010 წლისთვის ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა დასრულდება. ამდენად, ქართული უმაღლესი სკოლის ნაბიჯი წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ახლად შელებილი კედლები კოლონიის ძველი პრობლემების ფონზე

თამარ კალიტაძე

იუსტიციის მინისტრის უკვე ტრადიციად ქცეულმა შაბათობამ თბილისის N1 საპყრობილედან რუსთავის N1 დაწესებულებაში გადაინაცვლა. გუშინ გიორგი პაპუაშვილი და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ავარიულ კოლონიაში საღებავებით და ხელსაწყოებით შეიარაღებულნი ჩავიდნენ და პატიმრებთან ერთად კოლონიის თითქმის დანგრევის პირას მისულ კედლებს ღებავდნენ.

დაბზარულ კედლებს შელებვა კი არა, ახლიდან აშენება რომ სჭირდება, ვის ვის და ყველაზე უკეთ იუსტიციის მინისტრს მოეხსენება.

გოგიტა გუხაიძის ფოტო

დაბზარულ კედლებს შელებვა კი არა, ახლიდან აშენება რომ სჭირდება, ვის ვის და ყველაზე უკეთ იუსტიციის მინისტრს მოეხსენება. მაგრამ, ვიდრე საქართველოში ახალი ციხე-კოლონიების მშენებლობისთვის საჭირო სახსრები გამოჩნდება, პაპუაშვილი იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტიდან მინიმალური თანხების გამოძებნას ახერხებს და ერთი შეხედვით უმნიშვნელო სამუშაოს შესრულებით, პატიმრებისათვის სტიმულის მიცემას ცდილობს.

სწორედ იმ დროს, როდესაც გიორგი პაპუაშვილი ბარაკების ფასადს "ალამაზებდა", პატიმრების ერთი ნაწილი საკუთარი საკნების კედლებს ღებავდა. ეს კოლონიის იმ ორ კორპუსში ხდებოდა, რომელთა გადახურვაც ცოტა ხნის წინ დასრულდა. მესამე ბარაკის გადახურვა კი უახლოეს მომავალში არის დაგეგმილი.

"ზამთარი ახლოვდება და უნდა ვეცადოთ, მსჯავრდებულებს გაუსაძლისი პირობები მეტნაკლებად მაინც მოვუწესრიგოთ," - განაცხადა ჩვენთან საუბარში იუსტიციის მინისტრმა.

პატიმართა პირობები კი მართლაც გაუსაძლისია.

"წვიმა რომ გადაიღებს, ჩვენს საკნებში სახურავზე დაგუბებული წყლის გამო, კიდევ ერთი კვირა წვიმს. სათბურის მცენარეებივით ცელოფნებში ვცხოვრობთ," - ამბობენ პატიმრები, რომლებსაც ჰიგიენის, სამუშაოს, ვირთხების (მათივე თქმით, მღრნელებში ოთხფეხებიც იგულისხმება და ორფეხებიც) და სხვა უამრავი პრობლემა აწუხებთ.

"თეთრეული გარედან შემოგვაქვს და მერე თვითონვე ვრეცხავთ. გაზათებსაც ჩვენი ფულით ვყიდულობთ. ადრე სამუშაო რომ იყო, ვისაც გვინდოდა, ვმუშაობდით და დროც ადვილად გადიოდა, ახლა აღარც ეს არის. მადლობა რაზეც შეგვიძლია ვთქვათ, ის არის, რომ საჭმლის შემოგზავნაზე პრობლემა აღარ გვაქვს, ნეტავ მომტანი გვყავდეს ვინმე," - ამბობენ თავისუფლება აღკვეთილი ადამიანები.

კოლონიაში თუ უფრო პესიმისტ პატიმრებთან მოგიწევთ გასაუბრება, გეტყვიან, რომ მათ ყოფაში ხელმძღვანელობის დანიშვნა-გათავისუფლების მეტი არაფერი იცვლება. ზოგიერთებისგან კი იმასაც გაიგებთ, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ბარაკების გადახურვის გარდა, ახალი აბანო და საპირფარეშო აშენდა და დაბანის პრობლემაც მოგვარდა, კოლონიაში არის ბიბლიოთეკა და ვისაც სურვილი აქვს, საინტერესო წიგნებსაც პოულობს, თუმცა ახალი წიგნების დეფიციტს მაინც განიცდიან. ახალი დირექტორის დავით გოგოლაძის დანიშვნის შემდეგ კოლონიაში ახალი ავეჯიც გამოჩნდა და ა.შ.

და მაინც, კოლონიის მთავარ პრობლემად თავისუფლება რჩება. უკანონო განაჩენი, ვადაზე ადრე გათავისუფლება, შეწყალება - ეს ის უმთავრესი პრობლემებია, რაზეც პატიმრები ყველაზე მეტ კითხვებს სვამენ და დახმარებას პრესის წარმომადგენლებს გვთხოვენ.

"მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, საჩხერის პროკურატურამ ყაჩაღობის ბრალდებით დამაპატიმრა. მოსამართლე რომ მიხვდა ჩემს უდანაშაულობას, საქმე აიცილა და ზესტაფონის რაიონის სასამართლოს გადაუგზავნა. იქაური მოსამართლეც ჩემს დარბაზიდან გაშვებას გეგმავდა, მაგრამ მერე ვიღაცეებმა დაურეკეს, უკანონო პატიმრობის გამო პროკურორის დაპატიმრების საშიშროება იქნებაო და საბოლოოდ 11 წელი მომისაჯეს. სხვათა შორის, იმ მოსამართლემ ჩემს ახლობლებს ბოდიშიც კი მოუხადა, მაგრამ..." - აღნიშნა ჩვენთა საუბარში პატიმარმა ფრიდონ თუთაშვილმა, რომლის განაჩენიც უკვე კანონიერ ძალაშია შესული და ერთადერთ იმედად სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის გადასინჯვა რჩება.

მსჯავრდებული რევაზ უსტინიანი კი, რომელსაც ძარცვისთვის 5 წელი აქვს მისჯილი, პრეზიდენტს შეწყალებას სთხოვს: **"ხანში შესული კაცი ტუბერკულიოზით ვარ დაავადებული, ოთხი თვეა შეწყალების კომისიაში განცხადება გავგზავნე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში პასუხი არ მიმიღია. იქნებ პრეზიდენტმა შემიწყალოს, რომ თავისუფლებაში მაინც მოვკვდე,"** - ამბობს უსტინიანი.

"ორი მოწმის ჩვენების საფუძველზე 2001 წლის 13 ოქტომბერს დამაკავეს. საქმეში კი 15 ოქტომბრით დათარიღებული ჩხრეკის ოქმი დევს, თითქოს 36 გრამი პლანი აღმომიჩინეს. იმ ორი მოწმის დაკითხვას ვითხოვდი ძიების პროცესშიც და სასამართლოშიც, მაგრამ თვალით არავის უნახავს. მოძებნონ ის ხალხი, ვისი ჩვენების საფუძველზეც ორი წელია, ციხეში ვარ, მადლობა მინდა ვუთხრა, რომ ათი კაცის მკვლელობა არ დამაბრალა," - განაცხადა ახმედ მურაევმა.

რუსთავის №1 დაწესებულებაში მყოფი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლნი კი პრეზიდენტისათვის ხმის მიწვდენას წერილობითი ფორმით ცდილობენ, რომელსაც ხელს 29 მსჯავრდებული აწერს.

"ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ სამშობლოს მოწოდებაზე ჩავდექით მისი მთლიანობის და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე. უმრავლესობა დაჯილდოებული ვართ ვახტანგ გორგასლის ორდენებით, გვყავს მეორე ჯგუფის ინვალიდი, ერთი კი 73 წლის მსჯავრდებული. თითოეული ჩვენგანი სასჯელს 9-11 წელია, ვიხდით და დარჩენილი გვაქვს 2-3 წელი. აქედან, ბევრი ექვემდებარება პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებას, მაგრამ კორუმპირებული მოსამართლეების გადაწყვეტილების გამო კვლავ პატიმრობაში ვართ. გთხოვთ, გაგვათავისუფლოთ, რათა ჩვენც მოგვეცეს საშუალება, მონაწილეობა მივიღოთ ქვეყნის გამთლიანობისთვის ბრძოლაში," - ითხოვენ ყოფილი მეომრები.

სხვა პატიმრები კი კვლავ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების პრობლემებზე საუბრობენ და ხელისუფლებისგან კორუმპირებული მოსამართლეების და პროკურორების დასჯის პარალელურად, ამ პრობლემის მოგვარებასაც ითხოვენ.

ორი სიტყვით

ხაშური. ოთხი ნიღბიანი პირი თავს დაესხა ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში მცხოვრებ, 66 წლის ვ.ო.-ს ოჯახს, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ოჯახის უფროსს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაიტაცეს 5.500 აშშ დოლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბათუმი. გუშინ გამთენიისას ბათუმში "საქართველოს ერთიანობის კავშირის" ოფისი გაქურდეს. კობა დავითაშვილის პარტიის ოფისიდან გაიტანეს აპარატურა, კავშირის წევრის მალხაზ მახარაძის კუთვნილი მობილური ტელეფონი, ჩაამტვრიეს ფანჯრის მინები. ეს ბათუმში "საქართველოს ერთიანობის კავშირის" ოფისის ძარცვის მეორე შემთხვევაა. მალხაზ მახარაძის განცხადებით, ის ფაქტი, რომ პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა სათანადო რეაგირება არ მოახდინეს, მეორე ძარცვის საფუძველი გახდა. ამჯერად მომხდართან დაკავშირებით დაკავებულია თენგიზ ბერიძე, რომელსაც პოლიციამ ნაქურდალი აღმოუჩინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მარნეულის რაიონის საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციისა და სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილებების თანამშრომლებმა დააკავეს ქურდობისთვის რუსეთის ფედერაციის პეტროზავოდსკის შს სამმართველოს მიერ ძებნილი, 34 წლის შუქურ ჰუსეინოვი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს სამტრედიის რაიონის სოფელ გომში მცხოვრები, 21 წლის ლ.ბ., რომელმაც სოფელ ბოსლევში დაჭრა და მოიპარა გამგეობის კუთვნილი 940 კილოგრამი წყლის მილები. ასევე, დააკავეს ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკაში მცხოვრები, 20 წლის რ.კ., რომელმაც სოფლის მიმდებარე ტერიტორიიდან მოიპარა ახალქალაქის წყალთა მეურნეობის სამმართველოს კუთვნილი 181 მეტრი პლასტმასის და 6 მეტრი რკინის მილი. მიმდინარეობს მოკვლევა. დააკავეს ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკაში მცხოვრები, 26 წლის ა.გ., რომელმაც სოფლის მიმდებარე მინდვრიდან მოიპარა ახალქალაქის წყალთა მეურნეობის სამმართველოს კუთვნილი 90 ცალი 549 მეტრი პლასტმასის მილი. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

მოკლედ

ვახტანგ ცაავას სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

"თბილგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორის, ბრალდებულ ვახტანგ ცაავასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო მსჯელობდა. მართლმსაჯულებამ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და სხვისი ქონების მითვისებასა და გაფლანგვაში ბრალდებულ ყოფილ მაღალჩინოსანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

შეგახსენებთ, რომ ვახტანგ ცაავა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში "თბილგაზში" არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით დაკითხვაზე გამოიძახეს და რამდენიმესაათიანი საგამოძიებო პროცედურის – ჩვენების ჩაბარების შემდეგ, ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავეს. "თბილგაზის" გენერალურ დირექტორის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე და 182-ე მუხლებით აღიძრა. ბრალდების მიხედვით, ვახტანგ ცაავას "თბილგაზის" გენერალურ დირექტორად მუშაობის პერიოდში სახელმწიფოს 700 000 ლარის ოდენობის ზარალი მიადგა. ცაავას ადვოკატი ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. ადვოკატი ირწმუნება, რომ "თბილგაზში" დანიშნული დოკუმენტური რევიზია ჯერ არ დასრულებულა და შესაბამისად, მისი დასკვნა არ მოიპოვებოდა, რის საფუძველზეც მისი დაცვის ქვეშ მყოფს წარუდგინეს ბრალდება.

24 საათი

კონფლიქტის ზონაში სეპარატისტები კვლავ ისვრიან

სამი დღის წინ სოფელ თამარაშენში ოსი სეპარატისტების მიერ დაჭრილო ორი ჯარისკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე აღარ ემუქრება. ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც თამარაშენის საშუალო სკოლის ეზოში იყვნენ გამაგრებული, სავარაუდოდ, სნაიპერის მიერ ნასროლი ტყვიებით არიან დაჭრილები.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფელ არცევში გუშინ რუსული სამშვიდობო ბატალიონის რიგითიც დაიჭრა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით. ბატალიონის ხელმძღვანელობა ამ ფაქტზე კომენტარს ჯერ არ აკეთებს და აცხადებს, რომ მიმდინარეობს მოკვლევა, რის შემდეგაც მომხდარის დეტალები დაზუსტდება.

ჩვენს ხელთ არსებული წინასწარი ინფორმაციით, ჯარისკაცი სოფლის მაღაზიაში შევიდა, სადაც ადგილობრივი ოსი ეროვნების მოქალაქეებთან შელაპარაკება მოუვიდა, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა. დაჭრილი რუსი ჯარისკაცი ცხინვალის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

24 საათი

ჟურნალისტის სტატუსით ციხეში ნარკოტიკი შეჰქონდა

იუსტიციის სამინისტროს ქსნის მეშვიდე დაწესებულების თანამშრომლებმა პატიმრისთვის ნარკოტიკის შეგზავნის მცდელობის ფაქტზე ახალგაზრდა ქალი დააკავეს. როგორც იუსტიციის სამინისტროში განგვიცხადეს, დაკავებული კოლონიაში შეღწევას ჟურნალისტის მოწმობით ცდილობდა. მას დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა სარეცხის ფხვნილში ჰქონდა დამალული. იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ აღნიშნული ფაქტი შემდგომი გამოძიების მიზნით პროკურატურას უკვე გადაუგზავნა.

სტატისტიკის მიხედვით, ბოლო თვენახევრის განმავლობაში პატიმრებისთვის მათი ახლობლების მიერ ნარკოტიკების შეგზავნის მცდელობის ოცდაათზე მეტი ფაქტია გამოვლენილი.

24 საათი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი .....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

მეუღლე ლუიზა ჩიქვინიძე, შვილები პეტრე, გია, და ნათელა, რძლები ნინო გეგეშიძე, ეკა კვიტაშვილი, შვილიშვილები ზუკა, მარიამი, ირინა, სიდედრი ირა ჩიქვინიძე, სიძე ლერი გამრეკლიძე, ცოლისძმა ლერი ჩიქვინიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ პეტრეს ძე ცაგარეიშვილი

პანაშვიდი: 10-11 ოქტომბერს, 16.00 საათზე.
მისამართი: ფალიაშვილის ქ. 43, მე-2 სადარბაზო.
დაკრძალვა: 12 ოქტომბერს, 14 საათზე.
გამოსვენება: ვაკის სამების ეკლესიიდან.

ენერგოსექტორის მონიტორინგი

გაზეთი "24 საათი", "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, იწყებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ "24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე maya-u@gol.ge..

საით მიდის ქართული ენერგოსექტორი?

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი დაიწყო. პირველ ეტაპზე, ცენტრი შეეცადა გაერკვია, არსებობს თუ არა კონკრეტული მიზანი, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკამ რეფორმების შედეგად უნდა მიაღწიოს.

როგორც გაირკვა, ქართული ენერგეტიკის ნგრევის ათწლეულის თავზე დღეს საქართველოში ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ის მოდელი, სადამდეც უნდა მივიდეს ქართული ენერგოსექტორი - ასეთია ის პირველადი დასკვნა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" მიერ საწყისი ჟურნალისტური კვლევის შედეგად შეიძლება გაჟღერდეს.

ცენტრმა ვერც პარლამენტში, ვერც ენერგეტიკისა და ეკონომიკის სამინისტროებში ვერ მოიძია ქართული ენერგოსექტორის სამომავლო მოდელის ის დაზუსტებული სქემა, რომლისკენაც ახალი ხელისუფლება ამ სექტორის წაყვანას აპირებს.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ენერგეტიკის საკითხების შემსწავლელი სპეციალური კომისიის ხელმძღვანელი გია ნაცვლიშვილი ცენტრთან საუბარში აცხადებს, რომ პარლამენტში ჯერ-ჯერობით არ არის შემოსული კანონპროექტი ენერგოსექტორში მეტ-ნაკლებად ფუნდამენტალური ცვლილებების თაობაზე და ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ ენერგეტიკული პოლიტიკის დღევანდელი მესაჭის - ენერგეტიკის სამინისტროს მესვეურთ დღეს კვლავ "ხანძრების ჩაქრობაზე" ზრუნვა უხდებათ. ამასთან, იგი ამბობს, რომ კომისიამ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შეიქმნა და რომლის ძირითადი ფუნქციაც ენერგოსექტორში არსებული დარღვევების შესწავლაა, თავადაც დაიწყო ენერგოსექტორის ახალ მოდელზე მუშაობა, თუმცა, ეს პროცესი ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა.

ეკონომიკის სამინისტროში, ცხადია, აცხადებენ, რომ ენერგოპოლიტიკის წარმოება, ძირითადად, ენერგეტიკის სამინისტროს პრეროგატივაა. თუმცა, ეკონომიკის მინისტრის მოდგილე ნათია თურნავა ამბობს, რომ დარგის "გარკვეულ სეგმენტებთან დაკავშირებით შექმნილია ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროების ერთობლივი სამუშაო ჯგუფები" - საუბარი ძირითადად ენერგოსექტორში განსახორციელებელ პრივატიზაციასა და მარეგულირებელი ორგანოების როლს ეხება, თუმცა, ბოლომდე ჩამოყალიბებული კონცეფცია, მით უმეტეს - მოდელი ამ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროში, ჯერჯერობით, არ არსებობს.

ენერგეტიკის სამინისტროში უკვე აქვთ დარგის განვითარების კონცეფცია, რომელიც აშკარად მეტისმეტად ზოგადია იმისთვის, რომ ამ სექტორის განვითარების პერსპექტივაზე კონკრეტული წარმოდგენა შექმნას. თუმცა, სამინისტროში "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" გააცნეს ის მონახაზი, რომელიც მომავალ საკანონმდებლო ცვლილებებში იქნება გათვალისწინებული. ეს ცვლილებები მთლიანად დარგის რეგულირების ახალ მოდელზე - მაგალითად მარეგულირებლებთან ან იგივე პრივატიზაციასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მოსალოდნელ სიახლეებზე წარმოდგენას ვერ ქმნიან, თუმცა აშკარად მიანიშნებენ იმ გეზზე, რომლის აღებასაც სამინისტრო, როგორც მისი დღევანდელი მესვეურები ამტკიცებენ - უახლოეს მომავალში გეგმავს.

მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების დეტალები:

როგორც ენერეგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" აცნობა, ენერგეტიკის სამინისტროში მუშავდება ახალი კანონპროექტი - ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონში ცვლილებები. ცენტრისთვის ცნობილი გახდა, რომ ჯერჯერობით, კანონპროექტი წერილობითი ფორმით არ არსებობს. ალეკო ხეთაგურის ინფორმაციით, თავად სამინისტრომ ეს კანონპროექტი, სავარაუდოდ, მომავალი კვირის ბოლოსთვის უნდა მოამზადოს და ამის შემდეგ სხვა დაინტერესებულ მხარეებს – ეკონომიკის სამინიტროს, სემეკ-ს და სხვ. დაუგზავნოს.

ჯერ დაუწერელი, თუმცა, როგორც სამინისტროში ამბობენ, "იდეის დონეზე ნათლად ჩამოყალიბებული კანონპროექტი" სამ ძირითად ცვლილებას ითავლისწინებს, რაც ელექტროენერგეტიკული სექტორის მართვის ახალი - საბოლოო მოდელისკენ გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი უნდა იყოს. თავად ალეკო ხეთაგურის ვერსიით, ეს ცვლილებები შემდეგნაირად გამოიყურება:

1. აღრიცხვიანობის მოწესრიგება და სისტემის ახალი ფინანსური მოდელი

საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, სექტორის ისე განვითარებას, რომ საკუთარი ფინანსური რესურსების ხარჯზე მან მომავალი განვითარება შეძლოს. ანუ, პირველი პრიორიტეტი აღრიცხვიანობის მოწესრიგება და თანხების ამოღების ზრდა იქნება.

აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად, ანუ თანამედროვე ტიპის მრიცხველების დასამონტაჟებლად, აუცილებელია სოლიდური ინვესტიციების განხორციელება.

მეორე - უნდა შეიცვალოს სისტემის ფინანსური მოდელი. ანუ - ამოღებული თანხები ყველაზე თანაბრად უნდა გადანაწილდეს. მინისტრის მოადგილის მიერ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრისთვის" მოწოდებული ინფორმაციით, დღეს რეგიონებში ელექტროენერგიის საფასურის ამოღება დაახლოებით 40 პროცენტია. "დღეს რა ხდება - გამანაწილებელი კომპანია თავის წილ ტარიფს იტოვებს და რა თანხაც რჩება, იმას იხდის საბითუმო ბაზარში. შესაბამისად, წარმოიქმნება ისეთი სიტუაცია, რომ ეს სადისტრიბუციო კომპანიები თავად 100 პროცენტით იღებენ კუთვნილ ფულს, საბითუმო ბაზარს კი მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის სულ რაღაც 10-15 პროცენტს უფარავენ," – აცხადებს ხეთაგური. მისი თქმით, ერთი მხრივ, ამას დღეს აქვს თავისი დადებითი მხარე - ადგილზე დატოვებული თანხებით უნდა მოწესრიგდეს აღრიცხვიანობა, დაიდგას მრიცხველები. "თუმცა, ცხადია, რომ ეს არ არის ნორმალური პროცესი," – ასე აფასებს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე დარგში მიდინარე აღნიშნულ პროცესს.

სწორედ ამიტომ, სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ცვლილება ითვალისწინებს იმას, რომ თანხები მობილიზდეს ერთიან ანგარიშზე და თუ ამოღება არის 40 პროცენტი - მაშინ ეს თანხა ასეთივე პროპორციით უნდა გადანაწილდეს ყველა მონაწილეზე. ანუ - საკუთარი ტარიფის 40 პროცენტი დარჩეს გამანაწილებელ კომპანიას, შესაბამისად - 40 პროცენტს მიიღებს საბითუმო ბაზარი.

ამ ცვლილების დედააზრი ის არის, რომ გამანანწილებელი კომპანია უშუალოდ იყოს დაინტერესებული ელექტროენერგიის გადასახადის მაქსიმალურად მაღალი პროცენტით ამოღებაში და მაქსიმალურად მიმართოს ინვესტიციები უშუალოდ აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად. ამისთვის მას, პრაქტიკულად, დრო გაზაფხულამდე – აპრილამდე მიეცემა. ამ ვადაში სამინისტრო ზემოთ აღნიშნული ახალი საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებას ვარაუდობს.

ამავდროულად, სახელმწიფო ბიუჯეტში დღეს გათვალისწინებულია 3 მილიონი ლარი, რომელიც, ასევე, სწორედ გამრიცხველიანებაზე უნდა დაიხარჯოს.

დიდ ქალაქებში, მაგალითად ქუთაისში, რუსთავსა და სხვა, თითოეულ მომხმარებელს ექნება თავისი მრიცხველი, სოფლებში კი ე.წ. "კომუნალური მრიცხველები" დამონტაჟდება. მაგალითად, სოფლებში გათვალისწინებულია 10 კომლზე ერთი მრიცხველის დაყენება. თუ სოფელი პატარა აღმოჩნდება, შესაძლოა - მთლიანად სოფელს მხოლოდ ერთი მრიცხველი დაუმონტაჟდეს.

ასეთი პრაქტიკა სამტრედიის რაიონის რამდენიმე სოფელში დაინერგა და იქ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 80 პროცენტამდე გაიზარდა.

შედარებით სხვა მექანიზმი მუშაობს "თელასის" შემთხვევაში - ის 100 პროცენტიანი გადამხდელია. მართალია, ის არ იხდის ელექტროენერგიის საფასურს საბითუმო ბაზარში და ამ თანხას პირდაპირ თავისივე კომპანიას "მტკვარი-ენერგეტიკას" უხდის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური დაფარულია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ "თელასი" – "მტკვარი-ენერგეტიკა" - ბაზრის სამკუთხედის და ურთიერთჩათვლების არსებობა მაინც მახინჯი სქემაა.

2. მცირე ჰესების დერეგულაცია

რაც შეეხება ელექტროენერგიის გამომუშავების წყაროებს – გენერაციას. საბოლოოდ, ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების ბოლო ეტაპი მოწინავე ქვეყნებში მწარმოებლის დონეზე სრული დერეგულაცია, ანუ მწარმოებლის დონეზე კონკურენციის წარმოქმნა და ტარიფების გათავისუფლებაა.

თუმცა, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, საქართველოში ეს პროცესი საკმაოდ რთული განსახორციელებელი აღმოჩნდა, რადგან ქვეყნის ენერგოსექტორი საკმაოდ სპეციფიკურია. დღეს საქართველოს ორი მსხვილი ენერგომწარმოებელი გააჩნია - ერთია "ენგურჰესი", მეორე კი - გარდაბნის თბოელექტროსადგური. თანაც, ეს ორი სადგური ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება - ერთია პიკური სადგური, მეორე - ბაზისური. ამ ორივე სადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერგია მთელი ენერგოწარმოების 70 პროცენტს შეადგენს.

ხეთაგურის თქმით, საერთოდ მსოფლიოში მიღებულია, რომ თითოეული ელექტროსადგურის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს საერთო ენერგოწარმოების 10 პროცენტს, რადგან ერთზე მომხდარმა ავარიამ ან ერთის გაჩერებამ არ გამოიწვიოს მთლიანად ენერგოსისტემის კრიზისულ მდგომარეობაში ჩადგომა.

"ამიტომ ჩვენთან პირველ ეტაპზე მცირე სადგურების დერეგულაცია უნდა მოვახდინოთ. ახალი კანონპროექტი გაითვალისწინებს 5 ან 10 მეგავატამდე (ეს მსჯელობის საგანია) სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურების დერეგულაციას, ანუ მათ აღარ დაუწესდებათ ტარიფები, ისინი ერთმანეთს გაუწევენ კონკურენციას და საკუთარი ტარიფით გაყიდიან საკუთარ ელექტროენერგიას. ცვლილებებით, რომელიც ჩვენ მიერ ამჟამად მზადდება, ჰიდროელექტროსადგურების გათავისუფლება და ამით მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წახალისება გვსურს," – აცხადებს მინისტრის მოადგილე.

3. დისტრიბუცია-მიწოდება

მსოფლიოში თავად ელექტროენერგიის დისტრიბუციის ქსელი ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს. მაგრამ არსებობს ე.წ. "თრეიდერის" ინსტიტუტის შემოღების პრაქტიკა, რაც ჩვენ დანერგილი გვაქვს ბუნებრივი გაზის სექტორში - გამანაწილებელი და მიმწოდებელი არის სხვადასხვა იურიდიული პირი (თუმცა, ერთი და იგივეც შეიძლება იყოს, ეს აკრძალული არ არის).

გამანაწილებელი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ ოპერატორს, რომელიც გამანაწილებელ ქსელს უვლის. ხოლო მიმწოდებელს აქვს პროდუქციის, ამ შემთხვევაში გაზის ან ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ფუნქცია. ის თავის კუთვნილ გამანაწილებელ ქსელში გაატარებს ელექტროენერგიას და გამანაწილებელს ამ მომსახურების – ე.წ. "გატარების საფასურს" გადაუხდის.

ECM
ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

USAID

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს "ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს მხოლოდ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი"









საბოლოო, სავარაუდო მოდელი

და ბოლოს - ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალეკო ხეთაგურის ინფორმაციით, განვითარებულ ქვეყნებში განვითარების ბოლო ეტაპზე წარმოების დონე სრულიად დერეგულირებულია და ენერგობაზარზე არის სრული კონკურენცია: ანუ, თავად ბაზარი არის კონკურენტუნარიანი. მეორე სეგმენტი: გადაცემა-განაწილება-დისპეტჩერიზაცია, როგორც წესი, არის ბუნებრივი მონოპოლია, რის გამოც ეს სეგმენტი რეგულირებადია. შემდეგი სეგმენტი არის პროდუქციის საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდება, რაც, ასევე, მაქსიმალურად დერეგულირებულია. ეს არის ის საბოლოო ვარიანტი, რომლამდე მისვლაც, ენერგეტიკის სამინისტროს ხედვით, ჩვენთვის საჭირო და სასურველია.

„ოქროს ვრომეთე„ ირანში გაემგზავრება

B2

ხიზანიშვილი მომჯობინდა, კვირკველია კი თბილისში დარჩება

B4

მეფე დემეტრე I - "ვერშეცნობილი"

B7

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

სრულიად საქართველოს, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე თუ, დღევანდელი მდგომარეობით, ზუგდიდიდან ლაგოდეხამდე, აინტერესებს ერთი საკითხი. ქალაქად და სოფლად, ყანებსა და ზვრებში, კომპიუტერის მონიტორებთან და ბანკომატებთან, ტაძრების მოწიწებულ სიმშვიდესა და ბაზრობების ხმაურიან ორომტრიალში, ოჯახის სიმყუდროვესა და პრეზენტაციათა საჯაროობაში, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ერი და ბერი, დიდი და პატარა — ყველა, ყველა კვდება ცნობისმოყვარეობით და ერთადერთი რამ ადარდებს: როგორ შეერგოთ ხინკალი ჩვენს დეპუტატ რეზერვისტებს და ხომ არ შეფერხდა ამ უხვი ტრაპეზის შედეგად მათი კუჭის მოქმედება?!.

...რამდენიმე წლის წინათ რაღაც ღონისძიებაზე მიმიწვიეს პარლამენტში. ეს ღონისძიება კი დიდ დარბაზში გამართული საკმაოდ ხანგრძლივი სხდომა გამოდგა. მოწყენილობისაგან გაღიზიანებულმა ირგვლივ მიმოვიხედე და ხმამაღლა ვთქვი: იქნებ მრავალფეროვნებისთვის წაგვიყვანონ და ყვავილები მიგვატანინონ უცნობი დეპუტატის საფლავზე-მეთქი. მახსოვს, ჯერ ახლოს მსხდომი "ენჯეოშნიკები" ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ეს ვინ ბრძანდებოდა, ეს ვინ ბრძანდებოდა. ბოლოს ერთ-ერთ "ენჯეოშნიკს" ეცოდინებოდა, ეს ვინ ბრძანდებოდა, ეს ვინ ბრძანდებოდა. ეს ეს ... ეს ... ეს ...

ᲜᲔᲡᲢᲐᲜ ᲥᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

"ჩემ მიერ, ჰიტლერის წინააღმდეგ დაწერილმა ვერც ერთმა სიტყვამ ვერ გადაარჩინა თუნდაც ერთი ებრაელის სიცოცხლე", - წერდა ბოლოს უ. ჰ. ოდენი, მაშინ როდესაც ახალგაზრდობაში პოლიტიკურად აქტიურს, ღრმად სწამდა იმისა, რომ პოეტს ომის დასასრულის მოახლოება შეუძლია.

არც მეორე გიგანტს - რობერტ ფროსტს შეჰპარვია ეჭვი პოეტის დანიშნულებაში - მას ცნობიერებაში ძირეული ცვლილებების მოხდენა ძალუძს. თუმცა, ამისთვის საჭიროა დრო, საზოგადოება პოეტის ენით საუბარს დროთა განმავლობაში სწავლობსო, წერდა იგი.

ზემოთ ხსენებულ ავტორთაგან განსხვავებით, ვაჟა-ფშაველას მხილება თვითკრიტიკული და კატეგორიულია: "მართლაც, რა გავაკეთეთ, რა გავარიგეთ ქართველმა ინტელიგენციამ საქვეყნოდ, საერო? თუ მე მკითხავთ, გულახდილად გეტყვით: "არაფერი"... გაზეთები და წიგნები მისი (ინტელიგენციის) მეოხებით საკმაოდ იბეჭდება, და არავინ კი არ კითხულობს, ან საიდან და როგორ უნდა წაიკითხოს კაცმა თუ კითხვა არ ეცოდინება? აი, როგორი აღმშენებლები ვყავართ ჩვენს ქვეყანას! ჩვენი დიდი ღვაწლი განიზომება იმ გარემოებით, რომ ამდენი ლიტერატურული ჰაი-ჰუით ბევრი რომ ვთქვათ, 1500 მკითხველი შევიძინეთ სამ მილიონ ქართველთგან."

რა პოზიციას დაიკავებენ პოეტები დღეს? მაშინ, როცა ამერიკა სუპერთანამედროვე იარაღით ბომბავს ქვეყანას, რომელიც შუასაუკუნეების წყვდიადშია ჩაფლული. პირველი პოეტური შეფასებაც გაისმა - " ეს სიურეალისტურია!"

ასეთ დროს მხილებაც საკმარისია, მით უმეტეს, როცა თავად ექსპერტებიც კი უსუსურები არიან პროგნოზის გაკეთებისთვის. და თითქოს ლოგიკურიც არის, რეალურად საქმე გვაქვს მისტიკასთან - არის მსხვერპლი, "არ ჩანს" მტერი.

ბოლო ხანს, ჩემს ხელთ არსებულ ულტრათანამედროვე პროზაში, მხოლოდ ერთგან გაისმა აღმსარებლობითი ბასი, ზუსტი და ადეკვატური. ბესტსელერების ავტორის მიშელ უელბეკის გმირი, - სექსუალური ტურიზმის მსხვერპლი, საბოლოოდ გულუბრყვილო აღსარებას გვთავაზობს, - იგი არც ევროპელობაზე ამბობს უარს და არც კავკასიაში დაბინავების მანერულობით არის შეპყრობილი. ციტატა: "ვყარვართ, რადგან ეგოიზმით, მაზოხიზმით და სიკვდილით ვართ გაჟღენთილები. ჩვენ შევქმენით სისტემა, რომელშიც შეუძლებელი გახდა ცხოვრება, უფრო მეტიც, ამ საშინელებას მთელ მსოფლიოზე ვავრცელებთ."

სამწუხაროდ, არც დასავლური მაგალითები და არც საკუთარი გამოცდილება საკმარისი არ აღმოჩნდა რელიგიათა შერიგებისთვის. გაჩნდა შიში, არა იმდენად ტერორიზმის, რამდენადაც ამ სიტყვასთან გაშინაურების პერსპექტივის. გარანტიებს, თითქოს ვეღარც შვეიცარიული საათები იძლევიან, - ვისაც საშუალება გაქვთ გაიქეცით, გაიქეცით, რაც შეიძლება შორს.

ბარიკადებზე თუ მანსარდაში? ასეთ დროს ყველაზე უფრო გაწონასწორებული პასუხია - პოეტს საზოგადოებისაგან მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვება - წეროს კარგად. ე.ი. მტრის შემოსვლის შემთხვევაში პოეტები საწერ მაგიდებთან რჩებიან? არ ვიცით! ჩვენ ვსვამთ კითხვებს, და თითქოს პასუხის გარეშეც ყველაფერი გასაგებია.

ახლა არქაული, ან სულაც აზიური ესთეტიკა ყველაზე მომგებიანია. ქვეყნები, სადაც საქონელი ცოფმა გაწყვიტა და სეტყვამ სახურავები დაულეწა სახლებს - ეს საუკეთესო ექსტერიერია დრამის გასათამაშებლად.

ლამის არის ზესახელმწიფოს პერსპექტივის მქონე კავკასიას მოადგეს პაულო კოელიო და სვანურის დახმარებით გაშიფროს რაღაც დიდი საიდუმლო. ლამის არის მიშელ უელბეკმა წაწლების ამბავი გაიტანოს ბულვარებით უზრუნველყოფილ ევროპაში. რეალურად კი ვერონიკა კი არა, ეს America Decides To Die (ამერიკამ გადაწყვიტა სიკვდილი) არის.

რა ცუდია, რომ " ალქიმიკოსი" უფრო პოპულარული წიგნია, ვიდრე " ვეფხისტყაოსანი". ასეთ შემთხვევაში ხომ, მსოფლიოს ვერასოდეს შევატყობინებთ - რომ ჩვენში, ჯერ კიდევ 8 საუკუნის წინ, ქრისტიანობის ეთიკური მხარე და ისლამის ესთეტიკური მხარე, გასაოცარ ერთიანობაში აირეკლა ერთ დიდი პოემაში. ისეთი სიზუსტითა და სიძლიერით, რომ დღეისთვის, სულ რაღაც რამდენიმე სტრიქონი, თითქოს, საკმარისი აღმოჩნდებოდა რელიგიათა შერიგებისთვის. მაგრამ ამერიკამ უკვე გააკეთა არჩევანი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

"ბაიას გალერეამ" 7 ოქტომბერს გამოფენა-გაყიდვაზე "კოლექციიდან კოლექციამდე" მე-20 საუკუნის ქართველი და საქართველოში მცხოვრები რუსი მხატვრების 50-მდე ნამუშევარი გამოიტანა. გასაყიდადაა გამოტანილი მე-11 საუკუნის ჭედური ხატის ფრაგმენტიც.

ეს გამოფენა-გაყიდვა უდავოდ დაინტერესებთ ხელოვნების მოყვარულებს და კოლექციონერებს. აქ თითქმის ყველა ის ცნობილი ავტორია წარმოდგენილი, რომელთა ნამუშევრებზე უკვე რამდენიმე წელია დიდი მოთხოვნაა ქართულ ხელოვნების ბაზარზე. "ბაიას გალერეაში" არჩევანი ძალიან დიდია: კაკაბაძე, ქიქოძე, ახვლედიანი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ქობულაძისა და გამრეკელის თეატრალური ესკიზები, გაბაშვილი, გუდიაშვილი, კირილე ზდანევიჩი, ვარაზი, სანაძე.

ძალიან საინტერსოა, რა რაოდენობით და რა ფასებში გაიყიდება ქართული მხატვრობის წარმოდგენილი ნიმუშები; იმ ფასად, რაც ე.წ. "ფრაის ლისტშია" მითითებული, თუ უფრო მაღალ ან დაბალ ფასებში. მაგრამ ამ ინფორმაციას გალერეის მფლობელი ბაია წიქორიძე არ ახმაურებს: "ჩვენ მფლობელის ინტერესებს ვიცავთ, მათ არ უნდათ, რომ ეს გახმაურდეს... ეს დახურული ინფორმაციაა..."

მიუხედავად გამოფენა-გაყიდვის სახელწოდებისა - "კოლექციიდან კოლექციამდე", ორგანიზატორები ნამუშევრების წარმომავლობის შესახებ არაფერს ამბობენ. "რაც შეეხება ნივთის წარმომავლობას, ამას მხოლოდ მყიდველს ვეუბნებით". - ამბობს ბაია წიქორიძე.

გაუგებარია ამ სახის ინფორმაციის გასაიდუმლოების აუცილებლობა. ნებისმიერი გაყიდული სურათი, შემდგომში, მხატვრის კატალოგში ახალი მფლობელის გვარით შედის. ასე რომ, ადრე თუ გვიან, გაყიდვის ფაქტიც და მყიდველის ვინაობაც "საჯარო" ხდება. რაც შეეხება წარმომავლობის ისტორიას, ის უფრო ხშირად, დამატებითი სტიმულატორია პასიური მყიდველისათვის. ასე რომ, წარმომავლობაზე ჯობს, იყვირო, როცა ის კანონიერია (რაშიც ეჭვი არ მეპარება) და არ გაასაიდუმლოო.

გამოფენა-გაყიდვა თბილისობის დღეებშიც ღია იქნება. თუ შეივლით არ ინანებთ, იმასაც აღმოაჩენთ, რომ გუდიაშვილი არა მარტო პარიზში, არამედ თბილისშიც, თანაც 60-იან წლებში მშვენივრად ხატავდა.

"ᲝᲥᲠᲝᲡ ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔ" ᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲙᲘᲙᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

70-მდე წარმოდგენილი ფილმი; უამრავი რუბრიკა: ჰორიზინტები, დოკუმენტური, ევროპული კინოს ფორუმები, კინოსკოლა და, რაც მთავარია, საკონკურსო პროგრამა, სადაც "ოქროს" და "ვერცხლის" "პრომეთეს" მოპოვებას 9 ქვეყნის კინემატოგრაფია ცდილობდა.

5 ოქტომბერს მეხუთედ გახსნილი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი "პრომეთე", გუშინ კინოთეატრ "ამირანში" საზეიმოდ დაიხურა. თუმცა, პრიზიორების გამოვლენამდე, რომელიც კომპეტენტურმა ჟიურიმ დაასახელა: ჟიურის თავმჯდომარე ულრიხ გრეგორი (გერმანია), კინოკრიტიკოსი ტერეზა ბრდეჩკოვა (ჩეხეთი), რეჟისორი და კინოკრიტიკოსი პიერ ანრი დელო (საფრანგეთი), რეჟისორი ინეკე სმიტი (ჰოლანდია) და მსახიობი ნინო კობერიძე (საქართველო), დახურვაზე შეკრებილმა საზოგადოებამ სოსო ჯაჭვლიანის "ჩემი პირველი სიყვარული" და ფაიტ ჰელმერის, ქართველ სტუდენტებთან ერთად შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ქართული ზაფხული" იხილა.

სერგო ფარაჯანოვის ფონდმა, რომელმაც წელს პირველად "ფარაჯანოვის" პრიზი დააწესა - მინანქრული ბროწეული, დათო ჯანელიძის დოკუმენტურ ფილმს "მეიდანი-სამყაროს ჭიპი" გადაეცა. - "მეიდანი, ეს ისეთი ადგილია, რომელიც ერთმანეთში აბსოლუტურად განსხვავებულს, სხვადასხვანაირ კულტურას აერთიანებს. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ფარაჯანოვი უნდა აღორძინდეს" - განაცხადა პრიზის გადაცემამდე ფონდის ხელმძღვანელობამ, რომელიც დარბაზს და ფარაჯანოვის კინოს მოყვარულებს თბილისში, ფარაჯანოვის მუზეუმის გახსნას და სულ მალე ფარაჯანოვის სახელობის საერთაშორისო კინოფესტივალის შექმნას შეჰპირდა.

ყველაზე კულმინაციური მომენტი სწორედ მაშინ დადგა, როცა ჟიურის თავმჯდომარემ ულრიხ გრეგორმა, პრიზიორები დაასახელა. მაშ ასე, პრიზი **საუკეთესო რეჟისურისათვის გადაეცა ალბერტ თერ ჰერდტის ნიდერლანდურ ფილმს - "ჩუმად! ჩუმად! საყვარელო", ხოლო "ოქროს პრომეთე" გაემგზავრება ირანში, რომელიც ჯაფარ პანაჰის ერგო ფილმისათვის "მეწამული ოქრო".** თუმცა, იმის გამო, რომ სწორედ ეს ფილმები არ მინახავს, მათზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. და იმედს დავიტოვებ, რომ ამ ფილმების ნახვის საშუალება ახლო მომავალში მოგვეცემა. გამარჯვებულების დასახელების შემდეგ, კინოთეატრში შეკრებილმა საზოგადოებამ სერგეი სოლოვიოვის ფილმი "სიყვარულის შესახებ" იხილა.

ფესტივალის ექვსმა დღემ, სწრაფად ჩაიარა. ტრადიციისამებრ, მაყურებელს, კინოთეატრი "ამირანი" (ფესტივალის ძირითადი სპონსორი) და კინოს სახლი მასპინძლობდა. თუმცა, წელს, გოეთეს ინსტიტუტის საპროექციო დარბაზი და კინომსახიობთა თეატრიც დაემატა; გოეთეს ინსტიტუტი, სადაც დიდი გერმანელი მსახიობის კარლ ვალენტინის რეტროსპექტივა მიმდინარეობდა და კინომსახიობთა თეატრი, რომელმაც, როგორც ჩანს, უკვე აითვისა კინოდარბაზობის ფუნქციაც, სადაც რამოდენიმე თვის წინ, სტუდენტური ფილმების ფესტივალი "სესილი" გაიმართა. წელს კი საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ბაზაზე შექმნილი ფილმები უჩვენეს. პირველი სიყვარული - ეს იყო ის ჯადოსნური სიტყვები, რომლის გარშემოც ტრიალებდა 15 წუთიანი ფილმები. მათ შორის, საუკეთესო, გიორგი ოვაშვილის ფილმი იყო "ზღვის დონიდან". უსიტყვო, მუნჯი, მაგრამ სავსე პირველი სიყვარულის სპეტაკი, სუფთა გრძნობებით. თავისუფალი ყოველგვარი მოქმედებისგან, რომელიც სულ უფრო და უფრო გითრევდა "თამაშში". ნამუშევარმა, რომელმაც ზაფხულში მაროკოს კინოფესტივალზე "სამხრეთი-სამხრეთი" გრან-პრი აიღო მოკლემეტრაჟიან ფილმებში, "პრომეთეს" ფარგლებში ჩვენების შემდეგაც უამრავი მიწვევა მიიღო. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, გიორგი ოვაშვილის ფილმი თებერვალში "პანორამის" პროგრამით ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალს ეწვევა.

მთავარი "პრომეთე" ირანში გაემგზავრება.

ერთადერთი, რაც თამამად შეიძლება ითქვას, არის ის, რომ ფესტივალი, შარშანდელი "ქაოსისგან" გაცილებით მობილიზებულ-ორგანიზირებულად უკეთესი პროგრამით ჩატარდა. თუმცა, ის ფაქტი, რომ ჩვენებების გარდა ორგანიზატორებს უნდა ეზრუნათ მეტი შეხვედრების, კონფერენციების მოწყობაზე - ისევ სამომავლოდ, ფესტივალისათვის სასურველად დარჩა. საკონკურსო ფილმები წარმოდგენილი იყო ნიდერლანდებიდან, ისრაელიდან, ავსტრიიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ირანიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან. რეჟისორთა უმეტესობისთვის წარმოდგენილი ფილმები იყო ან სადებიუტო, (ისევე როგორც "ვერცხლის პრომეთეს" მფლობელი) ან პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ნამუშევარი.

"ჩვენი მიზანი არა კომერციული ფილმების, არამედ ე.წ. დამოუკიდებელი ფილმებისკენაა მიმართული, სადაც აქცენტი ისევ ევროპულ კინოზე კეთდება" - ეს ფესტივალის დირექტორის გაგა ჩხეიძის ყოველი "პრომეთეს" წინ ტრადიციად ქცეული სიტყვებია. მართალია, ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმები ძირითადად ევროპული იყო, მაგრამ აქაც შეინიშნებოდა ის ტენდენცია, რომელიც დიდი ხანია შეიჭრა ევროპულ კინოფესტივალებზე - აღმოსავლეთი. დასავლური კულტურის ახალი "საზრდო", თავისი ცხოვრებით, წესებით, ტრადიციებით. თურქეთი, ირანი, ლიბანი, ბეირუთი, იაპონია, ჩინეთი. ფესტივალში მონაწილე ბევრ რეჟისორთა უმეტესობა ან აზიელი იყო, რაც აუცილებლად იგრძნობოდა ფილმებში, ან ფილმი სიუჟეტურად, აღმოსავლურ "სივრცეში" ვითარდებოდა. ალბათ, რისი დადასტურებაც ირანელი რეჟისორის გამარჯვება იყო, რომელსაც ყველა უდავო ფავორიტად ასახელებდა.

არანაკლებ ელოდებოდა მაყურებელი წარმოშობით თურქი რეჟისორის ფატიჰ აკინის ფილმს "თავი ახალე კედელს", 2004 წლის ბერლინის კინოფესტივალის "ოქროს დათვის" მფლობელს, რომელსაც "ამირანის" დარბაზი გადაჭედილი შეხვდა (უნდა აღინიშნოს, ეს არც ისე ხშირად ხდებოდა). მაგრამ, თარგმანის არარსებობის გამო, 15 წუთში თითქმის მთლიანად დაიცალა. დასანანია, რომ ფილმი, რომელიც აშკარად ძლიერი და საინტერესო ნამუშევარი იყო, თურქულ-გერმანულ ენაზე მიდიოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შეძლო მაყურებლის ჩათრევა, დატყვევება ახალგაზრდა, თურქი წყვილის ტრაგიკული ისტორიით. თუმცა, მაშინ, როცა ვცდილობ, დავასახელო ჩემთვის პირადად, საინტერესო და გამორჩეული ფილმები, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ანდრეი ზვიაგინცევის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი "დაბრუნება". რომელზეც მომავალში, ცალკე ღირს საუბარი.

სერგო ფარაჯანოვი, რომლის 80 წლის იუბილე ფესტივალმა მისი ფილმებით აღნიშნა: "ამბავი სურამის ციხისა", "საიათნოვა", "არაბესკები ფიროსმანის თემაზე", "აშუღ ყარიბი". "ცხოვრებაზე განაწყენებული. სილამაზეში შეყვარებული" - ასე დაასათაურა ფარაჯანოვის შემოქმედება გოგი გვახარიამ -" მან ახალი ესთეტიკა შექმნა მსოფლიო კინოში, სამყარო, რომლის შეფასება არ შეიძლება "კარგი" ან "ცუდი" გემოვნების კატეგორიებით, რადგან ეს სამყარო თავად გვიმტკიცებს, რომ ფილმის შეფასებას მხოლოდ ერთი კრიტერიუმი უნდა ჰქონდეს - რამდენად გამოხატავს ფილმი, როგორც ხელოვნების ნაწარმოები რეჟისორის ხასიათს, მის სულიერ სამყაროს, რამდენადაა თავისუფალი ავტორი. ამ თვალსაზრისით კი, სერგო ფარაჯანოვის ყოველი ფილმი, მისი ხასიათისაა, ხასიათი ნაწყენი, "ნატკენი", მაგრამ სიცოცხლისა და ადამიანების რწმენით აღსავსე ხელოვანისა, რომელსაც ერთი ძირითადი "კანონი" აქვს - "სილამაზის არანორმალური სიყვარული". თუ თქვენ მისი ერთი ფილმი მაინც გაქვთ ნანახი, მაშინ უდავოდ იგრძნობდით თითოეულ კადრში ჩადებულ დიდ სილამაზეს, სიყვარულს; ერთ დასრულებულ კომპოზიციას, ფრესკას; კადრში აგებულ, ენით აუწერელი სილამაზის მთელ "არქიტექტურას"; საკუთარი, "კეთილშობილი" სამყაროს უკიდეგანო ძალას. ეს კი, ნიშნავს ეზიარო, ფარაჯანოვის სამყაროს, მის კეთილ ზღაპრებს.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ "ᲙᲝᲜᲙᲘᲐᲡ" ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ

ქეთევან ქემოკლიძე ლა სკალას თეატრში იმღერებს

ᲛᲐᲓᲘ ᲡᲔᲠᲔᲑᲠᲘᲐᲙᲝᲕᲐ

"იმედია, არ დაწერ, რომ "ლა სკალას" სოლისტი ვარ" - ასე დაიწყო საუბარი ახალგაზრდა მომღერალმა ქეთი ქემოკლიძემ, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ტულუზაში ვოკალისტების საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა და "ლა სკალას" სპექტაკლში მონაწილეობისათვის მიიღო მიწვევა. მივეჩვიეთ ჩვენი თანამემამულეების მიერ უცხოეთში მიღწეული წარმატებების არარეალურად გადაჭარბებულ შეფასებებს. ქეთი ქემოკლიძეს ეს არ მოსწონს და საკუთარი მიღწევების მხოლოდ რეალური სურათის გახმაურებას ითხოვს. თუმცა, თავისი ასაკისთვის საამაყო უკვე საკმაოდ ბევრი აქვს.

ქეთევან ქემოკლიძე თანამედროვეობის უდიდეს მომღერალთან – ჯონ საზერლენდთან ერთად.

ქეთევან ქემოკლიძე კონსერვატორიის სტუდენტია, მონაწილეობა აქვს მიღებული კაროლინ დიუმასა და ლუდვიგ ბაუმანის მასტერკლასებში, თუმცა უკვე რამდენიმე წელიწადია ვოკალურ ხელოვნებას კონსერვატორიაში გულიკო კარიაულთან ეუფლება. ქეთევან ქემოკლიძე უკვე რამდენიმე კონკურსის, მათ შორის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია. გასულ წელს მეცოსოპრანო ელენა ობრაზცოვას სახელობის საერთაშორისო კონკურსის პრიზის მფლობელი გახდა ფრანგული სიმღერის საუკეთესო შესრულებისთვის, წელს კი ის ჯერ ბელვედერის მეტად პრესტიჟული კონკურსის დიპლომანტი გახდა, ხოლო შემდეგ, ტულუზას კონკურსის პირველი პრემია მოიპოვა.

ჯერ კიდევ ბელვედერის კონკურსში მონაწილეობისას ქართველი მეცო-სოპრანოთი ბარსელონასა და ლაიპციგის თეატრები დაინტერესდნენ. კონკურსს ესწრებოდა ასევე ლა სკალას თეატრის არტისტული დირექტორი ლუკა ტარჯეტი, რომელმაც ქემოკლიძეს მომავალ წელს ლა სკალაში "კონკიას" სპექტაკლში მთავარი პარტიის შესრულება შესთავაზა. ძალზედ უჩვეულო ფაქტია, როდესაც სკალაში მომღერალს სპექტაკლს წინასწარი საცდელი მომსმენების გარეშე სთავაზობენ. მით უმეტეს, რომ ამავე პარტიისთვის რამდენიმე საოპერო ვარსკვლავია მოწვეული. ეს მომხიბლავი წინადადება ახალგაზრდა მომღერალმა დიდი სიამოვნებით მიიღო და ამჟამად კონკიას პარტიას ამზადებს. ბელვედერის კონკურსზე მიიღო ასევე ბარსელონასა და ლაიფციგის თეატრების პრიზები. ეს უკანასკნელი ამ თეატრებში სპექტაკლებზე მიწვევებს გულისხმობს.

ტულუზაში ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი წელს, სექტემბერში 45-ედ ჩატარდა. იგი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კონკურსად ითვლება არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში. ყოველწლიურად მასში მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა მომღერლები მთელი მსოფლიოდან, რომელთაგან ბევრი შემდგომში ვარსკვლავიც ხდება. საქართველოდან მასში მონაწილეობა თავის დროზე ომარ გაგნიძემ და ნანა გორდაძემ მიიღეს და პრემიები მოიპოვეს. ახალგაზრდა მეცო-სოპრანო ქეთი ქემოკლიძე კი წელს პირველი პრემიის მფლობელი გახდა.

კონკურსი სამ ტურად იმართებოდა. მესამე ტურში გასული მომღერლები ტულუზის თეატრის ორკესტრთან ერთად მღეროდნენ. ჟიურის წევრები მსოფლიოს წამყვანი თეატრებისა და ფესტივალების სამხატვრო ხელმძღვანელები, დირიჟორები და კომპოზიტორები იყვნენ. მათ შორის, ტრიესტის, ლისეუს, ბუქარესტის, მილანის, გენუას, მარსელის თეატრების დირექტორები, პროვანსის საერთაშორისო ფესტივალის ხელმძღვანელი და სხვები. კონკურსში წარმატებული მონაწილეობის შემდეგ ქემოკლიძემ კიდევ რამდენიმე წინადადება მიიღო, მათ შორის მოწვევა ტრიესტის თეატრში და პროვანსის ფესტივალზე. დეკემბერში კი ბარსელონას თეატრში ჰიუგოსადმი მიძღვნილ კონცერტში მიიღებს მონაწილეობას.

მიუხედავად მრავალი თავბრუდამხვევი შემოქმედებითი წინადადებისა, ქეთევან ქემოკლიძე პირველ ადგილზე მაინც სწავლას აყენებს. ბევრ წინადადებაზე მან უარიც თქვა, იმის გამო, რომ მომავალ წელს "ლა სკალას" აკადემიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას. სკალას აკადემიაში კი გაკვეთილების გაცდენა თუნდაც პრესტიჟულ თეატრებში დაგეგმილი სპექტაკლების გამო, არცთუ კარგ ტონად ითვლება.

ქაშმირის სითხე

"მაქს მარა" ახალ დისციპლინაში

თამარ ბაბუაძე

ყველაფერს თავისი მასშტაბები აქვს და ძვირფასი ტანსაცმლის იტალიური სავაჭრო ნიშნის "მაქს მარას" შემოსვლა თბილისში ქართული მასშტაბებით ისე ძვირფასად გაიმართა, როგორც ეკადრებოდა - სასტუმრო "მერიოტის" დარბაზში თავშეყრილი ცნობილი სახეებით, დინი ვირსალაძის ჯაზ-ბენდით, ქეთი ფარესაშვილის სამბათი და ქართულ ლხინზე დიდი მონიტორიდან "შემოერთებული" კომპანიის ხელმძღვანელის ლუიჯი მარამოტის თანხლებით.

ვინც მოდის ჩვენებებს ადევნებს თვალს, მათთვის "მაქს მარა" ნამდვილად მეფური სახელია. ცოტა უფროსი თაობის წარმომადგენლებს კი ისიც კარგად ემახსოვრებათ, თუ როგორ შეშალა "მაქს მარას" პალტომ მთელი მსოფლიო ჭკუიდან "ერთ მშვენიერ წელს", კერძოდ კი, 1951-ში. ეს იყო ფუმფულა ქაშმირისგან კლასიკური დიზაინით შეკერილი პალტო, რომელმაც დროს გაუძლო, მაღალი კლასის "მოდნიცებში" მაღალი რეიტინგი შეინარჩუნა და დღეს 1500 დოლარი ღირს.

თბილისში კი "კოსმოპოლიტან კოსმეტიკსმა" და "ისი პარის" მაღაზიათა ქსელმა სწორედ ზემოხსენებული ქაშმირის პალტოს ანალოგიით შექმნილი სუნამო "მაქს მარა" შემოიტანეს. სუნამო პირველია არა მხოლოდ თბილისში, არამედ ზოგადადაც პირველია - ის გახლავთ ტანსაცმლის ბიზნესში 50-იან წლიანი მოღვაწეობის შემდეგ სუნამოების სამყაროში გადანაცვლებული "მაქს მარას" პირველი არომატი.

მისი პრეზენტაციები ევროპის მასშტაბით ახლახან გაიმართა და, როგორც ბოლო ხანს, ტრადიციად დამკვიდრდა, ახალი სუნამოს შემოსვლას არც ჩვენთან დაუგვიანია.

სუნამო "მაქს მარას" "დსთ"-ს რეგიონის ბრენდ-მენეჯერმა მარინა საუერმა და მისმა ქართველმა კოლეგამ "ისი პარიდან", გოჩა ჯალიაშვილმა წარმოგვიდგინეს. სწორედ მათთგან შევიტყვეთ, რომ ტანსაცმლის ცნობილმა იტალიურმა მწარმოებელმა სუნამოზე მუშაობის დროსაც მთავარ "ინგრედიენტად" ქსოვილი, კერძოდ კი, ქაშმირი აირჩია; უფრო ზუსტად, ქაშმირი, როგორც უფრო იდეური, სიმბოლური ინგრედიენტი - სუნამოს ფლაკონის ფორმა, დიზაინი და ფერი ისე შეირჩა, რომ ამ პატარა დეტალებით სრულყოფილად ყოფილიყო გადმოცემული ის, რაც "მაქს მარას" დანარჩენი ბრენდებისგან გამოარჩევს - ძვირფასი ქსოვილი, რომლითაც თავიანთ ლეგენდარულ პალტოებს კერავენ, ფავორიტი ფერი: ოქროსფერი, სწორი და ელეგანტური ხაზები...

ვინც მოდის ჩვენებებს ადევნებს თვალს, მათთვის "მაქს მარა" ნამდვილად მეფური სახელია.

ეს იდეა კი განსხეულდა დიზაინერ დაფნ ბუგეის მიერ შექმნილ სურნელში, რომელიც შაქრის ლერწამზე დაფუძნებული ყვავილოვანი არომატია ორქიდეის, თეთრი შროშანისა და მაგნოლიის გულით.

მოკლედ, ჩანაფიქრმა გაამართლა. სუნამოების ბაზრის ექსპერტები ერთხმად აღიარებენ: თუნდაც ტანსაცმლისგან ისეთ განსხვავებულ ნაწარმში, როგორიც სუნამოა, ქსოვილის სიმბოლოს გამოყენება მშვენიერი იდეაა, თუ თქვენს კომპანიას სახელი სწორედ ამ ქსოვილმა გაუთქვა.

ეს კი, "მაქს მარას" შემთხვევაში, მართლა ასეა. განათლებით იურისტმა აჩილე მარამოტიმ ერთხელაც საკუთარი გარდერობი გამოაღო, იქ არაფერი მოეწონა და გაუჩნდა იდეა, ტანსაცმლის დიზაინისთვის თვითონ მიეხედა. მით უფრო, რომ ამის ტრადიცია მარამოტების ოჯახში უკვე არსებობდა, აჩილეს დიდი ბებია, მარინა რინალდი ფლობდა საკუთარ მოდის ატელიეს და ჯერ კიდევ 1800 წელს აკეთებდა იმას, რითიც მისმა შვილთაშვილმა 1950-იანი წლებიდან გაითქვა სახელი - ავითარებდა პრეტა-პორტეს კოლექციების თანამედროვე იდეას.

უცებ გაჩენილი იდეის მიუხედავად, აჩილე მარამოტის საქმე სპონტანურად მაინც არ დაუწყია. თავის ფირმას სახელი მხოლოდ დიდი ფიქრის შედეგად დაარქვა და თავიდანვე ჩადო მასში განდიდების ამბიცია: მაქსი - როგორც ძლიერის სინონიმი; მარა - საკუთარი გვარის საწყისი ოთხი ასო.

1951 წელს გამოსული მარამოტის კოლექცია სულ ორი ხელი ტანსაცმლისგან შედგებოდა - აქლემისფერი პალტო და წითელი პიჯაკი, მაგრამ ეს არ იყო ორი უმნიშვნელო ხელი ტანსაცმელი. "მაქს მარა" მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ იტალიურ ბრენდად ხომ, სწორედ ამ აქლემისფერმა პალტომ და წითელმა პიჯაკმა აქცია. მერე კი ქაშმირით მოტანილ იღბალს მარამოტის გამჭრიახობაც დაერთო თან და თანდათან აშენდა და გაფართოვდა ათასგვარი მიმართულების მქონე ტანსაცმლის დიდი იმპერია, რომელმაც 2004 წლის შემოდგომიდან უკვე სუნამოების ტერიტორიის დაპყრობაც დაიწყო.

პირველი არომატი გამოსულია. ასე რომ, ასათვისებელ ტერიტორიაზე თეთრი დროშა უკვე ფრიალებს.

"ნაბადი", თეატრალური სივრცე - ფოლკლორის "იზმებითა" და მკაცრი ტრადიციების დეფორმაციით

სოფო კილასონია

თბილისში დღითი დღე მრავლდება დამოუკიდებელი თეატრები. ალტერნატიული თეატრალური სივრცე ისაა, რისკენაც თანამედროვე ქართველი რეჟისორი მიისწრაფვის - პროცესი, რომელიც ევროპულ თეატრში დიდი ხნის წინ დაიწყო, საქართველოში ჯერაც არ დასრულებულა.

ზუსტად იქ, სადაც თეატრალური ინსტიტუტის ყველაზე ორიგინალური სტუდენტები საკუთარი ექსტრავაგანტულობით თავს იწონებენ, რუსთაველის გამზირზე, ყოფილ კინოთეატრ "სპარტაკში", ყველაზე ტრადიციული და ეროვნული თეატრი გაიხსნა. ქართული ფოლკლორის პირველ თეატრს მისმა დამფუძნებელმა ბაკურ კიღურაძემ, დირექტორმა ზაზა მამალაძემ და სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ტურაბელიძემ "ნაბადი" უწოდეს და რამდენიმე კვირის წინ პირველი სპექტაკლი წარმოადგინეს.

პატარა კვადრატული ფორმის სცენა, ოცდაათადგილიანი მაყურებელთა დარბაზი, - ერთობ ევროპული თეატრალური გარემოა, სადაც კომფორტულ სავარძლებში მოკალათებულ მაყურებელს 26 მსახიობი (მოცეკვავეები და მომღერლები) მხოლოდ ხალხური სიმღერითა და ცეკვით ქართულ ტრადიციასა და ადათ-წესებზე მოუთხრობენ.

სპექტაკლი, რომელიც დაახლოებით ორი საათი გრძელდება, თითქმის ყველა ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას მოიცავს, რომელთა ერთობლიობის საერთო ქარგაში მოქცევასაც შეეცადა რეჟისორი გიორგი სიხარულიძე.

ერთი შეხედვით, სპექტაკლის სიუჟეტად, შესაძლოა, საქართველოს ისტორია, მისი ფრაგმენტული თხრობა მივიჩნიოთ, თუმცა ეს ასე არაა. სპექტაკლში ერთიმეორეს ენაცვლება არა კონკრეტული, ისტორიული მოვლენების ფოლკლორულ ენაზე გამოთქმული სცენები, არამედ განზოგადებული, სიმბოლური დატვირთვის მქონე "პასაჟები", რომლებიც ყველაზე უკეთ აჩვენებენ ქართულ ხასიათს და ქართულ ტრადიციას.

ქართული მითოლოგია, ომები, ბერიკაობა, დატირება - სიმბოლური ფრაგმენტებია, რომელთა დინამიურ მონაცვლეობას ზოგ შემთხვევაში თხრობითი და ოდნავ გახანგძლივებული ქორეოგრაფია, ნომრებად დადგმული ცეკვები აფერხებს. ადამისა და ევას დაბადება, ცეკვა ქართული, ქალღმერთი დალი და კლდეზე მიჯაჭვული ამირანი - ეს დასაწყისია, რომელზეც რეჟისორი თხრობის მთავარ ღერძს აგებს და თავიდანვე ზღაპრულ, მითიურ სამყაროში აქცევს მნახველს.

სპექტაკლის ქორეოგრაფი კი რეჟისორულ ჩანაფიქრს გულმოდგინედ ყველა კუთხის ცეკვით ავსებს, ისე, რომ გამორჩენილი არც ერთი არაა. სვანური, მთიულური, ოსური, ფშაური, რაჭული და სხვა - ცეკვა-სიმღერა ერთიმეორეს ენაცვლება და თან რთველისა და ქართული სუფრის ტრადიციებს გვიამბობს. სცენაზე მოცეკვავეებისა და მომღერლების მონაცვლეობა ტემპერამენტული ქორეოგრაფიული სცენებისგან ოდნავ დაძაბულ და საკმაოდ დაღლილ მაყურებელს სულისმოთქმის საშუალებას აძლევს. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო ჭაბუკა ამირანაშვილის მიერ დამუშავებული ორი მუსუკალური ნომერია, რომელსაც სცენის სხვადასხვა კუთხეში ჩამომჯდარი მუსიკოსები სხვადასხვა საკრავზე ასრულებენ.

სპექტაკლი, რომელიც დაახლოებით ორი საათი გრძელდება, თითქმის ყველა ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას მოიცავს, რომელთა ერთობლიობის საერთო ქარგაში მოქცევასაც შეეცადა რეჟისორი გიორგი სიხარულიძე.

ჩვენ გვსურს ახალგაზრდები ქართულ ფოლკლორს დავუბრუნოთ, ვაჩვენოთ ის, რაც ყველაზე ღირებულია, - ახალი თეატრის ხელმძღვანელობის ეს სიტყვები ცოტა გაუგებარია, როცა ბილეთის ფასი 68 ლარია და თავიდანვე ნათელია, რომ აქ წარმოდგენილი სპექტაკლები უცხოელ მაყურებელზეა გათვლილი, ვისთვისაც ეს თანხა, როგორც დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი აღნიშნავენ, კაპიკებია.

თუმცა, ფოლკლორმა და ტრადიციულმა ხელოვნებამ ფართო ხასიათი და ფართო გაგება მიიღო. ალბათ, მაინც საჭიროა ნამდვილი ეროვნული ხელოვნებისა და მისი ანარეკლებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშთა გარჩევა. სად არის სუფთა ტრადიციული ცეკვა, სიმღერა, და სადაა და რა დავარქვათ ტრადიციულ ელემენტებზე აგებულ, შესაძლოა, ასევე ღირებულსა და ღირსეულ (რადგანაც ის ჩვენი დროისაა, თანამედროვეა) ნამუშევრებს. ეს, ალბათ, დროისა და სპეციალისტების საქმეა და თანაც სხვა მსჯელობის თემაც.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ "ნაბადში" წარმოდგენილი სპექტაკლი ქართული, ხალხური ცეკვისა და სიმღერის თვალსაზრისით, სწორედ ფოლკლორისა და ტრადიციების "იზმებია", რაც სუხიშვილების თანამედროვე დადგმების უშუალო გავლენაა (რაც საკმაოდ მძაფრად იგრძნობა ქორეოგრაფიაში და რაც დამახასიათებელი გახდა საერთოდ თანამედროვე დადგმებისთვის), ასევე, სცენის მხატვრობა, რომელიც გია აბესალაშვილს ეკუთვნის და ანი ბაბილაშვილის თექისა და ბეწვისგან შექმნილი კოსტიუმები კიდევ მეტად უსვამს ხაზს. თუმცა, "ნაბადი" არც უბრალოდ თეატრია და არც მხოლოდ ფოლკლორი, ეს ფოლკლორული თეატრალური სივრცეა, სადაც დასაშვები და სადღაც აუცილებელიცაა "მკაცრი" ტრადიციების დეფორმაცია.

სცენის უკანა მოძრავი კედელი და მასზე განათების საშუალებით ამოძრავებული სილუეტები, ერთი მხრივ, გარკვეულ ეფექტს ახდენს პატარა სცენაზე, მეორე მხრივ, პირობითი სიუჟეტის, რეჟისორული გადაწყვეტის დინამიკურ მსვლელობას უწყობს ხელს. ხოლო კოსტიუმებზე ტრადიციული სამოსის ელემენტები ოდნავ დეკორატიულ აქსესუარებად ქცეულა.

"ნაბადში" ნაჩვენები სპექტაკლი მართალია აშკარად უცხოელი მეყურებლისთვისაა შექმნილი, თუმცა ხაზგასმულად ეგზოტიკური სანახაობა არაა (როგორც სხვა მრავალი თანამედროვე დადგმა), ეს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სანახაობაა, რომელიც ქართველების შესახებ ლეგენდის ხასიათს ატარებს და სადაც მითიურ სიუჟეტებს ტრადიციები, მათ კი ძველი თბილისის უჩვეულო რომანტიკა ენაცვლება. ეს ყოველივე კი მაყურებლის თვალწინ ვითარდება, რომელიც პარალელურად ჩურჩხელასა და წითელ ღვინოს მიირთმევს.

სპექტაკლები იქამდე გაგრძელდება, სანამ მასზე იქნება მოთხოვნა. სამომავლოდ თეატრი ანი ბაბილაშვილის ეროვნულ მოტივებზე შექმნილი მოდელების ჩვენებას გეგმავს, რასაც ნინო ტურაბელიძე საკუთარი ქორეოგრაფიული დადგმებით აამოძრავებს. სასურველია, ახალბედა თეატრმა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ქართველი ახალგაზრდები და თეატრალები, ის, ვინც არის ძირითადად დამოუკიდებელი თეატრების მაყურებელი, მათთვის კარგად ნაცნობ ქართულ ხალხურ ცეკვა-სიმღერაზე აგებული სპექტაკლის სანახავად ძვირადღირებული ბილეთის შეძენისაგან თავს შეიკავებს, ხოლო თბილისში მაცხოვრებელი უცხოელი, თუნდაც ტურისტი ვერ იქნება თეატრის მომავალი წარმატებული და ხანგრძლივი არსებობის გარანტი.

მაიკლ მური, ოლიმპია, ჯორჯ ბუში და სხვები

მაიკლ მური ახალი წინადადებით შემოდის. ის და ფილმის "ფარენჰეიტი 9/11"-ის დისტრიბუტორები აპირებენ, წინასაარჩევნო ღამეს ბუშის წინააღმდეგ მიმართული და კანის "ოქროს პალმით" აღნიშნული დოკუმენტური ფილმი გაუშვან ეთერში. ჩანაფიქრის ასრულების შემთხვევაში, "ფარენჰეიტ 9/11"-ს ე.წ. "გადაიხადე და ნახეს" სქემით დაატრიალებენ ტელეარხზე.

ეს იქნება სამსაათიანი ტელეტრანსლაცია, სათაურით "სპეციალურად მაიკლ მურისგან წინასაარჩევნოდ". დაიწყება პირველი ნოემბრის საღამოს 8 საათზე და 11-მდე გასტანს. ფილმის ჩვენებაზე იზრუნებს ე.წ. "ფეი-თივი"-ს (ფასიანი ტელევიზიის) ფირმა "iN დიმანდ ნეთუორქსი". მაყურებელს კი ფილმის სანახავად 9.95 დოლარის გადახდა მოუწევს.

"ჯერჯერობით ხელშეკრულება არ გაფორმებულა, მაგრამ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ვნახოთ, რა იქნება", - აცხადებს მაიკლ მურის ინკოგნიტო წარმომადგენელი. სხვადასხვა საინფორმაციო საგენტოს ცნობით კი, ფილმის გარდა, იმავე ღამეს ეთერში გავა ბლიც-ინტერვიუები პოლიტიკურად აქტიურ და, სავარაუდოდ, ბუშის წინააღმდეგ განწყობილ ვარსკვლავებთან.

მაიკლ მურის ამ ინიციატივის შესახებ პრესაში ინფორმაცია მას შემდეგ გაჩნდა, რაც "ფარენჰეიტი 9/11" "სონიმ" ციფრულ ვიდეოდისკზე გამოუშვა (DVD). პირველივე დღეს 2 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა, ამ მაჩვენებლით კი "სონი" ნამდვილად კმაყოფილი ჩანს.

თავისი ფილმის ტელეეთერში დატრიალება კი მურმა, ალბათ, მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც "ოსკარის" საკონკურსო ფილმებში ის ვერაფრით ჩართო. ცხადია, "ფარენჰეიტი 9/11"-ის "ოსკარზე" გატანაც მურს მხოლოდ ბუშის გამო სურდა.

რაც შეეხება ბუშს, მას ხელოვანთაგან ღიად და აგრესიულად არა მხოლოდ მაიკლ მური უტევს. ასეთია ქეითი დიდრიკსენიც. მხატვარი, რომელიც ჯორჯ ბუშისთვის პოზას ედუარდ მანეს "ოლიმპიას" დაესესხა - აშშ-ს პრეზიდენტი ოლიმპიასავით გააშიშვლა, ტახტზე წამოაწვინა და შემდეგ ეს ქმნილება ვაშინგტონის ქალაქის მუზეუმში გამოფინა. ტილოს დიდრიკსენმა "კაცი გამრთობი. მეფე ჯორჯი" უწოდა. თუმცა, მის იუმორს ვერ გაუგეს და მუზეუმის დირექცია იძულებული გახდა, ტილო საგამოფენო დარბაზიდან დაუყოვნებლივ გაეტანათ.

დიდრიკსენის მსგავსად, თავის დროზე ედუარდ მანემაც დაშოკა პარიზი, როცა 1863 წელს დ`ორსეს მუზეუმში თავისი "ოლიმპია" გამოფინა. მისი ტილოს ახალ ვერსიაში ოლიმპიას გვერდით მდგარ შავკანიან მსახურს კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი კაცი ცვლის, იგივე ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი.

ეს ტილო, რომელიც ბევრმა შეურაცხმყოფელად მიიჩნია, მუზეუმში გამოფენის "სასაცილო და უცნაური ავეჯი" ფარგლებში წარმოადგინეს. გამოფენა ოფიციალურად წინა კვირას უნდა გახსნილიყო, მაგრამ დიდრიკსენის ტილო რამდენიმე სხვა მხატვრის ნამუშევართან ერთად შოუდან მოხსნეს - "შეუსაბამო შინაარსის" გამო. არადა, სანამ შიშველ ბუშს დარბაზიდან გაიტანდნენ, მისი ნახვა კვირას - გამოფენის არაოფიციალურ გახსნაზე ამერიკელებმა მაინც შეძლეს.

მუზეუმის წარმომადგენელი გადაწყვეტილებას ასე ხსნის: "ჩვენი დაწესებულება ხელოვნების მუზეუმი არ გახლავთ, აქ, ძირითადად, მასწავლებლებს მოჰყავთ ბავშვები, რათა მათ ისტორიის შესახებ უამბონ". მართლაც, ვაშინგტონის ქალაქის მუზეუმს ისტორიული მომენტი მართავს და იქ წარმოდგენილი ექსპონატებიც, ძირითადად, ქვეყნის ისტორიას ასახავს. ამიტომ, გამოფენის ორგანიზატორები აპირებენ, თავიანთი სკანდალური ექსპონატებისთვის ახალი საგამოფენო დარბაზი იპოვონ - ისტორიული გარემოსგან უფრო თავისუფალი.

ფეხბურთი

ხიზანიშვილი მომჯობინდა, კვირკველია კი თბილისში დარჩება

ჟირესის ბოლოსწინა პრესკონფერენცია უკრაინაში გამგზავრებამდე

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები თბილისი-ლვოვის ჩარტერული რეისით უკრაინაში გაემგზავრება, სადაც ადგილობრივ ეროვნულ გუნდთან 13 ოქტომბერს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშს გამართავს. გუშინ ჟირესმა ამ მატჩისადმი მიძღვნილი ბოლოსწინა პრესკონფერენცია გამართა სასტუმრო "ბატესტაში".

ჟირესს გამგზავრებამდე კიდევ ერთი სერიოზული საკადრო პრობლემა შეექმნა: გუნდთან ერთად უკრაინაში ვერ გაემგზავრება დავით კვირკველია, რომელსაც ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი.

"გუშინ ნაკრებს შეუერთდნენ მჟავანაძე და ლომაია. ახლა ჩემს განკარგულებაშია 21 ფეხბურთელი, თუმცა, ლვოვში მხოლოდ 20-ს წავიყვანთ. კვირკველიას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა - ფეხის კუნთი დაეჭიმა და თბილისში დარჩება. ექიმების პასუხს, თუ როდის შეძლებს ვარჯიშს, მოგვიანებით გავიგებთ. ახლა მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ კვირკველია უკრაინასთან მატჩს ვერ ითამაშებს", - ამ ინფორმაციით დაიწყო ჟირესმა პრესკონფერენცია.

9 ოქტომბერს კიევში უკრაინის ნაკრებმა შესარჩევი მატჩი გამართა საბერძნეთის წინააღმდეგ, რომელიც ფრედ - 1:1 დასრულდა. ჟირესმა ამ მატჩის მხოლოდ ნახევარი ნახა.

"მხოლოდ პირველ ტაიმს ვუყურე, რადგან ელექტროენერგია გაგვეთიშა. მთლიან მატჩს მოგვიანებით ვნახავ, როდესაც ვიდეოჩანაწერს მოგვაწვდიან. პირველი შთაბეჭდილება ასეთი დამრჩა: უკრაინამ მკვეთრად გამოხატული შემტევი ტაქტიკა აირჩია. ბლოხინმა გუნდი 4-3-3 სისტემით ათამაშა. 90 წუთის განმავლობაში საშინლად წვიმდა, რამაც მატჩს თავისი დაღი დაასვა. ვაჟკაცური თამაში იყო - გუნდებმა ერთმანეთს დაუპირისპირეს ფიზიკური, ათლეტური თამაში და არა ტექნიკური. შესაძლოა, ამ გარემოებამ ჩვენს სასარგებლოდაც იმუშაოს, რადგან უკრაინელმა ფეხბურთელებმა ბერძნებთან მატჩს დიდი ფიზიკური ძალა შეალიეს და არ არის გამორიცხული, ჩვენთან თამაშისას მათ დაღლილობა შეეტყოთ. მეორე მხრივ, საშინაო მატჩში დაკარგული ორი ქულა მათ დამატებით სტიმულს აძლევს, რომ საქართველოს ნაკრებთან მხოლოდ სამ ქულაზე იფიქრონ", - ასე შეაფასა ჟირესმა უკრაინასთან მატჩისწინა მდგომარეობა.

ჟირესს საკადრო პრობლემები აქვს.

უკვე აღვნიშნე, რომ კვირკველიას ტრავმამ მთავარ მწვრთნელს დამატებითი თავსატეხი გაუჩინა, თუმცა, ამ თვალსაზრისით სასიამოვნო ამბავიც შევიტყვეთ - ხიზანიშვილი სრული დატვირთვით შეუდგა ვარჯიშს. როგორც ჩანს, მისი ტრავმა იმდენად სერიოზული არ არის, რომ უკრაინაში ვერ ითამაშოს.

"გუშინ ხიზანიშვილმა გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა. ტრავმას თავი არ შეუხსენებია. იმის თქმა, რომ 13 ოქტომბრისთვის ის ასი პროცენტით მზად იქნება, ჯერ ადრეა, თუმცა, ამის შანსი არსებობს და მე მისი დიდი იმედი მაქვს", - აღნიშნა ნაკრების თავკაცმა.

უკრაინელთა მთავარი დამრტყმელი ძალა, მოგეხსენებათ, ანდრეი შევჩენკოა. გავრცელდა ხმები, რომ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასა და "მილანს" შორის არსებული შეთანხმების მიხედვით, შევჩენკოს საქართველოს ნაკრებთან მატჩში მხოლოდ ერთ ტაიმს, ან საერთოდ არ ათამაშებენ.

"მე ასეთი ინფორმაცია არა მაქვს და მას ვერც დავადასტურებ, ვერც უარვყოფ. თუ ასე მოხდა, ძნელი სათქმელია, ეს კარგი იქნება ჩვენთვის თუ ცუდი. შესაძლოა, შევჩენკოს შემცვლელმა უფრო მეტი ზიანი მოგვაყენოს. მაგრამ, უმჯობესია, არ ვიმარჩიელოთ. რაც შეეხება იმას, შევჩენკოს წინააღმდეგ როგორი ტაქტიკით ვაპირებ თამაშს, შემიძლია ვთქვა, რომ მას პერსონალურ მეურვეს ნამდვილად არ მივუჩენთ. ეს მეურვე რომ მოატყუოს, ვიღაცამ ხომ უნდა დააზღვიოს იგი? ამიტომ უკრაინასთან მატჩში ზონურ დაცვას მივმართავ", - ასე აპირებს უკრაინელთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელის წინააღმდეგ თამაშს ჟირესი.

თურქეთში მოპოვებული ქულისთვის ფედერაციამ ნაკრების ფეხბურთელებს უკვე დაურიგა პრემიები და ახლო მომავალში ალბანეთის დამარცხებისთვის განსაზღვრულ პრემიებსაც დაარიგებს. თუმცა, ჟირესს ეს არ მიაჩნია მთავარ სტიმულად.

"ფეხბურთელებმა პრემიები უკვე მიიღეს, თუმცა, დღეს უკრაინასთან მატჩის მატერიალურ მხარეზე ნაკრებში არავინ ფიქრობს. გუნდში ნორმალური ატმოსფეროა, ნაკრები ერთ მუშტად არის შეკრული და ყველა მხოლოდ დადებით შედეგზე ფიქრობს", - ასე აფასებს გუნდში არსებულ ფსიქოლოგიურ კლიმატს მთავარი მწვრთნელი.

დღეს ნაკრები ბოლო ვარჯიშს გამართავს, დღის 4 საათზე კი უკრაინაში გაემგზავრება. ლვოვში ჩვენი გუნდი სასტუმრო "გრანდ ოტელში" დაბინავდება, ხვალ საღამოს დაისვენებს, ზეგ კი თამაშისწინა ვარჯიშს ჩაატარებს. ლვოვიდან უკრაინა-საქართველოს მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ტელეკომპანია "რუსთავი 2" შემოგთავაზებთ.

ახალი სახე რუსულ ფეხბურთში

ჰაატა თოთაძე

რაც დრო გადის, რუსული კლუბების ბიუჯეტი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. შესაბამისად იზრდება კლუბების, ჩემპიონატის დონე და ინტერესი რუსული ფეხბურთის მიმართ. უკვე სამმა რუსულმა კლუბმა მოასწრო ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა, თუ ფულის ჩადება რუსულ ფეხბურთში ასეთივე ტემპით გაგრძელდა, უახლოეს მომავალში ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

არცთუ დიდი ხნის წინ რუსულ საინფორმაციო წყაროებში გაჟონა ინფორმაციამ, თითქოს ფინანსურ კრიზისში მყოფი მოსკოვის "დინამოს" ყიდვას გავლენიანი რუსი ბიზნესმენი აპირებდა. მაშინ ამ ბიზნესმენის ვინაობა არ გაცხადებულა, თუმცა, სულ მალე ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ "დინამო" ალექსეი ფედორიჩევმა იყიდა, უფრო სწორად, საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა. მისი სახელი საფეხბურთო სამყაროში საკმაოდ ცნობილია - ის "მონაკოს" სპონსორია. ამის გამო მას "მეორე აბრამოვიჩადაც" კი მოიხსენიებენ. რას წარმოადგენს "ფედკომ-ინვესტის" მფლობელი და რამდენის ჩადებას აპირებს მოსკოვის "დინამოში"?

როგორც გაირკვა, მას "დინამოს" შეძენა ადრეც უნდოდა, თუმცა, მაშინ მხარეთა შორის მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. "ეს მანამდე მოხდა, სანამ "მონაკოსთან" დავიწყებდი მოლაპარაკებას. მაშინ შეთანხმება ვერ მოხერხდა. დასკვნების გამოსატანად და გადაწყვეტილების მისაღებად დრო იყო საჭირო", - აღნიშნა ფედორიჩევმა. მოქმედება კლუბის ახალმა მფლობელმა ყიდვისთანავე დაიწყო. უკვე დაწყებულია მცირე არენის რეკონსტრუქცია, მომავალი წლიდან კი "დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციაც დაიწყება.

175 მილიონი დოლარი - სწორედ ამდენის ჩადებას აპირებს ფედორიჩევი უახლოესი ორი წლის განმავლობაში კლუბში, მერე კი... "ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს თანხა საკმარისი იქნება. 150 მილიონი ინფრასტრუქტურის შექმნას მოხმარდება, დანარჩენი კი - შემადგენლობის გაძლიერებას", - აღნიშნა ფედორიჩევმა. კიდევ ერთი სიახლე "დინამოსთვის" ისაა, რომ მთავარ მწვრთნელად მიწვეულია ოლეგ რომანცევი, მოსკოვის "სპარტაკისა" და რუსეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი. ბევრი ეჭვის თვალით უყურებს ფედორიჩევის ამგვარ ინიციატივას. მათი აზრით, რომანცევი არაა ის მწვრთნელი, რომელსაც შეუძლია დღეს რუსეთის ჩემპიონატის აუტსაიდერი ერთ-ერთ ლიდერად აქციოს.

სხვათა შორის, ფედორიჩევს თავის დროზე უთამაშია "დინამოში", ამიტომაც ამ კლუბთან მშობლიური გრძნობები აკავშირებს. "ამიტომ გადავწყვიტე კლუბის ყიდვა. ჩემთვის ეს ბიზნეს-პროექტი არაა. ფულის შოვნის არაერთი სხვა შესაძლებლობა მაქვს. კმაყოფილი ვიქნები, თუ ოთხი-ხუთი წლის შემდეგ გუნდი სანახევროდ მაინც შეინახავს თავს", - განაცხადა მან.

სპეციალისტებს აეჭვებთ აგრეთვე, ეყოფა თუ არა "დინამოს" 25 მილიონი ფეხბურთელების შესაძენად. "მონაკო" დაახლოებით 30 მილიონს ხარჯავს ფეხბურთელებში. ვფიქრობ, "დინამოსთვის" 25 მილიონი საკმარისია", - ასეთია ფედორიჩევის პასუხი. არც ის აღელვებს, რომ ცსკა-სა და "სპარტაკში" ფეხბურთელების შესაძენად გაცილებით მეტი იხარჯება: "განა ისინი ამართლებენ კაპიტალდაბანდებას? 15 მილიონად დღეს გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელის ყიდვა შეიძლება, ვიდრე ამას რუსული კლუბები აკეთებენ. ჩვენ ასე ცხოვრებას არ ვაპირებთ და მალე ყველა დაინახავს, რომ არ ვცდებით".

რა შეიძლება მოხდეს, თუ "დინამო" და "მონაკო" ერთმანეთს დაუპირისპირდებიან? იქნება თუ არა ეს ინტერესთა კონფლიქტი? "არავითარი კონფლიქტი არ იქნება. მე ვარ "დინამოს" მფლობელი, "მონაკოსი" კი მხოლოდ და მხოლოდ სპონსორი. ეს დაშვებულია, ასე რომ, კონფლიქტი მოსალოდნელი არ არის", - ფიქრობს ფედორიჩევი.

რაც შეეხება მომავალ გეგმებს, მისი თქმით, მთავარია, შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა და შედეგიც მოვა. "ჩემი მთავარი ამოცანაა, შევქმნა ბავშვთა კლუბები ანუ ფული დავახარჯო მომავალ თაობას და არა ვარსკვლავებს, თუმცა, გულშემატკივრებს ახლავე სურთ შედეგის მიღწევა და კარგი გუნდის ხილვა. ბუნებრივია, არც უმაგისობაა და შევეცდებით, მომავალ წელს ლიდერებში გავერიოთ, თუმცა, ვიმეორებ, ძირითადი თანხა ბავშვთა სკოლებს მოხმარდება", - განაცხადა ფედორიჩევმა.

ზინედინ ზიდანი: "მე "კარგი ზიდანი" უნდა დავაბრუნო"

"დეპორტივოს" წინააღმდეგ უკანასკნელ მატჩში ზინედინ ზიდანმა თავისი მე-100 მატჩი ჩაატარა ესპანეთის ჩემპიონატში. ეს პატარა იუბილე არცთუ ისე იღბლიანი აღმოჩნდა - "რეალი" ისევ დამარცხდა...
ახლა, როდესაც საფეხბურთო ევროპა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებზეა გადართული და ეროვნულ ჩემპიონატებში შესვენებაა გამოცხადებული, ზიდანმა გამონახა დრო, რათა სამეფო კლუბში გატარებული წლები გაეხსენებინა.

- მადრიდის "რეალში" გატარებული 100 მატჩი. კარგად ჟღერს, არა?

- უკვე ასი მატჩი ჩავატარე, მადრიდში სამი წელი დავყავი... ამ დრომ ისე სწრაფად გაიარა... როდესაც მადრიდის "რეალში" მოვდიოდი, ასეთი ხანგრძლივ პერიოდზე არაფერი დამიგეგმავს. მაგრამ ახლა ვხვდები, რა სწრაფად გადის დრო. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ აქ თავს ძალიან კარგად და კომფორტულად ვგრძნობ, რომ აქ ძალიან მომწონს.

- მადრიდის "რეალში" შენს კარიერას რომ გადახედო, რას გამოყოფდი?

- ვერ ვიტყვი, რომ ბოლო მატჩებში საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ. მოდი, ასე ვთქვათ: ნორმალურად ვითამაშე. მაგრამ ამ გადასახედიდან მე პირველი ორი სეზონის ზიდანი მომწონს. ეს გასაგებიცაა, რადგან იმ წლებში ჩვენ ბევრი ტიტული მოვიგეთ. მინდა, რომ ის წარმატებები გავიმეოროთ. სწორედ ამიტომ ვარ აქ.

- საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხარ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ, უამრავი ადამიანის აზრით, მადრიდის "რეალში" ჩვენ ყველა დროის საუკეთესო ზიდანი ვიხილეთ.

- არ ვიცი, მართალია თუ არა ეს... ფეხბურთელმა ყველაზე კარგად თვითონ იცის, თუ როდის თამაშობს კარგად და როდის ცუდად. ვფიქრობ, ჩვენ კარგი ზიდანიც ვნახეთ და არც ისე კარგიც. ცოტ-ცოტა ყველაფერი იყო. მე ახლა "კარგი ზიდანი" უნდა დავაბრუნო.

- "რეალში" გატარებული წლებიდან რომელი ეპიზოდები გახსენდება ყველაზე კარგად?

- ყველაზე კარგად ის ტიტულები მახსენდება, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ. ლა ლიგა, ჩემპიონთა ლიგა და სუპერ-თასი. ნებისმიერ ტურნირში მონაწილეობისას ყველაზე მთავარი ტიტულის მოგებაა და მაშინ ჩვენ ამას ვაკეთებდით. ყველა ამ ეპიზოდს მეხსიერებაში ვინახავ და მათ ვერასოდეს დავივიწყებ. გამარჯვება დღესაც უმნიშვნელოვანესია.

- სწორედ ამიტომ მოხდა, რომ შენი ულამაზესი გოლი "ლევერკუზენის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში გაიტანე?

- ცხადია, ჩემპიონთა ლიგაში გატანილი ეს გოლი ჩემთვის საუკეთესო იქნება, რადგან ის მეტად მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ მე სხვა გოლებიც გამიტანია, რომლებიც ძალიან მომწონს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. მახსენდება "რასინგის", "დეპორტივოს", "ალავესის" წინააღმდეგ გატანილი გოლები... ისინი ჩვენს სტადიონზე გავიტანე. თუმცა, გასაგებია, რომ გლაზგოში გატანილი ის გოლი საუკეთესო იყო, რადგან ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ჩემი დიდი ოცნება გახლდათ. "იუვენტუსთან" ერთად მე ორჯერ დავმარცხდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში, მადრიდის "რეალში" კი გადასვლისთანავე მოვიპოვე ჩემპიონთა თასი.

- რომელი ეპიზოდი იყო შენთვის ყველაზე უიღბლო?

- ვფიქრობ, უკანასკნელი სეზონის ფინალური ეტაპი. ჩვენ რამდენიმე შესანიშნავი თვე გვქონდა, შემდეგ კი ყველაფერი წავაგეთ. ეს ძალიან მძიმე იყო. როდესაც ასეთი რამ ხდება, ფეხბურთელი ძალიან ღელავს და იტანჯება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენც ადამიანები ვართ.

- როგორ შეაფასებ მიმდინარე სეზონს, რა აკლია გუნდს იმისთვის, რომ წინა სეზონში დაწყებული კრიზისიდან გამოვიდეს?

- ერთადერთი, რაც ჩვენ გვაკლია, ზედიზედ ორი ან სამი მოგებაა. ეს ჩვენ თავდაჯერებულობას შეგვმატებდა. უნდა ვითამაშოთ ერთი-ორი ისეთი მატჩი, როგორიც "რომას" წინაამდეგ ჩავატარეთ. ბევრი არაფერი გვინდა.

- შექმნილი ვითარების გამო ნერვიულობა მიზანშეწონილია?

- სრულიად კანონზომიერია, რომ გულშემატკივრები ცოტას ნერვიულობენ, რადგან ჩვენ ვერ ვიმარჯვებთ, ხოლო ჩვენი გუნდი მიჩვეულია გამარჯვებას. მაგრამ ნერვიულობა საჭირო არ არის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საუბარი დაიწყეს რაღაც ციკლის დასასრულის შესახებ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს უსამართლობაა. ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, პატივისცემას იმსახურებს. მე უკვე 32 წლის ვარ, მაგრამ ასაკი არაფერ შუაშია. ჩვენ გვინდა, რომ ისევ გავიმარჯვოთ და ამას გავაკეთებთ კიდეც.

- "ბეტისი" და "ვალენსია" თქვენი მომდევნო მეტოქეები არიან ესპანეთის ჩემპიონატში. ისინი ხელსაყრელი გუნდები არიან იმისთვის, რომ დაკარგული პოზიციები აღიდგინოთ?

- დიახ, ეს ორი რთული მატჩი იქნება და, შესაბამისად, კარგი შანსიც გვექნება იმისთვის, რომ ვთქვათ: "ჩვენ დავბრუნდით". თუ ორ გამარჯვებას მივაღწევთ, მდგომარეობის გამოსწორებას შევძლებთ. თუმცა, ყველაფრის გასაღები სიმშვიდე და მოთმინებაა. ჩვენ ერთად უნდა გამოვძვრეთ შექმნილი ვითარებიდან, რომელიც არც ისე კრიტიკულია, როგორც ამბობენ, მაგრამ, ცხადია, სასიამოვნო ნამდვილად არ არის.

- დაბოლოს, რას ისურვებდი სამომავლოდ?

- ერთადერთი, რასაც ვითხოვ, ის არის, რომ ჩვენ კვლავ ისეთები გავხდეთ, როგორებიც ადრე ვიყავით, გავხდეთ ის გუნდი, რომელიც კარგად თამაშობს, იმარჯვებს და ლამაზ სანახაობას დგამს. ამაზე ჩვენი თითოეული გულშემატკივარი ოცნებობს და ჩვენც ვალდებული ვართ, მათ ეს ნატვრა ავუსრულოთ.

ფეხბურთი

ჯონათან ძებინა: „მალე საფრანგეთის ნაკრები ძალიან ძლიერი იქნება„

სანდრო ნავერიანი

როგორც იქნა, ტურინის "იუვენტუსის" მცველი ჯონათან ძებინა თავის შესაძლებლობებს ნაკრების დონეზეც გამოცდის. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ძებინა საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს. გუშინწინდელ მატჩში ირლანდიის ეროვნულ გუნდთან ჯონათან ძებინას არ უთამაშია, თუმცა, იმედი აქვს, რომ კვიპროსის ნაკრებთან ძირითად შემადგენლობაში მოხვდება. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრებია. 1998 წელს ჯონათან ძებინა საფრანგეთის მეორე დივიზიონში ჩამოქვეითებული "კანიდან" იტალიურ "კალიარიში" გადავიდა. იქ ორი წელი ითამაშა, შემდეგ კი ოთხი წელი "რომაში" გაატარა. წლეულს ფაბიო კაპელომ ძებინა თავისთან, "იუვენტუსში" გადაიყვანა. ის უკვე "იუვეს" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. მან მარჯვენა ფლანგის დაცვაში დაიკავა ადგილი. გთავაზობთ ინტერვიუს ფრანგ მცველთან.

ჯონათან ძებინას იმედი აქვს, რომ საფრანგეთის ეროვნული ნაკრები, მალე, ძალიან ძლიერი იქნება.

- როგორ გრძნობთ თავს ნაკრების ბაზაზე, კლერფონტენში?

- მას შემდეგ, რაც ნაკრებში გამომიძახეს, აფორიაქებული ვარ, ბევრს ვნერვიულობ. 2001 წელსაც ვიყავი ნაკრებში, თუმცა, მაშინ სათადარიგოთა სკამზე მიწევდა ჯდომა. ახლა მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ადგილი შევინარჩუნო ძირითად შემადგენლობაში.

- როგორ ფიქრობ, "იუვენტუსში" გადასვლამ რაიმე გავლენა იქონია ნაკრებში შენს მიწვევაზე?

- რასაკვირველია. ტურინული კლუბი მსოფლიო გრანდთა ხუთეულში შედის. არც "რომაა" გრანდების სიის მიღმა, მაგრამ "იუვენტუსში" მოთამაშე ფეხბურთელები უფრო დიდ ყურადღებას იქცევენ, ვიდრე "რომაში" მოთამაშეები. სწორედ მას შემდეგ მიმიწვიეს ნაკრებში, რაც "იუვეში" გადავედი. "იუვენტუსში" გაცილებით მეტს ვთამაშობ, ვიდრე "რომაში". მე აღიარება მოვიპოვე საფრანგეთში, რაშიც ძალიან დამეხმარა ფაბიო კაპელო.

- კმაყოფილი ხარ თუ არა იმით, რომ ისეთ გუნდში მოხვდი, სადაც მწვრთნელი ახალი ფეხბურთელების ძიებაშია, თუ გერჩია, მაშინ მისულიყავი ნაკრებში, როცა გუნდი სტაბილური იყო?

- ვფიქრობ, სწორედ იმ დროს მოვხვდი ნაკრებში, როცა ეს საჭირო იყო. დღეს საფრანგეთის ნაკრებში ბევრი ვაკანტური ადგილია. ყველას აქვს შანსი, ამ პოზიციებზე თავი გამოიჩინოს. ზინედინ ზიდანთან, ლილიან ტურამთან, მარსელ დესაისთან თამაში, რა თქმა უნდა, დიდი პატივია, მაგრამ რაც არის, იმით კმაყოფილი უნდა იყო.

- რატომ გადაინაცვლე დაცვის ცენტრიდან მარჯვენა ფლანგზე?

- გასულ სეზონში ფაბიო კაპელომ მარჯვენა ფრთაზე გამომცადა. ის მატჩი ძალიან კარგად ჩავატარე და მას შემდეგ პოზიცია არ შემიცვლია. "იუვენტუსში" გადასვლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა. ვფიქრობ, ფლანგზე უფრო სასარგებლოდ ვთამაშობ, ვიდრე ცენტრში. მე მიყვარს შეტევებში ჩართვა, აქედან გამომდინარე, ფლანგზე უფრო მეტი სივრცე მაქვს. უკეთესი ტექნიკა რომ მქონდეს, ნახევარდაცვაშიც კარგად ვითამაშებდი, თუმცა, სადაც ვთამაშობ, ისიც მაკმაყოფილებს.

- ლილიან ტურამი წლების განმავლობაში საფრანგეთის ნაკრების მარჯვენა მცველი იყო. ახლა ის "იუვენტუსში", შენთან ერთად ამაგრებს გუნდის დაცვას. მიგიმართავს თუ არა მისთვის რაიმე რჩევის მოცემის მიზნით?

- არა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ დროც არ მქონია მასთან სალაპარაკოდ. რა ხანია, ლილიან ტურამი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. ყოველ ვარჯიშზე ვცდილობ, მისგან რაიმე ვისწავლო. ის, მართლაც, სიმბოლური ფიგურაა ფრანგული ფეხბურთისთვის. უზომოდ ამაყი ვიქნები, თუ დროთა განმავლობაში მისი შეცვლა მომიწევს.

- საფრანგეთის ნაკრებმა უკვე მეორე მატჩი ვერ მოიგო, თუმცა, მეტოქე არცთუ ძლიერი იყო. როგორ ფიქრობთ, რა არის იმის მიზეზი, რომ სამფეროვნებს მოგება უჭირთ?

- აქ საგანგაშო არაფერია. გუნდს ახალი მწვრთნელი და ახალი ფეხბურთელები ჰყავს. ყველაფერი ასე ადვილად არ ხდება. ფეხბურთელები უნდა შეთამაშდნენ ერთმანეთთან. ამას დაუმატეთ ისიც, რომ გუნდი დატოვა ბევრმა ფეხბურთელმა, რომლებიც გუნდში ამინდს ქმნიდნენ. დამიჯერეთ, ძალიან ძნელია გადახალისებული გუნდის ერთ და ორ მატჩში ფეხზე დაყენება. აბა, გაიხსენეთ, ემე ჟაკე რამდენ ხანს აკომპლექტებდა გუნდს? ყოველ თამაშში ახალ-ახალი ფეხბურთელები გამოჰყავდა მოედანზე და სულ რაღაც ექსპერიმენტებს მიმართავდა. შედეგად, ჩამოაყალიბა გუნდი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ხოლო ორი წლის შემდეგ იგივე შემადგენლობამ, ოღონდ როჟე ლემერის ხელში, ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

- ესე იგი, შენ ამბობ, რომ საფრანგეთის ნაკრები ექსპერიმენტების მსხვერპლია?

- არა, არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, ყველა გუნდში საჭიროა, გამოსცადო ყველა ის სტრატეგია, რომელსაც შეუძლია, გუნდი სტაბილურობამდე მიიყვანოს. ჯერჯერობით ყველაფერი ისე არ არის, როგორც გვინდა, მაგრამ გარწმუნებთ, ძალიან მალე საფრანგეთის ეროვნული ნაკრები ისევ ისეთი ძლიერი იქნება, როგორც ორი წლის წინ იყო.

ინგლისის ნაკრებს ახალი კაპიტანი ჰყავს

ნინო ტიკარაძე

ტრავმის გამო ოთხშაბათს დევიდ ბექჰემი გამოტოვებს ბაქოში გამართულ ინგლის-აზერბაიჯანის მატჩს. ინგლისის ნაკრების კაპიტანი მაიკლ ოუენი იქნება.

უელსის წინააღმდეგ მატჩის დროს ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა სერიოზული ტრავმა მიიღო - ნეკნი გაუტყდა. ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლის განცხადებით, "რენტგენის თავდაპირველმა სურათმა არ აჩვენა, რომ ტრავმა სერიოზული იყო, თუმცა, მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს ნეკნი ჰქონდა გატეხილი". როგორც ამბობენ, ბექჰემმა, შესაძლოა, ექვსი თვე ველარ ითამაშოს.

ამ ფაქტმა, ბუნებრივია, ინგლისის ნაკრების მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი შეაშფოთა, თუმცა, იმედი აქვთ, რომ მათი კერპი მალე დაუბრუნდება ჩვეულ ფორმას და გუნდსაც დიდ წარმატებას მოუტანს საერთაშორისო ასპარეზზე.

ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობამ ოთხშაბათს ბაქოში გასამართ ინგლის-აზერბაიჯანის მატჩზე გუნდის კაპიტნად მაიკლ ოუენი დაამტკიცა.

"უკანასკნელად, როცა გუნდს სათავეში ვედექი, ორი ბურთი გავიტანე მეტოქის კარში. ამიტომ მიმაჩნია, რომ კაპიტნის რანგში ჩემი ყოფნა კარგი ნიშანიცაა. დევიდის ტრავმა სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ მომავალი ბრძოლისთვის მზად ვართ. ინგლისის ნაკრების კაპიტნობა ჩემთვის დიდი პატივია, თუმცა, ძალიან მინდა, დევიდმა არ გამოტოვოს ეს მატჩი, რადგან გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება," - განაცხადა ოუენმა.

ალბათ, გახსოვთ მადრიდის "რეალში" ოუენის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი. ახალ გუნდში ცუდი დებიუტის გამო "ლივერპულის" ყოფილი ფორვარდი ესპანელმა გულშემატკივრებმა აითვალწუნეს, მას ცუდი ფეხბურთელი უწოდეს და ეჭვიც კი შეიტანეს მის საფეხბურთო შესაძლებლობებში. ამ ამბავმა ინგლისის ნაკრების მწვრთნელიც არჩევანის წინაშე დააყენა - მიეცა თუ არა ოუენისთვის უელსის წინააღმდეგ მატჩში თამაშის უფლება, მაგრამ ბოლოს, დიდი ყოყმანის შემდეგ, მოედანზე გაუშვა და არც შემცდარა - "ლივერპულის" ყოფილმა თავდამსხმელმა შეძლო მადრიდში დაკარგული რეპუტაციის აღდგენა. მეტიც, მან დიდი წვლილი შეიტანა ინგლისის ნაკრების წარმატებაში. "ჩემთვის დიდი შვებაა ინგლისში ყოფნა. ეს ჩემთვის სუფთა ჰაერის ჩასუნთქვას ჰგავს," - განაცხადა მაიკლ ოუენმა.

ფორმულა 1

ტაიფუნ 22-მა "სუძუკა" თავდაყირა დააყენა

გიგა გურასაშვილი

ახლა როცა საჯინიბოებმა და მათმა მრბოლებმა საპრიზო ადგილები გაინაწილეს და სამეფო რბოლების ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, "იაპონიის დიდი პრიზი" საინტერესო სანახავი უნდა ყოფილიყო. თუმცა, პარასკევსა და შაბათს განვითარებული მოვლენების გამო ბევრს საეჭვოდ მოეჩვენა, რომ "იაპონიის დიდი პრიზი" უქმეებზე გაიმართებოდა. ფორმულა 1-ის ბოლოსწინა ეტაპის დამმუხრუჭებლად სტიქია იქცა. დასავლეთ სანაპიროდან წამოსულმა სუპერტაიფუნმა მაონ 22-მა იაპონიას 180 კმ/საათის სიჩქარით გადაუარა.

მიხაელმა გამარჯვება ბოლიდზე ახტომით აღნიშნა.

ტროპიკული ტაიფუნის შიშით, პარასკევს, წინასაკვალიფიკაციო სესიისას, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია (ფია) იძულებული გახდა, საგანგებო კრიზისული სხდომა მოეწვია...

მეტეოროლოგთა პროგნოზით, ტაიფუნს შაბათს, ანუ კვალიფიკაციისას, სუძუკას რეგიონისთვის უნდა მიეღწია. მრბოლთა და მაყურებელთა უსაფრთხოებით შეჭირვებული ფია იძულებული გახდა, უკიდურესი ზომები მიეღო - შაბათის კვალიფიკაცია გააუქმა და იგი კვირა დილისთვის გადაიტანა. თუმცა, გამორიცხული არ იყო, რომ კვირის რბოლა საერთოდ გაუქმებულიყო, რადგან სუძუკაზე შტორმის მომძლავრებას სწორედ გუშინ მოელოდნენ.

გაურკვეველი რჩებოდა ისიც, თუ რა განლაგებით უნდა გასულიყვნენ ბოლიდები სტარტზე. პილოტთა ერთგვარი "განთესვის" თაობაზე წინადადებები წვიმის წვეთებივით ცვიოდა. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ეს კენჭისყრით უნდა მომხდარიყო, მეორენი თვლიდნენ, რომ განლაგება ბოლო რბოლის შედეგების მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო. "ბრიჯსტოუნით" აღჭურვილი პილოტები, განსაკუთრებით კი "ჯორდანის" საჯინიბო, იმ პოზიციაზე იდგა, რომ რბოლამდე პარასკევის სესიის შედეგები გაეთვალისწინებინათ. თუმცა, რეგლამენტის თანახმად, რბოლის ჩატარება მანამ არ შეილებოდა, სანამ კვალიფიკაცია არ შედგებოდა. ამიტომ შაბათის კვალიფიკაცია გუშინ დილისთვის გადმოიტანეს.

რაც შეეხება პროგნოზებს, ყოფილი ბრიტანელი მრბოლის მარკ ბლანდელის აზრით, ყველაფრის მიუხედავად, სუძუკაზე "ფერარის" დამარცხება კვლავ ძნელი იქნებოდა. ბრიტანელის აზრით, "იაპონიის დიდ პრიზზე" კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს აუცილებლად დაიკავებდა სკუდერიელთა ერთი-ერთი მრბოლი.

"მაშინაც კი, თუ მიხაელ შუმახერს ცუდი დღე ექნება, წინ რუბენს ბარიკელო გაიჭრება. სწორედ ამაშია "ფერარის" ძალა: თუ ნომერ პირველი რაღაც მიზეზის გამო ჩამორჩება, როგორც ეს ბოლო რბოლისას იყო, მათ ჰყავთ კიდევ ერთი მრბოლი, რომელიც გამარჯვებას შეძლებს. "ფერარის" საჭით გამარჯვება, ალბათ, ათი-თორმეტ მრბოლს შეუძლია. ამის კარგი მტკიცებულებაა ბარიკელო".

და მაინც, ბლანდელმა არ დაივიწყა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი: "იგი თავს დაიძვრენს და კრიტიკოსებს სერიოზულ პასუხს გასცემს. ზოგიერთები ამბობენ, რომ მან მოტივაცია დაკარგა და ამიტომაცაა, რომ სუსტად ასპარეზობსო. მათგან განსხვავებით, მე შუმახერს არ ჩამოვწერდი, მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენიმე წარუმატებელი რბოლა ჰქონდა. ჩემი აზრით, იგი სხვა მრბოლებზე კვლავაც ძლიერია. ყოველ შემთხვევაში, მის საწინააღმდეგოდ არაფერს ჩავალ!"

სხვათა შორის, ბლანდელი ჟაკ ვილნევისგანაც კარგ გამოსვლას ელოდა. არგუმენტად ის მოყავდა, რომ მისი კალიბრის მრბოლს თავისუფლად შეუძლია, ორ-სამ რბოლაში ოდინდელი ფორმა დაიბრუნოს: "ჟაკი სუძუკაზე ბევრად უფრო ძლიერად იასპარეზებს. "ბრაზილიის დიდ პრიზზე" კი უფრო მოუმატებს. სეზონის მიწურულს მისგან იმედგაცრუებას არ უნდა ველოდოთ".

რაც შეეხება რალფ შუმახერს, რომელმაც ინდიანაპოლისში ავარიის შედეგად ხერხემლის ტრავმა მიიღო და "ჩინეთის დიდ პრიზამდე" რბოლებს გამოეთიშა, ბლანდელის აზრით, "იაპონიის დიდ პრიზზე" ისიც კარგად უნდა გამოსულიყო. ამის თქმის საბაბს ბრიტანელს აძლევდა შანხაიში მისი ძლიერად ასპარეზობა.

ბლანდელი საკუთარ პროგნოზში არ შემცდარა. მხოლოდ სინოპტიკოსები შეცდნენ. მათდა გასაკვირად, იაპონიის ბოლო ათწლეულის ყველაზე ძლიერმა ტაიფუნმა ტრაექტორია იცვალა და სუძუკას ნაცვლად ტოკიოს შეუტია, თუმცა, სუძუკაზეც დატოვა კვალი, მაგრამ არა ისეთი, რომ რბოლას საფრთხე დამუქრებოდა. ის კი არა, თანდათან გამოიდარა და მთავარმა რბოლამ მშრალ ტრასაზე ჩაიარა.

მაგრამ ვიდრე მრბოლები და საჯინიბოები სტიქიის შესახებ რამეს შეტყობდნენ, გუშინდელი რბოლის თაობაზე ათასგვარი მოსაზრება ისმოდა. BAR-ის ბრიტანელი პილოტის ჯენსონ ბატონის თქმით, კვალიფიკაციის გადადება სწორი გადაწყვეტილება იყო. ასეთ პირობებში ჩვეულებრივი საგზაო მანქანა უფრო სწრაფი იქნებოდა, ვიდრე ჩვენი, რადგან ბოლიდებს ასეთ დიდ წყალში სასიარულოდ შესაბამისი დიზაინი არა აქვთო.

ერთი სიტყვით, საფიქრალი და სადარდებელი "იაპონიის დიდ პრიზზე" არავის მოჰკლებია. საჯინიბოები ვირტუალურად საზღვრავდნენ, კვირისთვის მანქანები როგორი პირობების შესაბამისად გადაეწყოთ.

"რენოს" ტექნიკურმა დირექტორმა კი: - სწორედ ამაშია ფორმულა 1-ის ხიბლი, რომელიც დროდადრო ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. ყველაფერი ეს სამეფო რბოლებს უფრო საინტერესოს ხდისო.

რაც შეეხება ბლანდელის პროგნოზს, იგი, ფაქტობრივად, გამართლდა. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ერთ-ერთი სკუდერიელი შედგა. ამ შემთხვევაში - მიხაელ შუმახერი, რომლისთვისაც "იაპონიის დიდი პრიზი" სეზონის მე-13 გამარჯვება, ხოლო კარიერაში მეექვსე იაპონური გამარჯვება გამოდგა. 38-ე წრეზე რუბენს ბარიკელოსა და მაკლარენელი დევიდ კულჰარდის შეჯახებამ კი რბოლას ორივე გამოთიშა.

სხვათა შორის, ბრაზილიელმა უსწრაფესი წრე (1:32.730) გააკეთა. რბოლა ვერ დაასრულეს იაგუარელმა მარკ უებერმა (ტექნიკური პრობლემების გამო) და ჟოლტ ბაუმგარტნერმა ("მინარდი"), რომელიც ტრასიდან გადავარდა.

საპატიო კვარცხლბეკამდე გზა გაიკვალა მეორე შუმახერმაც - უილიამსელმა რალფმა. მათ ფეხდაფეხ მიჰყვნენ ბარელები ჯენსონ ბატონი და ტაკუმა სატო.

კანადელმა ჯაკ ვილნევმა კი მისთვის მეორე "დიდი პრიზი" მეათე შედეგით დაასრულა.

"იაპონიის დიდი პრიზი"

სუძუკა. 53 წრე.

ტრასის სიგრძე: 5.807კმ.

1. მიხაელ შუმახერი	1:24:26.985
2. რალფ შუმახერი	+ 14.0
3. ჯენსონ ბატონი	+ 19.6
4. ტაკუმა სატო	+31.7
5. ფერნანდო ალონსო	+ 37.7
6. კიმი რაიკონენი	+ 39.3
7. ხუან-პაბლო მონტოია	+ 55.3
8. ჯანკარლო ფიზიკელა	+ 56.2

მოკლედ

დევენპორტმა მოიგო

ამერიკელმა ლინდსი დევენპორტმა ჩოგბურთიდან წასვლა კი გადაწყვიტა, მაგრამ შესანიშნავ ფორმაშია და ყველა ტურნირზე ფავორიტად მიიჩნევენ. მსოფლიოს მეორე ჩოგანი გერმანიის ქალაქ ფილდერშტადტის ტურნირის ფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ფრანგ ამელი მორესმოს გადაეყარა.

ამერიკელმა მატჩის დებიუტისთანავე მოიგო მეტოქის მოწოდება და ამით პირველ სეტში თავისი უპირატესობა დააფიქსირა. ამ სეტის დასრულებამდე მორესმომ ვერაფრით მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება. მეტიც, მეოთხე გეიმის შემდეგ ამელიმ დაღლილობა იგრძნო. მან ექიმსაც კი მიმართა, რის შემდეგაც შეხვეული ფეხით გამოვიდა კორტზე.

ბუნებრივია, მას არ შეეძლო, პირველ სეტში მეტოქისთვის სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია. სეტი დევენპორტმა - 6:2 მოიგო. ეს კი საერთო გამარჯვებისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რადგან მორესმომ ტრავმის გამო მატჩის გაგრძელებაზე უარი თქვა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ლინდსი დევენპორტმა კარიერის დასასრულს მსოფლიოს პირველი ჩოგანი დაამარცხა. მორესმომ კი ტრავმის გამო, შესაძლოა, კრემლის თასის გათამაშებაც გამოტოვოს.

ლეკო ისევ წინ არის

ყაიმით დასრულდა შვეიცარიის ქალაქ ბრისაგოში მიმდინარე მატჩის მეცხრე პარტია უნგრელ პეტერ ლეკოსა და რუს ვლადიმირ კრამნიკს შორის. ამრიგად, ანგარიშია - 5:4 უნგრელი დიდოსტატის სასარგებლოდ.

ეს მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის გამაერთიანებელი მატჩის ეგიდით იმართება. დაგეგმილია 14 პარტია. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად კრამნიკს ფრეც აწყობს. ლეკოს კი აუცილებლად მოგება სჭირდება. მატჩის გამარჯვებული მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში გარი კასპაროვსა და უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

TV-სპორტი

ორშაბათი. 11 ოქტომბერი

НТВ+ФУТБОЛ

06:00 NBA TV. ისტორია "NEW YORK KNICKS"
06:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1994. პირველი წრე. "GOLDEN STATE WARRIORS " - "PHOENIX SUNS". მე-3 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ვენესუელა - ბრაზილია
14:10 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. სლოვენია - იტალია
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ინგლისი - უელსი
18:00 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. შვედეთი - უნგრეთი
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ფენერბახჩე"
22:10 "ფიფას ასწლეული". მეოთხე ნაწილი
22:40 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "დინამო" (უკრაინა) - "ბაიერი"
00:35 00:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - NBA შიგნიდან
04:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "SEATTLE STORM" - "CONNECTICUT SUN". მე-2 მატჩი

НТВ+СПОРТ

10:00, 13:00, 16:00, 18:45 პრესცენტრი
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "ST. LOUIS RAMS" - "SEATTLE SEAHAWKS"
13:35 აფროსნობა. ამერიკის თასი
14:10 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი - პ. ლეკო
14:40 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი პირამიდაში
16:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იაპონიაში. ფინალი
18:15 აფროსნობა. ამერიკის თასი
19:00 კალათბურთი. WNBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "SEATTLE STORM" - "CONNECTICUT SUN". მეორე მატჩი
21:00 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 "ჰოკეი-პლუს"
21:55 "დიდი რინგი". ა. გატი - ლ. დორინი
23:55 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
00:30 ახალი ამბები
00:45 "ჰოკეი-პლუს"
01:00 "გოლფომანია". პირველი ნაწილი

EUROSPORT

10:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:00 მოტორბოლები. მალაიზიის დიდი პრიზი
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში
13:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
14:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
17:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
18:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
19:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 მულტისპორტი
21:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
23:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:15 ახალი ამბები
01:30 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი ეგვიპტეში
02:00 ავტორბოლა ფორმულა-3. ჰოლანდია
03:00 მოტორბოლები. შეჯიბრება იტალიაში

"რათა შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო ავამაღლოთ"?

ბესო ბელჯანიძის ფოტო

განათლებისა და მეცნიერების მიძინებული სისტემა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმისტულმა ტალღამ შეაჯანჯღარა და საბჭოური ცხოვრების ფილოსოფია მთელი სიცხადით გააცოცხლა, რამაც გამახსენა საბჭოეთის უბადლო მცოდნის - მიხაილ ჟვანეცკის სიტყვები: "- Идут работы по озеленению! - Не для озеленения эти работы!". ჩემთვის სწორედ ამ მენტალობის კონტექსტში იკითხება აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის წერილი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "24 საათის" ფურცლებზე ა.წ. 4 ოქტომბერს.

სტატია ეხება საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმას. აკადემიკოსი თავის სტატიას იწყებს ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების მდგომარეობის შეფასებით და ბრძანებს: "**გასატარებელია ძირეული რეფორმები განათლებისა და მეცნიერების სფეროში, რათა შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო ავამაღლოთ საქართველოში ტრადიციულად არსებული მაღალი აკადემიური დონე.**" ამ ერთი შეხედვით რეფორმისტულ წინადადებაში უფრო დიდი საშიშროება იმალება, ვიდრე უკანასკნელ ხანს ამავე პრობლემატიკაზე პროვინციული დემაგოგიის ოსტატების მიერ გამოთქმულ დრომოჭმულ და ღიმილისმომგვრელ მოსაზრებებში. ფრაზა "**ტრადიციულად არსებული მაღალი აკადემიური დონე**" უკვე ნიშნავს იმას, რომ საქართველოში განათლების და მეცნიერების სფეროში ისე სავალალოდ კი არ არის საქმე, როგორც რეალურმა გამოკვლევებმა დაგვანახა, არამედ საკმარისია მცირე, ზერელე ცვლილებების გატარება. ნიშანდობლივია, რომ, აკადემიკოსის აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა პროფესორ-მასწავლებელთა ასაკობრივი ცენზია. მისი დაწესებისას იგი ამერიკული მოდელის არჩევას გვთავაზობს. ციტატა სტატიიდან: "**ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი სოციალური ვითარების გათვალისწინებით, მეცნიერების და განათლების სფეროში გამოყენებული უნდა იქნეს არა ევროპული (კერძოდ გერმანული) მოდელი ასაკობრივი ცენზით (...), არამედ ამერიკული მოდელი, რომელიც აკადემიურ სფეროში მოღვაწეთათვის არ ითვალისწინებს გარკვეულ ასაკობრივ ცენზს"...** მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ განიმარტა - ასაკობრივი ცენზის შემოღება მხოლოდ თანამდებობრივად ზღუდავს პროფესორ-მასწავლებლებს და უტოვებს მათ სრულ სამეცნიერო და პედაგოგიურ თავისუფლებას, მაინც აქტიურად ხდება ამ საკითხით სპეკულირება. ამერიკის მოდელის შემოთავაზებისას, კარგი იქნებოდა, ავტორს ისიც მოეხსენებინა საზოგადოებისათვის, რომ ამერიკის უნივერსიტეტებში, ჩვენგან განსხვავებით, ისეთი ადმინისტრაციული თანამდებობები, როგორიცაა დეკანი, კათედრის გამგე, რექტორი მართლაც ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობებს წარმოადგენს და ადამიანისგან დიდ ფიზიკურ და ენერგეტიკულ დანახარჯებს მოითხოვს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ამერიკაში მყარად მოქმედებს ასაკობრივი ცენზის დაუწერელი კანონი, რომლითაც საპენსიო ასაკის პროფესორები, როგორც წესი, სიხარულით გადიან პენსიაზე, ტოვებენ ადმინისტრაციულ პოსტებს და გამოთავისუფლებული დროისა და ენერგიის ხარჯზე უფრო ქმედით სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას განაგრძობენ. ჩვენთან კი საქმე იქამდე მივიდა, რომ საკმაოდ ცნობილმა პროფესორებმა განაცხადეს - სანამ ხელფასს არ გაგვიზრდით, რეფორმირების პროცესი არ დაიწყოთო. გასაგებია, რომ საქართველოში მძიმე სოციალური მდგომარეობაა, რაც გაითვალისწინეს კიდეც პროექტის ავტორებმა და ასაკობრივი ცენზის შემოტანის პარალელურად არსებული ხელფასი სრულად შეუნარჩუნეს საპენსიო ასაკის პროფესორ-მასწავლებელებს. მაგრამ უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყანაში ძალიან მავნე პრაქტიკა დაინერგა - სახელმწიფოსგან ყველანი შეღავათებს ველოდებით, ქართული ტრადიციული ტემპითა და ხარისხით ვმუშაობთ და როცა დაგვჭირდება ამერიკულ მოდელებსა და ხელფასებს ვითხოვთ. აკადემიკოსის ზემოთგამოთქმული წინადადებაც სწორედ ამის კლასიკური ნიმუშია.

სტატიის წაკითხვისას ნათელი ხდება, რომ ბატონ თამაზ გამყრელიძისთვის მეცნიერებაში არსებული პრობლემები მეცნიერებათა აკადემიის პრობლემებთან არის გაიგივებული. სწორედ ამიტომ თავის სტატიაში იგი მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის გარდაქმნის პროექტის თეზისებს გვთავაზობს. "**ტრადიციულად არსებული მაღალი აკადემიური დონის**" კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად კი, მისი აზრით, საჭიროა:

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ეწოდოს "ეროვნული აკადემია";

2. ამერიკის "ნაციონალური აკადემიის" და ჯონ ადამსის მიერ დაარსებული "ხელოვნებათა და მეცნიერებათა " აკადემიის ანალოგიით საქართველოს "ეროვნული აკადემიის" კურატორი გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი;

3. მეცნიერული დარგების ინტეგრაციის გამო აკადემიაში დღეისათვის არსებული ცხრა განყოფილება გაერთიანდეს სამ კლასში.

4. პრეზიდენტთან შეიქმნას "განათლების, მეცნიერების და ტექნოლოგიების" მცირე საბჭო - პრეზიდენტის სათათბირო ორგანო.

რა შეიძლება ამაზე ითქვას? ოთხი პუნქტიდან ორი უშუალოდ ეხება საქართველოს პრეზიდენტს. მართლაც დიდი გამოცდილება აქვს ამ ხალხს ქვეყნის პირველ პირებთან ურთიერთობის! ამ წინადადების შემოტანის ნამდვილი მიზანი კი ისაა, რომ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში ყოფნით, მისი დაკავებულობის გამო, მეცნიერებათა აკადემია ისევ არავის არ დაემორჩილება, ისევ არავის წინაშე არ იქნება პასუხისმგებელი და მომავალშიც მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდება, როცა მორიგი აკადემიკოსების არჩევნების დღეები დადგება. ბატონი თამაზისთვის მეცნიერებათა აკადემიის ცხრა განყოფილების შეკვეცა სამ კლასად რეფორმისტული თავგანწირვის მწვერვალია. საინტერესოა, როგორი გამოხმაურება მოჰყვა შესაკვეცად გამეტებული აკადემიკოსების მხრიდან ამ პუნქტს? წერილი კიდევ ერთ კითხვას ბადებს: რატომ აარჩია აკადემიკოსმა მხოლოდ ეს ორი აკადემია? ამერიკაში, დარგობრივი აკადემიები რომ არ ჩავთვალოთ, 20-მდე სხვადასხვა სახის სამეცნიერო აკადემიაა. თუ სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთობის ნიშნით შეირჩა ეს აკადემიები, მაშინ რა დააშავეს ნაციონალურმა საინჟინრო აკადემიამ, ნაციონალურმა მედიცინის ინსტიტუტმა და ნაციონალურმა კვლევების საბჭომ, რომლებიც ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილებით, გაერთიანდნენ ამერიკის ნაციონალურ აკადემიასთან ერთად კორპორატიული მმართველობის ორგანოში, რომელსაც "ნაციონალური აკადემიები" ეწოდა. მათი წევრების მაღალი ინტელექტუალური დონის გამო ეს ორგანო მიჩნეულია ამერიკის მთავრობის მთავარ სამეცნიერო მრჩევლად. რა შუაშია აქ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და პრეზიდენტის კურატორობა! ასევე გაუგებარია ჯონ ადამსის მიერ დაარსებული "ხელოვნებათა და მეცნიერებათა" აკადემიის მაგალითის მოყვანა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს არავითარი მსგავსება ჩვენს აკადემიასთან არა აქვს. თუნდაც ის რად ღირს, რომ მარტო ამერიკის ნაციონალურ აკადემიას 190 ნობელის პრემიის ლაურეატი ჰყავს. საერთოდ, ანალოგიების მოყვანისას ცოტა მეტი ფიქრი გვმართებს, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ.

წერილის წერისას მრავალი ღირსეული მეცნიერისა და პედაგოგის ხათრით ვცდილობ, მაქსიმალურად შევინარჩუნო ზრდილობისა და ეთიკის ნორმები, რაც არც ისე ადვილი ამოცანა აღმოჩნდა. განსაკუთრებით, როცა ვიხსენებ რამოდენიმე დღის წინ უნივერსიტეტის პროფესორის ბატონ ზურაბ კიკნაძის სატელევიზიო გამოსვლას, სადაც მან ბრძანა: - უნივერსიტეტში იმდაგვარი მდგომარეობაა კორუფციის მხრივ, რომ გარკვეულწილად მეც კი ვგრძნობ პასუხისმგებლობასო. ვინც ბატონ ზურაბს კარგად იცნობს, მან მშვენივრად უწყის, რომ პიროვნული და ხასიათობრივი თვისებების გამო, მის თვალწინ რომ ხდებოდეს კორუფციული გარიგებები, მაინც ვერ შეამჩნევდა, რადგან ასეთი ადამიანისთვის ძნელად წარმოსადგენია, რომ უნივერსიტეტის კედლებში შეიძლება ვინმემ ამდაგვარი რამ ჩაიდინოს. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ბატონმა ზურაბმა აიღო პასუხისმგებლობა თავის თავზე. სწორედ იმ დღეს უნივერსიტეტმა, მისმა დიდმა საბჭომ მადლობა გადაუხადა ყოფილ რექტორს, გულში ჩაიკრა ახალი და ენერგიულად შეუდგა არსებული, **ისედაც მაღალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დონის კიდევ უფრო ამაღლებასა და განმტკიცებას**.

ახლა კი მოკლედ წარმოგიდგენთ ჩემს მოსაზრებებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ. გლობალიზაციის პროცესისა და ჩვენი ქვეყნის მომავლის გათვალისწინებით, ახალი ხელისუფლების მიერ განათლებისა და მეცნიერების სფეროების რეფორმირების პრიორიტეტულად გამოცხადება სრულიად გონივრულ და პრაგმატულ ნაბიჯად მიმაჩნია. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ამ სფეროებს რეალური ცვლილებები არ შეხებია. დღეისათვის ჩვენ გვაქვს საბჭოთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემები, ნაშენი ზუსტად ისეთივე იდეოლოგიით, როგორიც საბჭოთა კავშირის დროს იყო. ბევრს არაფერს ნიშნავს ის, რომ სახელმძღვანელოებიდან და სასწავლო ოთახებიდან გაქრა მარქსისა და ლენინის სურათები და სახელები. შენარჩუნებულია მთავარი - იდეოლოგია. კერძოდ, სკოლაში ცენტრალური ადგილი მოწაფის ნაცვლად ისევ ისე უკავია მასწავლებელსა და სკოლის დირექტორს; უნივერსიტეტებში სტუდენტის ნაცვლად - ლექტორსა და რექტორს. სხვათაშორის, ანალოგიური მდგომარეობაა ჯანდაცვის სისტემაშიც: აქ ცენტრალური ფიგურა ექიმია და არა პაციენტი. ნორმალურ ქვეყნებში კი ყველაფერი პირიქითაა. ფასეულობათა და პრიორიტეტულობის სრული აღრევა წარმოადგენს საბჭოური იდეოლოგიის უცვლელ მახასიათებელს. ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებაში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს აკადემია თავისი წევრებით, რომელიც სხვათაშორის სტრუქტურითა და წევრობის ფორმით ძალიან წააგავს შუა საუკუნეების საიდუმლო ორგანიზაციებს. ამ სისტემასთან კარგა ხანია არავითარი შეხება აღარ აქვს მეცნიერს, ანუ იმას, ვინც რეალურად სამეცნიერო კვლევას ატარებს. საბჭოთა პერიოდთან შედარებით დღეს მდგომარეობა კიდევ უფრო საგანგაშოა, რადგან ამ სისტემებს გამოცლილი აქვს საბჭოეთის ფინანსური რესურსი. სერიოზული დანაკლისია ადამიანური რესურსების მხრივაც. კერძოდ, მიმდინარეობს სტრუქტურის მკვეთრი დაბერების პროცესი. ახალ, საღ სისხლს კი, როგორც ცნობილია, მომაკვდავი სხეული არ იღებს. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩემის აზრით, დღეს ჩვენს წინაშეა არა არსებული სისტემების რეფორმირების, არამედ ახლის აშენებისა და მისი იდეოლოგიური რეორგანიზაციის პრობლემა. სწორედ ამიტომ უპირისპირდებიან ამ პროცესებს ასე მედგრად მანდატიანი და უმანდატო "მარქსისტები".

განათლების და მეცნიერების სფეროში მიმდინარე გარდაქმნები ასიმეტრიულად ვითარდება. განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები უკვე სერიოზულ ნიშნულს მიუახლოვდა. აშკარად გამოიხატა რეფორმატორთა წარმატებები, რაც, ჩემი აზრით, პრეზიდენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების და ქართული სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი, საკმაოდ შეთანხმებული და გააზრებული მოქმედებების შედეგია. მაგრამ აქ ერთ სერიოზულ პრობლემას შეიძლება წავაწყდეთ. პირველ ეტაპზე ანტირეფორმისტულმა ძალებმა აშკარად კარგი კატალიზატორის როლი შეასრულეს, შეკრეს და ძალა შეჰმატეს განათლების რეფორმის მომხრეებს. მეტიც, მოწინააღმდეგეთა უსახურმა გამოსვლებმა კიდევ უფრო შეავსო მხარდამჭერთა რიგები. ამ ეტაპზე, როდესაც რუბიკონი გადალახულია, საჭიროა იმდაგვარი ოპოზიციური აზრი, რომელიც ხელს შეუწყობს გარდაქმნების პროცესის სწორად წარმართვას. სამწუხაროდ, ასეთი არ ჩანს.

მეცნიერებისა და განათლების სისტემების განცალკევებული ფუნქციონირება, რაც საბჭოთა პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, მემკვიდრეობით ერგო საქართველოს. ეს არის, ალბათ, მთავარი მიზეზი იმისა, რომ დღემდე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს აკადემიური, ეკონომიური და სოციალური განვითარების სფეროები. უზარმაზარი უფსკრულია გაჩენილი ფუნდამენტურ, გამოყენებით და ინოვაციურ კვლევებს შორის. მოუწესრიგებელია სამეცნიერო კვლევათა სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკა, არ არის უზრუნველყოფილი ცალკეულ მეცნიერთა და სამეცნიერო ჯგუფების ეფექტური მუშაობის მექანიზმები, არ არსებობს დარგობრივი პრიორიტეტების რეალური ნუსხა და სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამების ტექნოლოგიური მომსახურება. როგორც ზემოთ ჩამოთვლილმა, ასევე სხვა უამრავმა პრობლემამ შექმნა მეცნიერებაში სისტემური კრიზისი, რომელსაც სასწრაფო შველა სჭირდება. ამასთანავე, ახალი ტიპის სამეცნიერო სისტემის აგება ეტაპობრივი პროცესი უნდა იყოს, რომელიც მოახერხებს ქვეყნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოტენციალის სტრუქტურულ და იდეოლოგიურ შერწყმას. პირველ ეტაპზე, ჩემი აზრით, საჭიროა შეიქმნას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული გარკვეული ერთეული, რომელსაც ახალი სისტემის აშენების პროცესში დაეკისრება მთავარი მამოძრავებელი როლის შესრულება. დემოკრატიული და ქმედითი მართვის პირობებში ამ ერთეულმა უნდა შეძლოს:

- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ოპტიმიზაცია და რეფორმირება;
- განათლებისა და მეცნიერების სისტემების პრაქტიკული და იდეოლოგიური გაერთიანება;
- რეალური, პრიორიტეტული სამეცნიერო კვლევების ადეკვატური დაფინანსება.

შეძლებს თუ არა ამგვარი მამოძრავებელი როლის შესრულებას ჩვენი მეცნიერებათა აკადემია? დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ვერ შეძლებს. ამდაგვარი ცვლილებისთვის ეს ორგანიზაცია არ შექმნილა, მას სრულიად სხვა მიზნები და ამოცანები დაუსახა დიდმა ბელადმა 1941 წელს. ამ აზრს კიდევ უფრო მიმტკიცებს მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაციის ის დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნდა აკადემიის ვებგვერდზე. აკადემიის კედლებში შექმნილ ამ დოკუმენტს არავითარი საერთო მეცნიერების რეორგანიზაციასთან არა აქვს. დოკუმენტის შემქმნელთა მთავარი ინტერესი მხოლოდ არსებული ძალაუფლების შენარჩუნებაა. სხვა საკითხია, რამდენად ფასეულ ადამიანურ რესურსს ფლობს დღეისათვის აკადემია და სამეცნიერო სფერო? უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არსებობს ის ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის გამოყენებით და ხელისუფლების მხრიდან მკვეთრი პრინციპული პოზიციის დაკავების შემთხვევაში ჯერ კიდევ შესაძლებელია საქართველოში ქმედითი სამეცნიერო სისტემის შექმნა.

ვანო ბოკერია

ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი
სამედიცინო ხარისხის დარგში,
ამერიკის ნევროლოგიური აკადემიის წევრი,
ამერიკის ბავშვთა ცერებრული დამბლის და განვითარების აკადემიის წევრი,

P.S. ჩემი აკადემიების წევრობის აღნიშვნით მინდა დავამშვიდო ის მკითხველი, ვინც ჩათვლის, რომ მაქვს ბიოლოგიური ზიზღი აკადემიების მიმართ. ცნობისათვის, ამერიკაში, ისევე როგორც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, დარგობრივი აკადემიის წევრობის მთავარი მიზანი მუდმივი პროფესიული ზრდა-განვითარებაა და არა აკადემიის წევრობით ტრფობა.

9 ოქტომბერი, 2004 წ.

მეფე დემეტრე I - "ვერშეცნობილი"

გიორგი ბაინდურაშვილი

XII საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში და საერთოდ მაშინდელი მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში მოვლენები საოცრად საინტერესოდ და დაძაბულად ვითარდებოდა. ევროპიდან იერუსალიმისაკენ დაძრული ჯვაროსანთა ლაშქარი ინტენსიურად უტევდა მუსულმანური ქვეყნების ქალაქებს. მაგრამ დასაწყისიდანვე გამოჩნდა, რომ ქრისტეს სახელს ამოფარებული ჯვაროსნები ადვილად ვერ სძლევდნენ მაჰმადიანურ ქვეყნებს. "ქრისტეს მეომრებს" ძლიერი, არამაჰმადიანი მოკავშირე სჭირდებოდათ, რომ მუსულმანურ ურდოებს დასაწყისშივე არ ჩაეკლათ ჯვაროსანთა "რელიგიური" აღტკინება. ამ დროს დავით აღმაშენებლის გენიის წყალობით საქართველო ფეხზე დგება და ერთიანდება. 1121 წელს დიდგორის ველზე, სწორედ დავითის საქართველო იღებს თავის თავზე უმსხვილესი მუსულმანური კოალიციის დაახლოებით 300 ათასიანი ლაშქრის შემოტევას და, შეიძლება ითქვას, მთელ ჯვაროსნულ მოძრაობას სასიკვდილო დარტყმისაგან იცავს. ევროპელებსაც, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდათ ამ ომში საქართველოს მნიშვნელობა. ერთ-ერთი ფრანგი ქრისტეს საფლავის კლერიკოსი იერუსალიმიდან საფრანგეთში, პარიზში, გალიენ ეპისკოპოსსა და პარიზის ნოტრ-დამის კრებულს ატყობინებს: **"ქართველ მეფეს დავითს - კასპიის კარი (დარუბანდის კარი), გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს, ეჭირა და სდარაჯობდა; მისი შვილი, აქამდე მასვე ასრულებს ვისი ქვეყანა და სამეფო მიდელთა და სპარსთა წინააღმდეგ, ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია."**

აღმაშენებლის მემკვიდრე ქართველთა მეფე დემეტრე I, მამის მსგავსად, წარმატებით უმკლავდებოდა მუსულმანთა გავეშებული ურდოების შემოტევებს. დავითის მიერ გათავისუფლებულ საქართველოს ზეაღსვლა, ჩვენი მტრებისთვის უმნიშვნელო მოვლენა სულაც არ იყო და, რა თქმა უნდა, ისინიც არ იშურებდნენ მრავალრიცხოვან არმიებს საქართველოს დასაქცევად, მაგრამ დემეტრემ შეძლო "მესიის მახვილის" ძლევამოსილი პყრობა. არა მარტო მახვილი, კალამიც შესანიშნავად უჭირდა ქართველ გვირგვინოსანს, ეს მაშინ, როცა ევროპის ყველა მონარქს როდი ეხერხებოდა თავისუფლად წერა-კითხვა. დემეტრეს "შენ ხარ ვენახი" კი ქართველმა ერმა საგალობლად აქცია და ის დღესაც ატკბობს ჩვენს ყურთასმენას. მაგრამ დიდი ქართველი მეფის შესახებ ერთობ მწირი ისტორიული ცნობები მოგვეპოვება, არადა, რამდენი რამ უნდა გადახდენოდა იმ მძიმე დროში ქართველობას და მის ძლევამოსილ მეფეს.

არც ეს სტატია დაიწერა დემეტრე I-ის დამსახურებათა წარმოსაჩენად. ჩვენი ინტერესი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არსებულმა,- შოთა რუსთაველის ფრესკამ მიიპყრო. ამ მცირეოდენი ხნის წინათ, ბარბაროსთაგან ფრესკის დაზიანების შემდეგ, სურვილი გამიჩნდა ამ ფრესკისათვის კიდევ ერთხელ შემომევლო თვალი, რადგანაც ორიგინალის აღდგენა, შეიძლება, აღარც გვღირსებოდა. ფრესკის გამოსახულებაზე ყურადღებით დაკვირვებამ კი სერიოზული ეჭვი გამიჩინა მისი რეალური პერსონაჟის თაობაზე. ამიტომ მიმოვიხილოთ ის ძირითადი ვერსიები, რაც ამ ფრესკას უკავშირდება. უნდა აღინიშნოს, რომ ფრესკაზე გამოსახული პიროვნების შესახებ თავიდანვე დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ის სწორედ შოთა რუსთაველია, რადგანაც ფრესკაზე არსებობდა შემდეგი წარწერა: **"ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ."** ქვემოდან კი პორტრეტს აწერია "რუსტაველი", რაც ერთმნიშვნელონად სრულებით არ მიგვითითებს, რომ იქ სწორედ შოთა რუსთაველია გამოსახული და არა, მაგალითად, პორტრეტის დამხატავი, შემკვეთი ან შემდგომში განხორციელებული რესტავრაციის ორგანიზატორი. თუმცა, ამ საკითხს ნაკლები ყურადღება მიაქციეს და ძირითადად მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეული იყო პოეტის ქართულ საზოგადოებაში დაკავებული ადგილის შესახებ მსჯელობით. ზოგის აზრით, ფრესკაზე გამოსახული პიროვნება, რომელსაც **ჰმოსავს მოწითალო სამოსელი, საყელოზე მოვლებული აქვს ყარყუმის თეთრი ბეწვი და თავზე ახურავს მომრგვალო ქუდი,** სამეფო სისხლის მატარებელი, ამავე დროს, მეფის ვაზირი-მეჭურჭლეთუხუცესი ან კიდევ მღვდელმთავარი იყო. ჩვენც ჭეშმარიტების საძიებლად სხვადასხვა მკვლევარის ვერსიების მართებულობა გამოვიკვლიოთ. 1883 წელს ალ. ცაგარელმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი მოინახულა და, მისი აზრით, ფრესკაზე რუსთაველი, გამოსახულია შუა საუკუნეების ქართველი დიდებულის სამოსით. ამას დაახლოებით XV საუკუნის იმავე მონასტრის აღაპებში შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოხსენიება, და ასევე თეიმურაზ ბაგრატიონის და სხვათა მსგავსი მოსაზრებაც დაემატა და რუსთველოლოგიაში მკვიდრდება აზრი, რომ ფრესკაზე გამოსახულია მეფის ვაზირის სამოსში გამოწყობილი შოთა რუსთაველი. არადა, წითელი ფერის მოსასხამი, რომელიც ფრესკაზე გამოსახულ პიროვნებას მოსავს, სხვა არაფერია, თუ არა პორფირბისონი, რომლის დანიშნულებაც და გარეგანი აღწერილობაც კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, სულხან-საბას თუ ვერწმუნებით ბისონი, - "სამოსელი არს ვრცელი სამეფო, გინა სამღვდელო პატიოსანი შესამოსელი", "ბისონი და პორფირი არს სისხლისფერი მეფეთა და მღვდელმთავართა სამოსლად. მოასწავებს, რათა დასთხიონ სისხლი მათი, ვითარცა ქრისტემან ერისთვის." როგორც ვხედავთ, საბა აქ არა მარტო პორფირისა და ბისონის დანიშნულებას განმარტავს, არამედ ახსნასაც გვაძლევს, თუ რატომაა პორფირი სისხლისფერი.

საქართველოს მეფის გიორგი XII პორფირის შესახებ ინფორმციას ი.ჭავჭავაძესთანაც ვხვდებით. ილიას სიტყვით, გიორგი მეფისათვის "კოვალენსკის გამოატანა იმპერატორმა პავლემ... სამეფო პორფირი **ყარყუმის ბეწვისა, შვინდისფერ ხავერდის საპირეთი"** თავისთავად იგულისხიება, რომ საქართველოს მეფეს გამოუგზავნიდნენ მისი ღირსების შესაფერ, ე. ი. ქართველ მეფეთა სამოსს, მათ შორის პორფირს, რომელსაც, ილიას მოწმობით, ყარყუმის ბეწვის სარჩული და შვინდისფერი საპირე ჰქონია. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ სწორედ ამნაირი პორფირი აქვს წამოსხმული ჯვრის მონასტერში გამოსახულ პიროვნებას.

პორფირ-ბისონის ფორმა და დანიშნულება კარგად არის განხილული ივ. ჯავახიშვილის, ... ნ.ჩოფიკაშვილის, ვ. ციციშვილის ნაშრომებშიც.

ზოგიერთი მკვლევარი კი ფრესკაზე გამოსახულ პიროვნებაზე მსჯელობს, როგორც სასულიერო პირზე, უფრო მეტიც, მათი აზრით (მაგ.პრ.რატიანის), აქ შოთა, მღდელმთავრადაც წარმოგვიდგება. და მართლაც, მოცემული სამოსით მეფე ან მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო შემოსილი, მაგრამ შოთას მღვდელმთავრობას თვითონ მისი შემოქმედება გამორიცხავს, რომლისადმიც ქართულ სასულიერო პირთა მნიშვნელოვან წრეში უარყოფითი განწყობა სუფევდა. ამ მხრივ, ნიშანდობლივია კლერიკალურად განწყობილი მწერლის ტიმოთე გაბაშვილის აზრი შოთაზე, რომ თითქოს იგი იყო "მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა" და, მართლაც, რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" არ წარმოადგენს იმდროინდელი ქრისტიანული თეოსოფიის დებულებების მიხედვით შექმნილ ნაწარმოებს. შოთას, რომელიც თავის დიდებულ ქმნილებაში უმღერის არა მარტო სიყვარულსა და მეგობრობას, არამედ ვაჟკაცობასა და პირდაპირობას, არ შეეძლო, ერთის მხრივ, თვალთმაქცურად მღდელმთავრის სამოსი მოერგო, მეორე მხრივ კი, ასკეტური ქრისტიანული თეოლოგიის თვალსაზრისით საეჭვო ნაწარმოების შექმნა. რუსთაველის მსგავს პიროვნებს ძალიან მცირე რაოდენობით თუ გამოიმეტებს განგება კაცობრიობისთვის და ისინიც სწორედ იქ დგანან ფეხმოუცვლელად, სადაც უნდა იდგნენ. ამასთან, თუ ფრესკაზე გამოსახული პიროვნება მღვდელმთავარია, მაშინ, ჩემი აზრით, აუცილებლად იქნებოდა გამოყენებული რელიგიური სიმბოლიკა და ამ მღვდელმთავრის (შეიძლება საკმაოდ ცნობილის) სახელიც წარწერილი.

ცნობილი მეცნიერი შ. ამირანაშვილი მიუთითებს, რომ რუსთველის თავსაბურავი "მეფის გვირგვინის სახისაა" და რომ "ამ სახის გვირგვინი მიტრა აქვს დავით აღმაშენებელს გელათის მხატვრობაში". პ.ინგოროყვას მოსაზრებითაც, რუსთველის ტანსაცმელი უფრო სამეფოს ჰგავს, ვიდრე ვაზირისას, მაგრამ იგი ამის მართებულ ახსნას ვერ გვაძლევს, მისი აზრით, "გარეგანი პატივის ასეთი განსაკუთრებული ნიშანი სამეფო რანგისა, როგორიც იყო პორფირის სამოსის ტარება", შოთას მინიჭებული ჰქონდა იმიტომ, რომ იგი ეკუთვნოდა ჰერეთის ბაგრატიონებს, რომლებსაც ასეთი პრეროგატივა თითქოს "დატოვებული ჰქონდათ როგორც საქართველოს სამეფო გვარის განშტოებას, როგორც ჰერეთის მხარის ყოფილი მეფეების შთამომავალთ". ასეთი მოსაზრება კი მცდარი უნდა იყოს, რადგანაც ბაგრატიონთა დინასტიის გვირგვინოსანი წარმომადგენლები, სასტიკად აღკვეთდნენ ხოლმე, თუნდაც სამეფო ოჯახის წევრების, გაზრდილ ამბიციებს (მაგ. ცვატას, დემნას მომხრეთა გამოსვლების უსასტიკესი აღკვეთა, კლარჯი ბაგრატიონების განადგურება), მით უმეტეს, სხვა შტოს წარმომადგენლებს მსგავს პრიორიტეტულ მდომარეობაში არ ჩაყენებდნენ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პ.ინგოროყვას ცნობის მიხედვით, შოთას დიდი პაპა, ჰერეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელი გრიგოლ II, 1177-78 წწ. მეფე გიორგი III წინააღმდეგ მოწყობილ მსხვილ აჯანყებაში მონაწილეობდა.

ფრესკაზე გამოსახული "რუსთაველი", თუ არც დიდ მოხელე და არც სამღვდელო პირი ბრძანდებოდა, მაშინ ვინ იყო? ჩნდება კითხვა, ჩვენი აზრით, მოცემული პორტრეტი შოთა რუსთაველის საერთოდ არ არის, თუ ის არც რელიგიურ პირს და არც მეფის ვაზირს ეკუთვნის, მაშინ მხოლოდ ერთადერთი ვარიანტი რჩება, რომლის მიხედვითაც, ამ ფრესკაზე ოქროს ხანის საქართველოს ერთ-ერთი გვირგვინოსანია გამოხატული! ვინ შეიძლებოდა ბაგრატიონ მეფეთაგან, ამ პერიოდში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე გამოესახათ? **დავით IV-ისა და გიორგი III**-ის ფრესკები გვაქვს და არანაირ მსგავსებაზე არ შეიძლება ლაპარაკი იყოს, **დავით V და გიორგი ლაშაც** ახალგაზრდები გარდაიცვალნენ და შესაბამისად რჩება **დემეტრე I**, რომლის სახელის არარსებობა ფრესკაზე გარკვეული უსაფრთხოების მიზნით შეიძლება აიხსნას, შეუძლებელია ყოფილიყავი ქრისტიანობის "წინა ბურჯი", "მესიის მახვილი" საქრისტიანოს მტერთათვის და მტრად მოკიდებული არ გყოლოდა მთელი მაჰმადიანური სამყარო, რომელიც ასე ახლოს იყო იერუსალიმთან.

ასე რომ, ჩემი აზრით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლიდან უფლისაკენ მიპყრობილი, ასეთი ცოცხალი და ჭკვიანი თვალებით შოთა რუსთაველი კი არა, არამედ დიდად ღვაწლმოსილი, ქართველთა მოხუცებული მეფე დემეტრე I გვიყურებს!

სკანვორდი



TV პროგრამა

11 ოქტომბერი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "ჯეტექსი" **18.45** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **20.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ტაქტიკური თავდასხმა" (18). **02.00** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ნორმან მაილერის ამერიკა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** მომიწყე არდადეგები. მხ. ფილმი. რეჟისორი დიდიე ბიველი. 2001. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **22.15** ციხესიმაგრეების ისტორიები. დოკ. ფილმი. **24.30** კი ლო სა? მხ. ფილმი. რეჟისორი რობერტ გედიგიანი. 1985. **04.20** დილაადრიანად. ტელესერიალი.

პირველი არხი

ორშაბათი **07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი "მარსუპილამი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ლოლიტა" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "კარიბის ზღვაზე" **13.00** კონცერტი - დ. ხუჯაძე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ქალაქები" - რიგა **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "კარიბის ზღვაზე" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ხაფანგი-თანამდებობის სახით" (გ)

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (განმ.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

ორბელიანი

12.00 საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **13.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **14.00** ინდ. მხ. ფილმი "გზის გადაკვეთაზე" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00, 00.30** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

მზე

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** ერთი ჟურნლისტის მზერა. გ. კალანდია. "გელინო" **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ოცნების ზღვარი" (15) (ნ. კინსკი)

9

18.00 მინისერიალი "ბაგა-ბაღი" 1-ლი ს. **19.10** დოკ. ფილმი **20.20** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "ყასაბი" (15)

მეორე არხი

19.00 საქ. პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატთა შუალედური არჩევნები **20.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **20.25** "იმღერე რამე" **20.50** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.40** ფორტუნა **22.10** ბასტიბუბუ **22.25** მხ. ფილმი "ლოლიტა" (გ)

იმედი

07.00 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.40** ტვ-მარკეტი **13.15** ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალური სერია. **14.45, 03.10** იმედის მელოდიები **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **20.00** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" მე-3 ს. **22.50** საქმე ტ **23.20** "არჩევანი თქვენ" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **01.00** "აქტიორი" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

ОРТ

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20** Андрей Федорцов в боевике **"ЕГЕРЬ". 11.30** "Смехопанорама" **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.00** Морган Фримэн в триллере **"И ПРИШЕЛ ПАУК". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН" 20.00** Жди меня. **21.00, 23.30** Время. **21.30** Александр Балуев в фильме **"МОСКОВСКАЯ САГА". 1**-я серия. **22.40** Спецрасследование. **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Искатели. "Золото опальной царицы". **00.40** "Подорожник". **01.10** Дадли Мур в комедии **"КАКОВ ОТЕЦ, ТАКОВ И СЫН" 02.40** Брюс Кэмпбелл в боевике **"ВТОРЖЕНИЕ НА ЗЕМЛЮ" 04.10** Сериал "Специальное подразделение II".

НТВ

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: МЕЖДУ ДВУМЯ ПРОПАСТЯМИ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **10.55** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ЗАБЫТЬ ВСЕ". 13.35** Сериал **"АДВОКАТ: ЛОНГЛАЙФ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"КАМЕНСКАЯ: СМЕРТЬ И НЕМНОГО ЛЮБВИ"**. Часть 1. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 22.00** "Страна и мир". **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.20** "Школа злословия". Ток-шоу **00.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.35** Мэтью Пэрри в комедии **"ТАНГО ВТРОЕМ"**

ინტერნეტში მუსიკის მეკობრეებს მთელი ძალით შეუტიეს

ევროპის ხმის ჩამწერმა ინდუსტრიამ 459 საჩივარი აღძრა იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც ინტერნეტში მუსიკალურ ფაილებს ცვლის და, კომპანიების მტკიცებით, აგერ უკვე 4 წელია, კომპაქტ-დისკების ბიზნესს ნარმოუდგენელ ზიანს აყენებს. თუმცა, ევროპამ ხმა ინტერნეტ-მეკობრეების წინააღმდეგ მხოლოდ მას შემდეგ აიმაღლა, რაც არალეგალურ საქმოსნებს ბრძოლა ამერიკაში გამოუცხადეს და დაახლოებით 5700 ადამიანის წინააღმდეგ აღძრეს საქმე.



წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.